პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—43.

დ ღ ი უ რ ი

— ავსტრიის მთავრობა განაგრძობს მუშათა ორგანიზაციების შევიწროებას.

— სპარსეთში შესდგა ახალი მთავრობა.

— ბულგარეთის მთავრობამ დააპატიმრა 20-მდე კომკავშირელი.

— ბრიანი ჟენევიდან პარიზში გაემგზავრა.

— მეორე ინტერნაციონალი 25 წლის იუბილეს იხდის.

კვირა, 19 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 214 (1759)

ბაქოელ კომუნარების ხსოვნას

20 სექტემბერს, 1918 წელს, კასპიის იქითა მხარეში, სადგურ პერევალსა და ახჩა-კუიმას შორის, დილის ექვს საათზე ვერაგულათ აწამეს 26 ბაქოელი კომუნარი. რვა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ ამ ამხანაგების ხსოვნა არა თუ ოდნავათაც არ წაშლილა გამარჯვებულ მშრომელ მასებში, არამედ, რაც დრო გადის, მათი სახელი მით უფრო ღრმად იჭრება მუშებისა და გლეხების გულში.

ჩვენ მით უფრო ვერ დავივიწყებთ 26 წამებული ამხანაგის სახელს, რომ მათი იდეური ჯალათები ჯერ კიდევ ცოცხალია და ამ რვა წლის განმავლობაში განუწყვეტელ, ხან მალულ და ხან აშკარა შეტევას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ ვლაპარაკობთ ინგლისზე, რომლის აგენტების უშუალო ხელმძღვანელობით აწამეს ბაქოს კომუნარები. დღეს იგივე ინგლისი ყველგან და ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რომ იერიში მოიტანოს ჩვენზე, რომ ფრთა შეასხას მის სანუკვარ რეაქციონურ მისწრაფებას, რომელიც გულისხმობს ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასის უცხოეთის კაპიტალისათვის დამონავებას.

მაშინ ინგლისის იმპერიალიზმი აშკარათ და შეუპოვრად მოიწევდა ჩვენს წინააღმდეგ, ის ცეცხლით და მახვილით ებრძოდა ოქტომბრის რევოლიუციას, ამ ბრძოლის მსხვერპლი, სხვებთან ერთად, შეიქნა მუხანათურად დახოცილი ბაქოელი ამხანაგები.

დღეს იგივე ინგლისი ათასგვარ ხრიკებს ხმარობს, დიპლომატიურ ქსელებს ხანდავს და საერთაშორისო ანტი-საბჭოთა მიმდინარეობას იდეურათ მფარველობს.

ამრიგად 26 კომუნარის მკვლელები ჯერ კიდევ არ დამცხრალან, მათი მახვილი ყოველ მოხერხებულ შემთხვევისათვის გამზადებულია ჩვენს წინააღმდეგ მოსამართავათ.

რათ აწამეს ბაქოელი ბოლშევიკები? მათ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებისათვის არავითარი ფორმალური საბაბიც კი არ მიუციათ ასეთი სისაძაგლის ჩასადენათ. რაკი ხედავდენ, რომ ბაქოს ბედი გადაწყვეტილი იყო და ქალაქი ოსმალეთის ჯარების ხელში გადადიოდა, რაკი დარწმუნდენ, რომ ბაქოს პროლეტარიატი ესერ-მენშევიკებ-დაშნაკელების მოღალატურმა ბლოკმა სწორი გზიდან გადაიბირა, 26 კომუნარმა თავის ნებით დასთმო ძალა-უფლება, რის შემდეგაც რუსეთში დაბრუნებას აპირებდა.

მაგრამ ინგლისის მხედრობას ეს არ აკმაყოფილებდა. მას სწყუროდა ბაქოელ ბოლშევიკების სისხლი, იმ ბოლშევიკების, რომელნიც წინააღუდგენ დიდი ბრიტანეთის განზრახვას ისეთ გემრიელ ლუკმის დაპატრონების შესახებ, როგორიც ბაქოს ნავთის სამრეწველოებია.

ინგლისის მხედრობამ ეს წყურვილი დაიკმაყოფილა. მან თავგანწირული, მედგარი ბოლშევიკების სისხლით შეღება კასპიის იქითა ველები.

მაგრამ ინგლისის მხედრობა მარტო არ ყოფილა ამ საზიზღროების ჩადენის დროს. მას შეუძლია სინიდისი დაიმშვიდოს, თავი გაიმართლოს იმით, რომ ბაქოელ კომისრების სისხლში ხელი გაილებეს ჩვენმა შინაურმა „სოციალისტებმა"—ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკელებმა.

ერთმა ამ „სოციალისტ" ჯალათთაგანმა, ესერ ფუნტიკოვმა, უკვე მიიღო შესაფერისი რევოლიუციონური სასჯელი. დანარჩენები პასუხისგებას გამარჯვებულ პროლეტარიატის სასამართლოს წინაშე გადაურჩენ, მაგრამ ისინი ვერ გადაურჩენ ისტორიის განაჩენს მათი პოლიტიკური ყოფნის შესახებ.

მუშათა კლასის რევოლიუციონურ აღტყინების მომშხამველი ოპორტუნისტული პარტიებისათვის ადგილი აღარ რჩება საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე. მათი ფეხი საბოლოოთ აღკვეთილია გამარჯვებულ პროლეტარიატის სამფლობელოდან.

ბაქოელ კომუნარების სისხლი კი მოღალატეობის, დაქირავებულ ჯალათობის ლაქათ დარჩება ოპორტუნისტულ ინტერნაციონალის შუბლზე.

რვა წელმა განვლო, რაც აწამეს ჩვენი ბაქოელი ამხანაგები, რვა წელია, რაც 26 თავდადებული კომუნარი გამოსტიშეს ბოლშევიკურ ფოლადის რიგებიდან, მაგრამ მათი სახელი დღესაც ცოცხალია, ის რევოლიუციისათვის წამებულ სხვა კომუნარების სახელთან ერთათ წარუშლელათ დარჩება მშრომელი მასების გულში და ეს მით უფრო, რომ გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლიუციამ. რომ ცოცხალია და შეუჩერებლივ წინ მიიწევს ის დიადი ისტორიული საქმე, რომელსაც მსხვერპლათ შეეწირა სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე და მათთან მყოფი 24 სხვა ამხანაგები.

საუკუნო ხსოვნა გმირ—მებრძოლებს, რომლებიც სახელოვნად დაეცნენ რევოლიუციის სადარაჯოზე.

ბაზრის დაპყრობის ამოცანები

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რაც უახლოეს მომავლის საქმეა, საგრძნობლად გაიზრდება გლეხობის სყიდვითი უნარი. რამდენადაც გლეხობამ ზოგიერთი ძვირფასი კულტურა უკვე დაამზადა, ბაზარს ამ თავითვე დაეტყო გამოცოცხლება. ეს ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს სამრეწველო საქონლის გაიაფებისა და ბაზრის მოწესრიგების ამოცანას.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს ცნობილი დადგენილება პირველ აგვისტოსათვის საცალო ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ მხოლოდ ნაწილობრივაა განხორციელებული. ზოგიერთ ცალკე საგნებზე ბოლო დროს ფასების ერთგვარი მომატებაც კი არის შემჩნეული. საქონლის გაიაფებას კერძოდ ნაკლებად გრძნობს სოფელი.

მუშაობა ფასების დაკლებისათვის უნდა იქნეს გაორკეცებული. ჩვენი სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული სავაჭრო აპარატი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად მოგვარებული. შტატების მრავალრიცხოვანობა და მათი სიძვირე, საქონლის გავლა ზედმეტ შუათანა ინსტანციებში, პარალელიზმი და მეტოქეობა სახელმწიფოებრივ-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობაში, მომჭირნეობის რეჟიმის საკმაოდ გაუტარებლობა და მრავალი გაუმართლებელი ხარჯები, მოგებით ცალმხრივი გატაცება კაპიტალის დაგროვების მიზნით,—ყველაფერი ეს მრავალგან მძიმე ლოდად აწევს ჩვენ სავაჭრო საქმიანობას და საქონელს აძვირებს. ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ამ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად, რამაც თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი ვაჭრობის გაჯანსაღებისათვის საჭიროა მომავალშიც ენერგიული ზომების მიღება.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის მოწესრიგებას ხელს უშლიდა ის უთანხმოება სახელმწიფოებრივ მრეწველობასა და კოოპერაციას შორის, რომელსაც უკანასკნელ დრომდე ჰქონდა ადგილი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით მათი ურთიერთობის საკითხი გადაჭრილ იქნა. გენერალურ ხელშეკრულებათა სისტემის გაფართოვება და გაღრმავება, კოოპერაციის დატვირთვა საქონლის საკმაო რაოდენობით, სინდიკატის სავაჭრო ქსელის მოსპობა იქ, სადაც კოოპერაცია მძლავრია და შესძლებს მოსახლეობისათვის საქონლის მიწოდებას,—ასეთია ზოგიერთი მთავარი მომენტი, რომელზედაც უნდა აიგოს სახმრეწველობის და კოოპერაციის ურთიერთი დამოკიდებულება. კოოპერაციას ეძლევა უპირატესობა და მთელი რიგი შეღავათები საქონლის მიღებისა და მოსახლეობისათვის მის მიწოდებაში.

მაგრამ დადგენილება ერთია და მისი გატარება ცხოვრებაში კიდევ მეორე. ახალი სამეურნეო წელი კარზეა მომდგარი, ხოლო გენერალური ხელშეკრულებები მრეწველობასთან მეტ წილად კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და დადებული, რაც აიხსნება ერთი მხრივ სათანადო ორგანოების ნელი მუშაობით და ტექნიკური სიძნელეებით, მეორე მხრივ იმ გარემოებით, რომ საბოლოოდ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სახმრეწველობისა და კოოპერაციის შორის წინედ არსებულ გაუგებრობათა ატმოსფერა. გენერალურ ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურება კერძოდ მძიმე გავლენას მოახდენს კავშირო ცენტრს დაშორებულ რაიონებზე, მათ შორის ჩვენი ქვეყნის კოოპერაციის მუშაობაზედაც, რადგან ამ ხელშეკრულებათა დადების შემდეგ კიდევ საკმაო დროა საჭირო, სანამ ჩვენდამი მათში გათვალისწინებული საქონელი მოაწვდეს. კოოპერაციამ ამ თავითვე უნდა იცოდეს, თუ რა საქონელს და რა რაოდენობით მიიღებს, რომ ამისდა მიხედვით აწარმოოს სამზადისი. ბოლო ხანებში გადაჭრილი ზომებია მიღებული მრეწველობისა და კოოპერაციას შორის ურთიერთობის საბოლოოდ და სწრაფად ჩამოყალიბებისათვის, და ამ მხრივ არსებულ დაბრკოლებებს მალე მოეღება ბოლო.

გარდა ამისა მტკიცედ უნდა გატარდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სინდიკატური ქსელის შემცირების შესახებ კოოპერაციის ხარჯზე. ამას მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის და კერძოდ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეშიც, სადაც ამ მხრივ საკითხი ფაქტიურად კიდევ არ არის ზოგან გადაჭრილი.

ერთი მხრივ მრეწველობისა და კოოპერაციას შორის, მეორე მხრივ უკანასკნელსა და სახელმწიფო ვაჭრობის შორის სწორი ურთიერთობის დამყარებით და ჩვენი სავაჭრო აპარატის გეგმაშეწონილი მუშაობით შესაძლებელი გახდება ბაზრის დაუფლება და კერძო ვაჭრობის ჩაყენება განსაზღვრულ კალაპოტში. სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული სავაჭრო ქსელი უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში გადიდდა 59,2-დან 76,3 პროცენტამდე, ხოლო კერძო ვაჭრობის, როლი დაეცა 40,8-დან 27,7 პროცენტამდე, ამასთან კოოპერაცია სახელმწიფო ვაჭრობასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში სახელმწიფოებრივ ვაჭრობის ბრუნვა გადიდდა 28 პროც-ით, ხოლო კოოპერატიულ ვაჭრობის ბრუნვა 50 პროცენტით. სახელმწიფოებრივ ვაჭრობის ხვედრითი წონა საერთო ბრუნვაში დაეცა 50-დან 48,2 პროცენტამდე, ხოლო კოოპერაციის კი გაიზარდა 25,3-დან 28,6 პროცენტამდე. ამგვარად ბაზარზე სახელმწიფოებრივ-კოოპერატიული ვაჭრობა გაბატონებულია, კერძოდ კოოპერაციას პირველი ალაგი უკავია, რაც სავსებით გასაგებია იმ მნიშვნელობის გამო, რომელსაც სახელმწიფო კოოპერაციას აკუთვნებს საქონლის განაწილების დარგში.

ასეთ პირობებში თუ კოოპერაციამ სათანადო მუშაობა გასწია საქონლის ფასების დაკლებასა და მოსახლეობისათვის მის თავის დროზე მიწოდებაში, ეს უეჭველია დიდ გავლენას მოახდენს კერძო ვაჭრობაზე და აიძულებს მას საქონელი უფრო იაფად გაყიდოს. მრავალი ფაქტი იმას გვეუბნება, რომ სადაც კოოპერაციამ საქონელს ფასები დაუკლო, ამას ძალაუნებურად მოყვა საქონლის გაიაფება კერძო ბაზარზედაც.

კერძო ვაჭრობის დამორჩილება უნდა გამოიხატოს არა მარტო ამაში. მისი რაოდენობითი განაწილება საქონლის გასაღებაში სასტიკად უნდა მოემწყვდეს სათანადო ორგანოების მიერ დაწესებულ ფარგლებში. მან ვერ უნდა მოახერხოს იმაზე მეტი საქონლის მიღება, რამდენსაც სახელმწიფო აძლევს. სინამდვილეში დღემდე მრავალი იყო ისეთი შემთხვევა, როცა კოოპერაცია (და სახელმწიფო ვაჭრობა) მოსახლეობისათვის დასარიგებელ საქონელს დიდი პარტიობით კერძო ვაჭრებზე ყიდდა. კოოპერაცია ამას ხშირად ასაბუთებდა ფინანსიური გაჭირვებით, თამასუქების სასწრაფოდ განაღდების აუცილებლობით. აგრეთვე ადგილი ჰქონდა მაღალი მოგებით გატაცებას. არა იშვიათი იყო აშკარა ბოროტმოქმედებაც აქა-იქ კოოპერაციაში მოკალათებულ საეჭვო პირთა მხრით.

არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება კოოპერაციის მიერ კერძო ვაჭარზე საქონლის მიყიდვა. ამას ამიერიდან მაინც გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კერძო ვაჭარი სახ. ვაჭრობისა და კოოპერაციიდან საქონელს სხვა ხრიკებითაც იძენს. ის რიგში აყენებს „თავის კაცებს", ხშირად ამისათვის იყენებს უმუშევრებსაც, რომ წვრილ-წვრილად მაინც გამოიტანოს საქონელი, რომელიც საერთო ჯამით საგრძნობ რაოდენობას აღწევს. ფხიზელი კონტროლის დაწესებით კერძო ვაჭარის ეს ახალი „წამოწყება" ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით კოოპერაცია და სახვაჭრობა შესძლებენ ბაზრის დაპყრობას, საქონლის გაიაფებას და კერძო ვაჭრის ალაგმვას.

მ. ლ—ძე.

ჩინეთის ხალხის აღშფოთება ინგლისელების წინააღმდეგ

ვან-სიაში ინგლისელებმა ამოჟლიტეს მშვიდობიანი მცხოვრებნი

მექსიკის მთავრობას აუჯანყდა ინდიელების ერთი ტომი

მთელ იტალიაში ფაშისტური პოლიცია განაგრძობს ჩხრეკას და „შემჩნეულთა" დაპატიმრებას

ინგლისელები ჩინეთში

ხელი ხელს ბანს

პეკინი, 17 სექტემბერი. ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა გაგზავნოს ხენანის პროვინციაში 100.000 ჯარისკაცი.

ჰუმბარის სროლა

პეკინი, 17 სექტემბერი. შანხაიდან იუწყებიან, რომ 15 სეტემბერს ადგილობრივ იაპონიის საკონსულოს შენობის წინ კონსულის გამოსვლამდე ააფეთქეს ჰუმბარა. ჰუმბარის მსროლელი შეპყრობილია. თავდასხმის განზრახვა მიეწერება კორეელებს.

მუშების ხმა

პეკინი, 17 სექტემბერი. ხანკოუში განაახლა თავისი მოქმედება 32 მუშათა ორგანიზაციამ. უჩანის ოლქის მუშათა ორგანიზაციებმა თავის კონფერენციაზე დაადგინეს შესწყვიტონ ერთი დღით მუშაობა კანტონის ჯარების გამარჯვების პატივსაცემად.

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 18 სექტემბერი. შიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება: მთავრობის ორგანო „ხოჩი"-ს ცნობით, ინგლისის ელჩს ტოკიოში ჯონ ტილლისს გუშინ კვლავ ჰქონდა საუბარი იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს შიდეხარასთან ვანსიანში მომხდარ ინციდენტის შესახებ. „ხოჩი"-ს ცნობით, ტილლიმ სთხოვა შიდეხარას იაპონიის ინგლისთან თანამშრომლობა ჩინეთის საქმეებში ჩასარევად. შიდეხარამ უარყო ეს თხოვნა.

ინგლისის საელჩოში

ტოკიო. 17 სექტემბერი. შიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„16 სექტემბერს ტოკიოში ინგლისის სარკმლის წინ გამოჩნდა უცნობი ჭაბუკი, რომელმაც დანა გადააგდო საელჩოს საოლუმო დარბაზში, სადაც ინგლისის ელჩი საუბრით უმასპინძლდებოდა შვეციის კრონ-პრინცს და მის ცოლს.

ელჩის ვაჟი გაეკიდა ჭაბუკს, მაგრამ მისი დაჭერა ვერ მოხერხდა. ჯერაც გამორკვეული არ არის, თავდამსხმელი იაპონელია თუ ჩინელი.

მთავრობის პროტესტი

პეკინი, 17 სექტემბ. პეკინის მთავრობამ გაუგზავნა ინგლისის ელჩს ნოტა ინგლისელების მოქმედების გამო ვანსიანში.

შეტაკებები

ბერლინი, 18 სექტემბერი. გადმოგვცემენ, დიდი ბრძოლის შესახებ შანხაის გუბერნატორის ჯარებისა და კანტონის ჯარებს შორის. კანტონის არმია უკუქცეულია.

ლონდონიდან მიღებული ცნობებით. პროვინცია შან-სის ჩინელი გუბერნატორი დათანხმდა მიიღოს გენერალ ფენგის სამი დივიზიისა და ორი ბრიგადის კაპიტულიაცია.

„ვესტმინსტერ. გაზეტ" შანხაიდან გადმოგვცემს, რომ კანტონის ჯარები მდ. იანცეკიანგზე ათვალიერებენ ყველა გემებს.

საერთო აღშფოთება

პეკინი, 17 სექტემბ. ვან-სიანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს პროტესტი ინგლისელების მიერ მოწყობილ სისხლის ღვრის წინააღმდეგ. გაზეთები მოუწოდებენ ჩინეთის ხალხს გაერთიანებისაკენ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რას სჩადიან ინგლისელები

პეკინი, 17 სექტემბ. გენერ. იან-სენმა გაუგზავნა პეკინის საგარეო საქმეთა მინისტრს დეპეშა, რომლითაც აუწყებს, რომ ინგლისის გემებმა პირველად დაიწყეს სროლა, სცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ვანსიანში დაკავებული ინგლისის გემები; მოკლულია 100 მეტი ჩინელი ჯარის კაცი. ინგლისის ზარბაზნების სროლით, რომელიც გაგრძელდა დაახლოვებით სამი საათი, დანგრეულია ვანსიანში 1.000 მეტი სახლი; დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი რამოდენიმე ასეულს აღემატება.

იან-სენი შემდეგ განაგრძობს, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფლება სცდილობდა ხელში ჩაეგდო გემები მაშინ, როდესაც იან-სენის მოლაპარაკება ინგლისის კონსულებთან ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. დეპეშაში ნათქვამია: ინგლისელები არ სცემენ პატივს ჩვენს უფლებებს, არ იცავენ ჰუმანიურობის ელემენტარულ მოთხოვნილებას და ჩინელებს ეპყრობიან ისე, როგორც მონურ ნაციას

დასასრულ იან-სენი მოთხოვს, რომ პეკინის გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადოს პროტესტი და მოსთხოვოს ინგლისელებს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.

ინდოეთის პროტესტი

ლონდონი, 18 სექტემბერი. ინდოეთის ნაციონალისტებმა „დეილი ჰერალდში" გაგზავნეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ **შეიარაღებული ძალების გამოყენება ჩინეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ დიდ აღშფოთებას გამოიწვევს ინდოეთის მოსახლეობაში.** ინგლისის იმპერიალისტების ინტერესების დაკმაყოფილება, აღმოსავლეთის ხალხთათვის თავისუფლების წართმევის გზით, მოსპობს ყოველგვარ ნდობას ინგლისის მიმართ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ინგლისის პროლეტარიატი დადგება ინდოეთისა და აღმოსავლეთ ქვეყნების მხარეზე.

მდ. იანცეკიანგზე

ლონდონი, 18 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ თუ მოლაპარაკების გზით ვერ შევსძლებთ ორ დაკავებულ ინგლისურ გემის დაბრუნებას, მაშინ **ინგლისის ფლოტილიას მდ. იანცეკიანგზე სხვა მეთოდების ხმარების უფლება მიეცემა.**

ინდიელების აჯანყება

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. **მექსიკაში აჯანყდა ინდიელთა ტომი იაკი. მექსიკის მთავრობა ახდენს ჯარების მობილიზაციას აჯანყებულთა წინააღმდეგ.**

ბერლინი, 18 სექტემბერი. როგორც იუწყებიან, **მექსიკის აჯანყებულმა ინდიელებმა მთელი ბატალიონი გაანადგურეს, დანარჩენი ჯარი კი აიძულეს გაქცეულიყვნენ.**

მექსიკიდან მიღებული ცნობით, გენერალი ობრეგონი მოკლულია.

ერთა ლიგის სესიაზე

არამუდმივი ადგილები

ბერლინი, 17 სექტემბერი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსად სთვლიან ერთა ლიგის საბჭოში არა მუდმივ წევრთა არჩევის შემდეგ მომენტებს: ინგლისის დამარცხებული ცდა—ერთა ლიგის საბჭოში გაეყვანა სპარსეთი ჩინეთის ნაცვლად; ჩეხო-სლოვაკიის ხელ-ახლად არჩევა, რომელიც შესაძლებელი გახდა სამხრეთ-ამერიკის დელეგატთა მხარის დაჭერით (ამ გადარჩევის გამო მცირე ანტანტას ერთი წლის განმავლობაში ეყოლება ერთა ლიგაში ორი წარმომადგენელი), გერმანიისათვის ხმის მიცემა და პოლონეთისათვის უფლების მიცემა გადარჩეულ იქნეს მეორე სამ წლიან ვადაში.

ვერსალზე უფრო დიდი საქმე

პარიზი, 17 სექტემბ. ერთა ლიგის საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევნების შედეგებს აღტაცებით ხვდებიან საფრანგეთის მოწინავე რადიკალური და ზომიერი გაზეთები.

ყველა გაზეთები აჭრელებულია ფრაზით: „ლიგის ახალ საბჭოში საფრანგეთს მხოლოდ მეგობრები ჰყავს. **ბრიანმა ვერსალის ხელშეკრულებაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. გამარჯვებამ მოლოდინს გადააჭარბა**", და სხვ.

პოლონეთის საკითხი

ვარშავა, 17 სექტემბერი. პოლონეთის პოლიტიკური წრეების აზრით, პოლონეთმა სამწლიური მანდატი ერთა ლიგის საბჭოში მიიღო არა საფრანგეთის, არამედ ინგლისის შემწეობით, რომლის დამოკიდებულება გერმანიასთან ამ ბოლო ხანებში ძალიან შესუსტდა საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების გამო. პილსუდსკის გაზეთი **„გოლოს პრავდი"** და მთავრობის ორგანო **„ნოვო კურიერ პოლსკი"** შეთანხმებულად ფიქრობენ, რომ თუმცა არჩევნების შედეგები ერთა ლიგის საბჭოში აღნიშნავენ პოლონეთის წარმატებას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ნაადრევია პოლონეთის გამარჯვებაზე ლაპარაკი.

ახალი წინადადება

ლონდონი, 18 სექტემბერი. ესპანეთის მთავრობა, ლონდონში და პარიზში ერთი და იმავე დროს გაგზავნილ ნოტაში, წინადადებას იძლევა გაიხსნას წინასწარი მოლაპარაკება დიდ-ბრიტანეთისა, საფრანგეთისა და ესპანეთს შორის, რათა განხილულ იქნას საკითხი ტანჟერის შესახებ.

ბრიტანიის ოფიციალურ წრეებში იმ შეხედულების არიან, რომ უფრო პრაქტიკული იქნებოდა წინასწარი მოლაპარაკებანი პირველათ-ყოვლისა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მომხდარიყო.

ინტელიგენტთა მემორანდუმი

ბერლინი, 18 სექტემბერი. ინტელიგენტთა ჯგუფი რომელშიც შედიან ბერლინის პროფესორი **დელბრიუკი**, ამერიკელი **ბირნესი** და ფრანგი **დე-მარტიელი**, ერთა ლიგაში წარდგენილ მემორანდუმში მოითხოვს ომის დამნაშავეთა საკითხის მიუდგომლათ გარჩევას.

მემორანდუმში ნათქვამია, რომ რამდენათ ერთათ-ერთ გერმანიას აკუთვნებენ პასუხისმგებლობას ომზე, იმდენათ შეუძლებელი ხდება პოლიტიკურ მოღვაწეთა მორალური რეაბილიტაცია.

კრება გადაიდო

ბერლინი, 18 სექტემბერი. რადგან ქვე-კომისიებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოასწრეს სამზადისი მუშაობის დამთავრება, **ერთა ლიგის კრება**, რომელიც დღეისთვის იყო დანიშნული, **გადაიდო**.

ესპანეთის პრეტენზიები

ბერლინი, 18 სექტემბ. „ტაიმსი" იუწყება, რომ **ესპანეთმა უკან წაიღო თავისი მოთხოვნილება ტანჟერის შესახებ.** გაზეთი ამბობს, რომ ამჟამად ესპანეთს სურს ტანჟერის ადმინისტრაციაში იქნას შეყვანილი.

პოლ ბონკური

ბერლინი, 18 სექტემბერი. **ჟენევიდან ბრიანის წასვლის შემდეგ, საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს პოლ ბონკური.**

რუმინეთი და მცირე ანტანტა

პარიზი, 17 სექტემბ. „კოტიდიენი" იუწყება, რომ **უნგრეთის დაახლოვების საკითხმა მცირე ანტანტასთან აქტუალური ხასიათი მიიღო.** გაზეთი სწერს:

„ჩეხო - სლოვაკია ეკონომიურ მოლაპარაკებას იწყებს უნგრეთთან; ასეთივე მოლაპარაკება უნგრეთისა სამხრეთ-სლავიასთან წარმატებით მიმდინარეობს.

რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟენევაში განაცხადა, რომ უნდა მივესალმოთ დუნაის ლოკარნოს შექმნასო".

ჩხრეკა რომში

ბერლინი, 18 სექტემბერი. **პოლიციამ რომში დააპატიმრა 335 კაცი და 600 სახლში მოახდინა ჩხრეკა**, მათ რიცხვში გაჩხრიკა რესპუბლიკანელ დეპუტატის კიაზასის ბინა.

რომი, 17 სექტემბერი. მთელ იტალიაში გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრებანი. რომში მოახდინეს 600 ჩხრეკა. დაპატიმრებულია 335 კაცი. ევანცაში, მუსოლინზე თავდამსხმელის სამშობლოში, დაპატიმრებულია 60 ადგილობრივი მცხოვრები.

სპარსეთის ახალი მთავრობა

თეჰერანი, 17 სექტემბერი. **16 სექტემბერს მუსტოუფი-ოლ - მემალეკმა ოფიციალური თანხმობა განაცხადა შეადგინოს კაბინეტი.** ფიქრობენ, რომ ახალ მთავრობაში შევა ყველა ძველი მინისტრები.

პრესა ესალმება მუსტოუფი-ოლ-მემალეკის ხელისუფლებისადმი დაბრუნებას.

ყველა გაზეთები აღნიშნავენ სხვადასხვა რეფორმების აუცილებლობას და დიდ იმედებს ამყარებენ ამ მხრით მუსტოუფზე.

გერმანიის კომპარტიის ც. კ. დადგენილება

ბერლინი, 17 სექტემბერი. ყოველმხრივი განხილვის შემდეგ გერმანიის კომპარტიის ც. კ.—მა მიიღო დადგენილება, რომლითაც სასტიკათ ჰკიცხავს მასლოვისა და რუტ ფიშერის გამოსვლას „რუსეთის საკითხის" შესახებ, რომელსაც სთვლის პარტიის საწინააღმდეგო გამოსვლათ.

განხილვის დროს გამოირკვა, რომ განცხადებაზე ხელის მოწერა ხდებოდა უსინიდისო ხრიკებით. **ნაწილი წინადადებისა ჩართულ იქნა ხელის მოწერის შემდეგ ისე, რომ ეს არ გაუგიათ ხელის მომწერთ. ოპოზიციის წრეებში იზრდება უკმაყოფილება ოპოზიციის ბელადების მიმართ.** ვედინგის (ბერლინის მომიჯნო რაიონი) ოპოზიციის ბელადმა—კეტტევმა, ვებერის ახალი თანამშრომელმა,—გამოაქვეყნა ვედინგის ჯგუფის განცხადება, რომლითაც ჰკიცხავს ოპოზიციის ბელადების კამპანიას ხელმოწერათა შესაგროვებლად განცხადებაზე „რუსული საკითხის" გარშემო.

განცხადებაზე ხელის მომწერი ოპოზიციური ჯგუფები უარს ამბობენ ყოველგვარ თანამშრომლობაზე მასლოვსა, რუტ ფიშერსა და შოლემთან. გერმანიის კომპარტიის ც. კ.-მა გადასწყვიტა ორგანიზაციულ ღონისძიებების მიღებით ხელი არ შეუშალოს ცალკე ჯგუფების ურთიერთ დამოკიდებულებათა გამომჟღავნებას ოპოზიციის შიგნით.

ურბანის უხეშ პროვოკაციულ პოზიციის საკითხი, რომელსაც ვებერიც უერთდება, და, აგრეთვე, ოპოზიციის ბელადების სისტემატიური განმხეთქილებელი მუშაობის საკითხი, ც. კ.—მა დაადგინა განსახილველად გადასცეს პარტყრილობას, რომელიც გაიმართება 27 ნოემბერს ესსენში.

ინგლისის მუშების ბრძოლა

ახალი მოლაპარაკების წინ

ლონდონი, 18 სექტემბ. **მემაღაროეთა აღმასკომი ორშაბათს შეიკრიბება მაღაროს მეპატრონეებთან შეთანხმების საკითხის განსახილველად.** პრემიერის უკანასკნელი წინადადებანი ბევრად განსხვავდებიან პირველად წამოყენებულ წინადადებათაგან.

მთავრობა აცხადებს, რომ როგორც კი განახლდება მუშაობა ადგილობრივ წინასწარ შეთანხმებათა საფუძველზე, იგი მაშინვე გაატარებს პარლამენტის საშუალებით აქტს, რომელიც ეროვნულ საარბიტრაჟო სასამართლოს დააწესებს. ეს აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ მანამ არ მოხდება შეთანხმება ეროვნული მასშტაბით. **მთავრობის განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ პარლამენტის აქტი ეროვნული ტრიბუნალის დაარსების შესახებ გატარდება მაღაროს მეპატრონეთა ოპოზიციის მიუხედავად.**

მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნა ამ საკითხში აიხსნება იმით, რომ მაღაროს მეპატრონეებმა უარი სთქვეს მთავრობის მოთხოვნილებაზე მოლაპარაკების ეროვნული მასშტაბით განახლების შესახებ.

თამბირი

ლონდონი, 17 სექტემბერი. 17 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში ბალდუინი მოლაპარაკებას აწარმოებდა მაღაროების მეპატრონეთა ასოციაციის წარმომადგენელ ვილიამსთან და მემაღაროების ფედერაციის წევრებთან. ბალდუინის საუბარი ვილიამსთან არ ყოფილა ხანგრძლივი, მემაღაროეთა ფედერაციის წევრებთან მოლაპარაკება კიდევ გრძელდება.

ზოგიერთ წრეებში იმედს გამოსთქვამენ, რომ შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების განახლებისთვის ფორმულის გამონახვა და მემაღაროებს წინადადებას აძლევენ განაახლონ მუშაობა შეთანხმების მიღწევამდე.

საერთო მდგომარეობა

ლონდონი, 17 სექტემბერი. სანახშირო რაიონებში მდგომარეობა უცვლელი რჩება.

მაღაროების მეპატრონეები ამტკიცებენ, რომ ინგლისის ყველა სანახშირო რაიონებში ამჟამად 60.000 მემაღაროე მუშაობს.

მაღაროების მეპატრონეთა დაახლოვებითი გამოანგარიშებით ინგლისში ამჟამად ყოველკვირეულად 500.000 ტონა ქვა-ნახშირს იღებენ.

ოსმალეთს ეპატიჟებიან

ანგორა, 17 სექტემბერი. გაზეთ „ენი სეს"-ის ცნობებით, **საფრანგეთმა პირველმა წამოაყენა ერთა ლიგაში ოსმალეთის შეყვანის საკითხი**, და დაბეჯითებითაც იცავდა ამ წინადადებას. ამას მოჰყვა ანალოგიური წინადადება ინგლისის მხრივ.

ყვითლების იუბილე

ბერლინი, 18 სექტემბერი. თავისი არსებობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ამსტერდამის ინტერნაციონალი აწყობს პროფკავშირებში წევრების მიღების საერთაშორისო კვირას. მუშების და მოსამსახურეების პროფკავშირებში წევრებათ მიღების კამპანია განზრახულია დამთავრდეს მთელი რიგ მასიურ დემონსტრაციებით, რომლებიც გაიმართება 19 სექტემბერს მთელ გერმანიაში.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე" მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ კამპანიას, ვინაიდან გერმანიის კაპიტალისტებმა დაიწყეს ახალი შეტევა გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამასთანავე **გერმანიის კომპარტია მიუთითებს რეფორმიზმთან ბრძოლის აუცილებლობაზე, რადგან რეფორმიზმის გავლენის წყალობით, გერმანიის პროფკავშირები სრულიად დასცილდენ თავისი პირდაპირი ამოცანას—კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლას, რამაც გამოიწვია პროფკავშირების ყოველმხრივი დასუსტება.**

პოლონეთის ბიუჯეტი

ვარშავა, 17 სექტემბ. მთავრობამ შეიტანა სეიმში მეოთხე მეოთხედის ბიუჯეტის პროექტი. წინა მეოთხედთან შედარებით, გასავალი გადიდებულია 16,5 მილიონი ზლოტით. სამხედრო სამინისტროს დამატებით ეძლევა 1.880.000 ზლოტი. ცხენების საყიდლათ, ყაზარმების ასაგებად და სამხედრო მრეწველობის კრედიტების გასაძლიერებლად.

თეთრი ტერორი

ავსტრიაში

ვენა, 17 სექტემბ. ამ დღეებში პოლიცია შეეცადა დაეპატიმრებია დელეგაცია 500 კაცის შემადგენლობით, რომელიც პრეფექტისკენ მიიმართებოდა ტერორის წინააღმდეგ საპროტესტოთ. **მაგრამ ქალაქის ყველა წარმოებების მუშებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს და პოლიცია იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავის განზრახვაზე.**

ორადო-მარში დაპატიმრებულ იქნა ადგილობრივ პროფკავშირების საბჭო: **საბჭოს მდივანი წაიყვანეს კლუბში, სადაც ის მიაკრეს მსხვილ ჯირკს, სცემეს გონების დაკარგვამდე და შემდეგ მთელი დღის განმავლობაში აწვალებდენ.**

ევროპის ფოლადის ტრესტი

პარიზი, 17 სექტემბ. მეტალურგიულ მრეწველობის კომიტეტის წრეებში გამოსთქვამენ რწმენას, რომ **ევროპის ფოლადის ტრესტის დაარსების შესახებ მოლაპარაკება ამ შემთხვევაში წარმატებით დამთავრდება**, ვინაიდან ბელგიელ მექარხნეების მიერ მოთხოვნილი ნორმა—თვეში 265.000 ტონა წარმოებისა,—შეიძლება გადიდდეს 15.000 ტონათი თვეში.

მუშათა კონგრესი

პარიზი, 17 სექტემბერი. **16 სექტემბერს პარიზში გაიხსნა სატრანსპორტო მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი.** კონგრესს დაესწრო 50 დელეგატი, რომლებიც აირჩია 1.700.000 მუშამ.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ კონგრესმა აირჩია კომისია.

ინდოელების აჯანყება

კომკავშირლების დევნა

ბულგარეთში

შეთქმულების ორგანიზაცია

ვარშავა, 17 სექტემბერი. **ბოლგარეთის პოლიციამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა სოფიაში „შეთქმულების ორგანიზაციის" აღმოჩენის შესახებ.** ცნობაში აღნიშნულია, რომ ჯერ-ჯერობით დატყვევებულია 20 კაცი, განსაკუთრებით კომკავშირლები, რომლებიც გადაეცა სასამართლოს.

კოლექტიური ნოტა

ვენა, 17 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და საბერძნეთის ელჩებმა სოფიაში გადასცეს ბოლგარეთის მთავრობას თავის მთავრობათა პასუხი ბულგარეთის მთავრობის საპასუხო ნოტაზე კომიტაჯების რაზმის თავდასხმის შესახებ. ბულგარეთის პრესა აღნიშნავს, რომ სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და საბერძნეთის კოლექტიური ნოტა წინანდელ ნოტაზე გაცილებით შერბილებული ხასიათისაა. ეს გარემოება აიხსნება ინგლისისა და იტალიის მთავრობათა ზეგავლენით.

ინგლისი და ჩინეთი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მოსკოვი, 18 სექტემბერი. „დამოუკიდებელ" „სენდეი ტაიმსის" კორესპონდენტის მორიგ დიპლომატიურ ცნობას, 12 სექტემბრის თარიღით, თანდართული აქვს სპეციალური რუქა, რომელშიაც, ვან-სიანის გარდა, ბრიტანეთის იმპერიალიზმის სიმხეცეთა ადგილად ნაჩვენებია კანტონი, სვატოუ, ჩან-შა, ხანკოუ და უჩანი.

რუქას ქვეშ აქვს გაკეთებული წარწერა: „ჩინურ უწესრიგობათა ახალი არე". წარწერა მეტად დამახასიათებელია არა მარტო „დამოუკიდებელ ბრიტანულ ორგანოს" „მსოფლმხედველობისა", არამედ მთელი კაპიტალისტური ინგლისისაც. თავისუფლებათა ხარტიის ინგლისი, რევოლიუციონური პურიტანიზმის ინგლისი, ინგლისი — დემოკრატიულ იდეების კერა—დიდი ხანია, რაც გადაიქცა დიდ-ბრიტანეთად, რომელიც „თავისუფლებათა" ყოველგვარ გამოხატულებას, რევოლიუციონურ და, წარმოიდგინეთ, დემოკრატიზმის გამომჟღავნებასაც კი მის მიერ დამონებულ ხალხებისაგან, სთვლის უწესრიგობად, არეულობად, რომელსაც დაუნდობლად ახშობს. მაგრამ ჯერ ხომ ჩინეთი არაა ინგლისის კოლონია; მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ისევე, როგორც მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა, ხომ აღიარებული იყო თვით დიდი ბრიტანეთის მიერ მთელ რიგ საზეიმო დეკლარაციებითა, ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. „ყველამ ხომ იცის", რომ დიდი ბრიტანეთი „დამცველია" ერთხელ მიღებულ ვალდებულებებისა. მისი მინისტრები და პრესა უკვე მრავალი წელიწადია, რაც დაუღალავად უჩიჩინებენ ჩინეთის ხალხს ხელშეუხებლობას ძალით თავზე მოხვეულ ხელშეკრულებებისაც კი. მაგრამ აი, სწორედ ეს ინგლისი, ომის გამოუცხადებლათაც კი, თავის თავს აძლევს ნებას დახვრიტოს ჩინეთის ჯარისკაცები, ტერორით დააშინოს ჩინეთის მშვიდობიანი მოსახლეობა და ყუმბარები დაუშინოს ჩინეთის უდანაშაულო ქალაქებს.

„ვან-სიანში ინგლისის კანონირკებიდან გახსნილი ცეცხლით, რომელიც გაგრძელდა 3 საათს, დანგრეულია ათასამდე სახლი, მოკლულია და დაჭრილი რამდენიმე ასი კაცი".

ინგლისის იმპერიალიზმის ამ ახალმა ბოროტმოქმედებამ მით უფრო მეტი აღშფოთება უნდა გამოიწვიოს, რადგან ის წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული იყო. თვით ზემოხსენებული „სენდეი ტაიმსი", სხვა მისებრ „დამოუკიდებელ" გაზეთებთან ერთად, 12 სექტემბერს მოითხოვდა „სამი ოფიცრისა და ბრიტანული ფლოტის ოთხი მეზღვაურის" სისხლის ანაზღაურებას, რომლებიც მოკლულ იქნენ ჩინელებთან ინგლისელების მიერ პროვოკაციულად მოწყობილ შეტაკების დროს. და დაღვარეს კიდეც ჩინელთა სისხლი. სისხლის მთელი მორევი დააყენეს ბრიტანეთის ოქროს ვერძის შურისძიების დასაკმაყოფილებლათ.

უცხოელთა კონცესიების „მაღალპატივცემული ლედი და ჯენტლმენები", ალბად, ზეიმობენ ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიის ლედი და ჯენტლმენები. მაგრამ, ვკითხოთ, დიდი ხნით?

წავიდა უკვე ის დრო, როცა დამსჯელი რაზმებითა და სისხლის გამოშვებით მოსახერხებელი იყო ჩინეთის ყოველგვარი პროტესტის ჩახშობა უცხოელთა წინააღმდეგ. დღეს სხვა დროა. ტანჯვასა, სასტიკ ექსპლოატაციასა და საშუალო საუკუნის ჩინურ ქალაქების მასიურ კედლებს შუა ბრძოლაში დაიბადა რევოლიუციონური ქალაქი. ჩინელ სტუდენტსა, ხელოსანსა და წვრილ-ბურჟუას ბრძოლის არეზე მოჰყვა ჩინელი კული და, ბოლოს, ჩინელი პროლეტარი, რომელმაც განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში უკვე ჩასწერა გმირული და ამავე დროს მგრძნობიარე სტრიქონები.

ამ ქალაქის, და, მაშასადამე, მისი წყალობით მთელი ჩინეთის, დაშინება და მუხლებზე წამოჩოქება აღარ შეიძლება. ალში გახვეული, ნახევრად დანგრეული ვან-სიანი აღარ მოითხოვს წყალობას. „ვან-სიანის საზოგადო ორგანიზაციები მოუწოდებენ ინგლისის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ"...

მის წინააღმდეგვე დაიწყო საავიტაციო მუშაობა რევოლიუციონურმა კანტონმაც, რომლის დაშინებასაც ლამობს დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმი თავისი სიმხეცეებით. კანტონის დაშინება? ჩან-შუს, ხანკოუს და ხანიანის დაშინება—ეს კიდევ შესაძლებელია. სინამდვილეში საქმე, რომ შეეხებოდეს მარტო „ჩინლების უწესრიგობას". მაგრამ საქმე შეეხება უფრო რაღაც დიდს. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ვინც დღემდე კანტონის ჩრდილოეთ ექსპედიციაში ხედავს ჩანკაიშის ბრძოლას უ-პეი-ფუსა და სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ, დაკვირვებით და გულმოდგინეთ უნდა წაიკითხოს კიდევ ეს, მართლაც ამაღელვებელი დეპეშა, რომელშიაც აწერილია კანტონის ჯარების შესვლა ხანკოუში.

„სამხრეთელთა არმიას, რომელმაც შეუჩერებელი ბრძოლით გაიარა გუანდუნიანი, ხუნანი და ხუბეი, არ ეტყობოდა დაღლილობა. მათ გარუჯულ სახეზე გამკრთოდა „ღიმილი"; ისინი იღიმებოდენ და მათთან ერთად მთელი ხალხიც იღიმებოდა.

ქალაქის ქუჩებში გაგრძელებულიყო ჯარი, და მათთან ერთად ათასობით მუშები—კული, მოსამსახურეები და ვაჭრები. პირველად გავიგონეთ მისასალმებელი ამოძახილი ქალაქის ამიებ ჯარის საპატივცემულოთ. არც ტრიუმფები იყო და არც სპეციალურად მისალმებელი კომიტეტები. თვით ხალხი ეგებებოდა გამარჯვებულთ".

არსებითად ასეთივე სურათს ჰქონდა ადგილი ყველა იმ ქალაქებსა და ადგილებში, სადაც გაიარა კანტონის არმიამ, ე. ი. მთელ იმ კოლოსალურ ტერიტორიაზე, რომელიც „დამოუკიდებელ" ბრიტანულ ორგანოს რედაქციამ დაასურათა როგორც „ჩინეთის ახალ უწესრიგობათა არე", თითქოს არ ესმოდეს ან არ უნდოდეს გაიგოს, რომ ახლოვდება რევოლიუცია.

საბჭოთა პრესა

საბჭოები და ღარიბი გლეხობა

მუშაობა ღარიბ და მოჯამაგირე გლეხობას შორის, რომელიც პროლეტრიატის დიქტატურის მთავარი დასაყრდენი სოციალური ძალაა სოფლად. პარტიის და ხელისუფლების მუდმივ მზრუნველობის საგანს შეადგენს. გლეხობის ამ ფენის ჩაბმა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მისი შეკავშირება თავის მეურნეობის ასაღორძინებლად, თავის ინტერესების და უფლებების დასაცავად,—აქეთკენაა ჩვენი საქმიანობა მიმართული. მიღწევები ამ მხრივ უეჭველად თვალსაჩინო გვაქვს, მაგრამ აწი შეუდარებლად უფრო მეტია გასაკეთებელი.

ფაქტია, რომ ღარიბ გლეხობის რიცხვობრივი მონაწილეობა საბჭოებში, კოოპერატივებში და სხვა ორგანიზაციებში ჯერ-კიდევ არ შეეფერება იმ ადგილს, რომელიც მას უკავია მოსახლეობაში. ამასთან მისი აქტივობა იქ მოიკოჭლებს. საბჭოებში ღარიბ გლეხობის მეტი რაოდენობის ჩაბმასთან ერთად, რაც უნდა განხორციელდეს მომავალ არჩევნებში, საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როცა მისი წარმომადგენლები ცხოველ მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო ორგანოების მუშაობაში. ეს კი ჰგულისხმობს მათ დარაზმვას, სხვათა შორის, მათი წინასწარი სხდომების მოწყობას, რათა ისინი გაერთიანებულად გამოდიოდენ საბჭოების და სხვა ორგანოების კრებებზე.

„ეს სხდომები, წერს ამხ. ე. კვირინგი გაზ. „ბედნოტა"-ში—ხელს შეუწყობენ იმას, რომ ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობა პრაქტიკულად შეეჩვევა ყველა საკითხებში გარკვევას. ეს სხდომები საჭიროა იმიტომ, რომ იქ ყოველგვარ ღონისძიებას განიხილავენ ღარიბ გლეხობის ინტერესების თვალსაზრისით.

ავიღოთ სას.-სამ. გადასახადის საკითხი. ჩვენი გადასახადი აგებულია იმნაირად, რომ მისი მთავარი სიმძიმე მდიდარს აწვება. ღარიბ გლეხობას მინიჭებული აქვს სხვადასხვა შეღავათები. მიუხედავათ ამისა, ხშირად წააწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა შეძლებულ გლეხებს რამოდენიმე ათეული მანეთის გადახდის ვადას უგრძელებენ, ხოლო ღარიბ გლეხებს ყელში ხელს უჭერენ 1—2 მანეთისათვის, ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ მას უფრო უძნელდება 2 მან. გაღება, ვინემ შეძლებულს 20 მან. გადახდა.

ავიღოთ ადგილობრივი ბიუჯეტი. რა შეიძლება გაკეთდეს ამ მხრივ. სახალხო განათლების დარგში—მზრუნველობა იმაზე, რომ ღარიბ გლეხობის ბავშებს შეეძლოთ სკოლაში სიარული, ჰქონდეთ სასწავლო ნივთები და სხ. ხშირად ღარიბ გლეხს და მოჯამაგირეს საშუალება არა აქვთ ბავშები სკოლაში ატარონ, რადგან მათთვის ვერ შოულობენ ტანთსაცმელს და ფეხსაცმელს. ადგილობრივ ბიუჯეტში ამ საქმეზე. მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, შეიძლება მცირეოდენი თანხები იქნეს გათვალისწინებული. სასწავლო ნივთები ბევრ სკოლებში ჯერ კიდევ არ რიგდება უფასოდ; სასოფლო საბჭომ თვალყური უნდა ადევნოს, რათა უსასყიდლოთ დასარიგებელი სასწ. ნივთები პირველ ყოვლისა ღარიბთა ბავშებს მიეცეთ. ასეთივე უპირატესობანი უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიუჯეტის სხვა ნაწილებშიაც.

ბევრ რამის გაკეთება შეუძლია ღარიბთათვის სას. საბჭოს მიწადმოწყობის გატარების დროს. პირველ ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს სას. საბჭოს კონტროლს იმაზე, რომ უსასყიდლო მიწადმოწყობა მართლა ტარდებოდეს ღარიბ მეკვამურთა მიმართ. უკეთესი და მახლობელი მიწისათვის ბრძოლის დროს, რომელიც ხშირად წარმოებს, განსაკუთრებით მსხვილ სოფლებში, სოფლის საბჭომ უნდა დაიცვას ღარიბი მეკვამურნი, მხარი დაუჭიროს ღარიბთათვის მახლობელ მიწების მიცემას ან საზოგადოებიდან დახმარების აღმოჩენას შორეულ ადგილებზე გადასახლების აუცილებლობის დროს".

რა თქმა უნდა, ძალიან შორს წაგვიყვანდა ყველაფერი იმის ჩამოთვლა, თუ რაში შეუძლია და უნდა დაეხმაროს ღარიბ გლეხობას სოფლის თუ თემის საბჭო. ეს არცაა საჭირო. უმთავრესია იმის შეგნება, რომ საბჭო და სხვა სასოფლო ორგანიზაციები თავის ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებულ ანგარიშს უნდა უწევდენ ღარიბ გლეხობის ინტერესებს. მაგრამ ამისთვის პირველ ყოვლისა აუცილებელია თვით ღარიბ გლეხების შემოკრება საბჭოს და სხვა ორგანიზაციების გარშემო, მათი აქტიური ჩაბმა ამ ორგანიზაციების საქმიანობაში, რათა მათი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდებოდეს მათივე აქტიური მონაწილეობით. ამავე დროს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ღარიბ გლეხობამ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს საშუალო გლეხობასთან და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მთლიანი ფრონტი კულაკობის წინააღმდეგ.

რაც არ ერგება--არ შეერგება

ჩან-ძოლ-ინმა ხელთ იგდო ალ. ჩინ. რკინის გზის კუთვნილი გემები.

(გაზეთებიდან)



ჩან-ძოლ-ლინი: მეონია დამახრჩობს

გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა

საიდუმლო თათბირი

ლონდონი, 18 სექტემბერი. „დეილი მეილის“ ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიანმა და შტრეზემანმა სოფ. ტუარში (საფრანგეთის საზღვართან) სასტუმროს ცალკე ოთახში სამი საათის განმავლობაში ისაუბრეს. მათ მიიღეს ზომები ამ შეხვედრის საიდუმლოდ შენახვისათვის, რისთვისაც ჟენევიდან სხვადასხვა გზით გაემგზავრენ.

როგორც იუწყებიან, ბრიანმა და შტრეზემანმა ითათბირეს ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელნიც ეხებიან საფრანგეთისა და გერმანიის ახალ ურთიერთობას.

„გერმანიის“ განცხადება

პარიზი, 18 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანია აცხადებს, რომ ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობა—საფრანგეთის პოლიტიკური წარმატებაა, რომლის ძალა და საერთაშორისო მნიშვნელობა გათვალისწინებულ უნდა იქმნას პოლიტიკოსების მიერ.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ გერმანიამ ერთა ლიგაში უნდა გამოარკვიოს თავისი საორგანიზაციო ნიჭი და ეკონომიური უნარი, რომ თვალსაჩინო ადგილის დაჭერა შესძლოს.

ბრიანის განცხადება

პარიზი, 18 სექტემბერი. ბრიანმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ის ჟენევიდან დაბრუნდება ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარების დიდი იმედით. მან ხაზი გაუსვა იმ ცოცხალ კმაყოფილებას, როგორიც სუფევს საფრანგეთისადმი სიმპატიურად განწყობილ წრეებში, საბჭოში მომხდარი არჩევნების გამო.

სამშაბათს მინისტრთა საბჭოსთვის მოხსენების გაკეთების შემდეგ, ის შემდეგ მოახსენებს დაწვრილებით ლაპარაკს შტრეზემანთან. აღნიშნა რა უკანასკნელი ინციდენტი „ლოტოსთან“ და საფრანგეთ - იტალიის ამბები, ბრიანმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის სიდინჯემ და დარბაისლობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთის პოლიტიკას.

შეთანხმების მიღწევა

პარიზი, 18 სექტემბერი.. „ჟურნალის“ ცნობით, გერმანელი გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბრიანმა და შტრეზემანმა შეთანხმებას მიაღწიეს ყველა სადავო საკითხებში, კერძოდ რეინლანდისა და საარის ოლქის ევაკუაციის საკითხში.

ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ ტუარში თათბირმა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ახალი ხანა შექმნა.

ბრიან - შტრეზემანის შეხვედრის გარშემო

ბერლინი, 18 სექტემბ. გერმანული პრესა გაცხოველებით და დაწვრილებით იხილავს ბრიანისა და შტრეზემანის შეხვედრას, აძლევს რა მას დიდ მნიშვნელობას. ნაციონალისტური პრესის ნაწილი აღიარებს, რომ შეხვედრამ უნდა გამოიწვიოს საფრანგეთ - გერმანიის დამოკიდებულების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მთელი პრესა კი ერთსულოვნად მოითხოვს საოკუპაციო პოლიტიკის შეცვლასა და სამხედრო კონტროლის მოხსნას.

ბრიანი პარიზში ჩავიდა შაბათს შუადღეს.

შტრეზემანის დაბრუნებას ბერლინში მოელიან შემდეგ შუა კვირაში.

ადვილი შესაძლებელია, რომ მოხდება კიდევ ბრიანის შეხვედრა შტრეზემანთან ერთა ლიგის უახლოეს სესიამდე.

შტრეზემანის განცხადება

პარიზი, 18 სექტ. ტუარში მომხდარი მოლაპარაკების შესახებ შტრეზემანმა განაცხადა, რომ ის და ბრიანი ცდილობდნენ მოწინააღმდეგე თვალსაზრისების შერიგებას. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოება, მისი სიტყვებით, ევროპის მშვიდობიანობის პრობლემას წარმოადგენს. საუბარი სწარმოებდა მეგობრული ტონით, რაიც იძლევა იმედს, რომ გადაწყდება ყველა ის საკითხები, რომელნიც გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთ დამოკიდებულებას ეხებიან.

დიდი მანიფესტაციის წინ

პარიზი, 17 სექტემბ. საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის აღმასკომის პლენუმმა პარიზში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს კონფედერაციაში შემავალ ყველა ორგანიზაციებს, რომ დაიწყონ კამპანია საერთო — საფრანგეთის მასშტაბით დიდი მანიფესტაციის მოწყობისათვის 7 ნოემბერს, შემდეგი ლოზუნგებით:

მოძრავი სამუშაო ხელფასის და [illegible]ბა მინიმალური განაკვეთების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებენ მუშათა ორგანიზაციები, საერთო - სამოქალაქო გადასახადებისა და არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება.

აღმასკომმა მიანდო უნიტარული კონფედერაციის ბიუროს, რომ წინადადება მისცეს შრომის რეფორმისტულ გენერალურ კონფედერაციას 7 ნოემბერს მთლიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

დალტონი პოლონეთში

ვარშავა, 17 სექტემბერი. მაკდონალდის პირადი მეგობარი, ინგლისის თემთა პალატის დეპუტატი—დალტონი, უკვე 6 კვირაა, რაც პოლონეთშია და „სწავლობს“ პოლონეთის ურთიერთ დამოკიდებულებას. დალტონმა დროის უმეტესი ნაწილი გაატარა აღმოსავლეთ მხარეებში.

ლამანშის გადაცურვა

ლონდონი, 17 სექტემბერი. ინგლისელმა ნორმან დერეჯმა 13 საათისა და 36 წუთის განმავლობაში გასცურა ლამანშის არხი.

იტალია ემზადება

ბერლინი, 18 სექტემბერი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს იტალიაში ბრძანება გაიცა საერთო მობილიზაციის შესახებ და საფრანგეთის ჯარები იტალიის საზღვარზე გროვდებიან.

ბრიანის გამგზავრება

პარიზი, 18 სექტემბერი. ბრიანი ჟენევიდან პარიზში გაემგზავრა.

ჩემბერლენის მოგზაურობა

ბერლინი. 18 სექტემბერ. ჩემბერლენი ჩავიდა გენუაში, საიდანაც მას განზრახვა აქვს პატარა გემით ხანგრძლივათ იმოგზაუროს ხმელთა შუა ზღვაზე.

მოითხოვენ გადაყენებას

ბერლინი, 18 სექტ. „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ მადრიდიდან, რომ ქვეითი ჯარი შეუერთდა არტილერიას და მოითხოვენ პრიმო-დე-რივერას გადაყენებას.

კმაყოფილია

პარიზი, 18 სექტ. ნიუ-იორკში ევროპიდან ჩამოსულმა მელონმა განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია საფრანგეთში და იტალიაში მოგზაურობით.

პოლონეთის არმია

ვარშავა, 18 სექტ. „რეჩ პოსპოლიტა“-ს ცნობით პოლონეთის სამხედრო სამინისტრო გამოითხოვს მომავალი წლისათვის 200 მილიონ ზლოტს, არმიის შესანახად.

დროშის შებღალვა

პარიზი, 18 სექტ. რომიდან იტყობინებიან, რომ იტალიის მთავრობამ ზომები მიიღო დასაჯოს დამნაშავენი საფრანგეთის დროშის შებღალვისათვის ვენეციაში.

სარეპარაციო კომისია

ბერლინი, 18 სექტ. დღეს ბერლინში ჩამოვიდა პარიზიდან სარეპარაციო კომისია.

სპარსეთის ქურთისტანში

თეირანი, 17 სექტ. გაზეთების ცნობებით, სპარსეთის დასავლეთით არმიის სარდალმა ხერდემიტის რაიონში დაამარცხა და გაფანტა აჯანყებულები. ქურთულმა ჯარებმა ხერდემიტს დაცლის შემდეგ დასწვეს ის.

ბელგია და გერმანია

პარიზი, 18 სექტემბერი. საერთაშორისო ფოლადის ტრესტის დაარსებას ხელი შეუშალა ბელგიელ დეპუტატების მოთხოვნილებამ.

გერმანელები თანახმა არიან შექმნან ფრანკო-გერმანული ტრესტი, ბელგიის გარეშე.

ოსმალეთს ეპატიჟებიან

ანგორა, 17 სექტ. გაზეთ „ენი სის“-ის ცნობებით, **საფრანგეთმა პირველმა წამოაყენა ერთა ლიგაში ოსმალეთის შესვლის საკითხი**, და დაბეჯითებითაც იცავდა ამ წინადადებას. ამას მოჰყვა ანალოგიური წინადადება ინგლისის მხრივ.

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 18 სექტ. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, ბალდუინის ახალი წინადადებიდან „ორივე მხრიდან უცილებელი მსხვერპლის გაღების აუცილებლობას“.

მაღაროთა მეპატრონეების მხრივ მსხვერპლათ პრესა სთვლის არბიტრაჟზე თანხმობის განცხადებას, ხოლო მემაღაროეთა მხრივ საერთო ინგლისური შეთანხმებიდან უარის თქმა.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“ უარყოფითად იხსენიებს ბალდუინის წინადადებებს.

ტანჟერის საკითხი

ლონდონი, 18 სექტ. ესპანეთის მთავრობამ მიმართა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს წინადადებით დაიწყოს წინასწარი მოლაპარაკება ტანჟერის საკითხის გარშემო.

კუკის განცხადება

ლონდონი, 18 სექტემბერი. მემაღაროეთა ბელადების მიმართ ბოლდუინის მიერ გაგზავნილ წერილის გამო, კუკმა განაცხადა: „წერილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ პრემიერისაგან, ისეთი ხასიათისაა, რომ მე ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია მის შესახებ. ამ წერილს განვიხილავთ კავშირის გამგეობის სხდომაზე 20 სექტემბერს. მაღაროს მეპატრონეთა პოზიცია ნათელია, ისინი აფერხებენ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტას, და როგორც ჩანს, მტკიცედ გადასწყვიტეს მემაღაროებს მოახვიონ თავის პირობები“.

წარმომადგენლობა მექსიკაში

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა გაანთავისუფლა თანამდებობიდან საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი მექსიკაში პესტკოვსკი და მის მაგიერ დაინიშნა ამხ. კოლონტაი.

კავშირთგაბმულობის ინტერნაციონალი

პარიზი, 18 სექტემბერი. 19 სექტემბერს პარიზში გაიხსნება კავშირთგაბმულობის მუშათა ინტერნაციონალის მორიგი კონგრესი.

ბრძოლა კალიასთან

მოსკოვი, 18 სექტ. რ. ს. ფ. ს. რ. მიწადმოქმ. კომისარიატმა გადასდო 50 ათასი მანეთი კალიასთან საბრძოლველი კამპანიის ჩასატარებლად.

საპროტესტო დეპეშა

მოსკოვი, 18 სექტ. საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ გაუგზავნა ლონდონში გენსაბჭოს დეპეშა, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ინგლისელ იმპერიალისტების მიერ ჩინეთის ქალაქ ვანსიანისათვის ყუმბარების დაშენის გამო.

არავითარი ცვლილება

ტოკიო, 17 სექტემბერი. ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში იაპონიის პოზიციაში ჩინეთის ამბების მიმართ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მთავრობა ძველებურად განაგრძობს მტკიცებას, რომ მას განზრახული არა აქვს ჩაერიოს ჩინეთის ამბებში. პრესაც უერთდება მთავრობის აზრს.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“ გამოსთქვამს რწმენას, რომ ხმები ჩან-ძო-ლინსა და სუნ-ჩუან-ფანს შორის კავშირის შესახებ, გამართლდება, და ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება კანტონის ჯარების „ზღვაში გადაყრა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობს გაზეთი, მთელი ჩინეთი გაწითლდება და ჩან-ძო-ლინის თარეშს ბოლო მოეღება.

ბეთხოვენის სიკვდილიდან 100 წ. თავი

მოსკოვი. 17 სექტემბერი. 1927 წ. მარტში შესრულდება 100 წელი გამოჩენილ კომპოზიტორის ბეთხოვენის სიკვდილის დღიდან. დასავლეთ ევროპაში გაიმართება საიუბილეო ზეიმი. ვენაში შექმნილია სპეციალური სახელმწიფო საიუბილეო კომიტეტი, რომელმაც მთელ მუსიკალურ ქვეყანას გაუგზავნა მიპატიჟება ზეიმში მონაწილეობის შესახებ. ასეთი მიპატიჟება მიიღო საბჭოთა მუსიკალურ მოღვაწეებმაც. რუსეთის მთავარ სამეცნიერო კომიტეტმა, გაუწია რა ანგარიში, რომ ბეთხოვენის შემოქმედება სულ უფრო და უფრო იზიდავს მასიურ მსმენელს, აღძრა საკითხი რუსეთშიაც სახელმწიფო საიუბილეო კომიტეტის დაარსების შესახებ. ამასთანავე ერთად, მთავარ სამეცნიერო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მოიწვიოს აგრეთვე საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკები ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ.

იტალია რუმინეთის ხელშეკრულება

„ძმა ძმისთვის“

რომი, 18 სექტემბ. სტეფანის საგენტო გადმოგვცემს, რომ იტალია - რუმინეთის სამეგობრო სათანამშრომლო ხელშეკრულება გულისხმობს შემდეგს: საერთაშორისო გაუგებრობა -“გართულებათა შემთხვევაში და იმ შემთხვევაში, თუ ორივე სახელმწიფოს ინტერესებს გარედან მოელის საფრთხე, მაშინ ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს იმ ღონისძიებათა გატარებაზე, რომლებიც შესაძლებელს გახდიან მათი ინტერესების დაცვას.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი რომელიმე მათგანის უშიშროება და ინტერესები შელახული იქნება გარედან შემოსული ძალით, მაშინ მეორე მხარე ვალდებულია მასთან თანამშრომლობის გზით აღმოუჩინოს, როგორც პოლიტიკური, ისე დიპლომატიური დახმარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეს საშიშროება. ხელშეკრულება დადებულია 5 წლით.

საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება

ვენა, 18 სექტემბერი. „დიმინეაცა“ იუწყება, რომ „საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულებაში თუმცა არის მუხლი რუმინეთის საზღვრების დაცვის გარანტიის შესახებ, მაგრამ არ არის აღნიშნული სწორად, თუ რაში გამოიხატება საფრანგეთის მოქმედება. ხელშეკრულებაში არაა აღნიშნული, საფრანგეთი ჩასთვლის თავის თავს საომარ მდგომარეობაში იმ სახელმწიფოსთან, რომელიც რუმინეთს ომს გამოუცხადებს, თუ არა. იტალია-რუმინეთის ხელშეკრულებაში კი, გაზეთების ცნობით, გარკვეულათაა აღნიშნული, რომ **იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მესამე სახელმწიფო გამოუცხადებს რუმინეთს ომს, იტალია უცხადებს ამ სახელმწიფოს ომს და ვალდებულია აღმოუჩინოს დახმარება რუმინეთს“**.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ნიჟეგოროდის ბაზრობის შედეგები

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა, ხლოპლიანკინმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ნიჟეგოროდის ბაზრობის შედეგებზე განაცხადა შემდეგი: ბაზრობის საერთო ბრუნვამ მიაღწია 143,5 მილიონ მანეთს. ბრუნვა აღმოსავლეთის 6 ქვეყანასთან უდრის 30 მილიონს, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტია შარშანდელზე. ბაზრობამ შინამრეწველი უზრუნველჰყო ნედლი მასალით. ნედლეული შემოზიდული იყო 12,5 მილიონ მანეთისა.

საექსპორტო პროგრამის შესრულება

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ნეფტესინდიკატის სამმართველოში განუცხადეს, რომ ნეფტესინდიკატის და საზღვარ-გარეთელ მის სავაჭრო ორგანიზაციების შემწეობით მიმდინარე წელს სრულიად იქნა შესრულებული დასახული საექსპორტო გეგმა.

ხელფასის დაზღვევა

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფინსახკომის მიერ წარდგენილი გეგმა სასოფლო ადგილებისა და ქალაქებში ჯამაგირების დაზღვევის შესახებ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დაევალა ამ გეგმების გამოცემა. სადაზღვევო გადასახადის შეტანილ უნდა იქნეს ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე.

კონტრ-რევოლიუც. დასჯა

სევასტოპოლი, 18 სექტემბ. სასამართლოს განაჩენი ყირიმის კონტრ-რევოლიუციონერთა საქმის შესახებ ასეთია: რაფალსკი იცნეს დამნაშავეთ საზღვარ გარეთ გამგზავრების მოწყობაში, აგრეთვე მაში, რომ ის მონაწილეობას იღებდა ძირითად კონტრ - რევოლიუციონურ ჯგუფში. სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ბრალდებულმა აღიარა თავისი დანაშაულობა, მიუსაჯა მას 8 წლის ციხეში დაპატიმრება სასტიკი იზოლაციით. დანარჩენ ბრალდებულებს მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე. ზოგიერთი გაანთავისუფლეს.

მოწოდება

მოსკოვი, 18 სექტ. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა საერთაშორისო ახალგაზრდობას, იმპერიალისტური არმიების და ფლოტის არმიების ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, ნუ აყვებიან უფროსების ბრძანებას და ნუ გახდებიან მოძმე ჩინელ მებრძოლების ჯალათათ.

ავიაქიმის აეროსტატი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ავიაქიმის პრეზიდიუმმა დღეს საღამოს მიიღო დეპეშა, რომ იარანსკიდან 60 კილომეტრის დაშორებით სამხრეთისაკენ აშვებულ იქნა აეროსტატი მფრინავებით.

პილოტები, 5 დღე მოუნდენ ულრანი ტყეების გადალახვას და იკვებებოდენ გარეული ხილით.

ფრანგ რკინისგზელების დელეგაცია

მოსკოვი, 18 სექტემბ. დღეს მოსკოვში ჩამოვიდა რკინისგზელთა და ტრანსპორტის მომუშავეთა დელეგაცია, რომელშიაც შედის 9 კაცი.

დელეგაცია გამოგზავნა ტრანსპორტელთა და რკინისგზელთა უნიტარულმა ფედერაციამ.

რევოლიუციონური დროშა

მოსკოვი, 18 სექტემბ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ წარდგენილი სურათების პროექტი საპატიო რევოლიუციონურ დროშისა და საპატიო სამხედრო საზღვაო ფლაგისათვის.

შეღავათები

მოსკოვი, 18 სექტემბ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა უფლება მისცა საკავშირო რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მოახდინონ ყოველწლიურად სრული ან ნაწილობრივი მოხსნა, ვადის გაგრძელება, ან ვადის დანაწილება სასოფლო სამეურნეო გადასახადების ნარჩენების აკრეფაში.

ს. მ. უ. ს. აპარატი

მოსკოვი, 18 სექტემბ. საკავშირო სახ. მეურ. უმაღ. საბჭომ გამოაქვეყნა სახალხო კომისარიატთან არსებული ხელმძღვანელი აპარატის შემადგენლობა: სამრეწველო გეგმა — თავმჯდომარე **რუხიმოვიჩი**; უფროსებათ: მთავ. სახელმწ. სათბობის—**რუხიმოვიჩი**, მთავ. ლითონის—**მეჟლაუკი**, მთავ. საფეიქროსი—**დიკანსკი**, მთავ. ქიმიის—**იულანი**. მთავ. ლითონისა და მთავ. ქიმთან არსდება კოლეგიები.

ნავთის ტრესტი

მოსკოვი, 18 სექტემბ. სანავთო სექციამ განიხილა საკითხი „საშუალო-აზია აზერბეიჯანის ნავთის ტრესტის დაარსების შესახებ. სექციამ არ სცნო მიზანშეწონილად „საშუალო-აზია - აზერბეიჯანის ნავთის“ ტრესტში „აზნეფტის“ და ნავთის სინდიკატის მონაწილეობა, ვინაიდან ამ უკანასკნელთ დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული, რაც დიდ ფინანსიურ საშუალებებს მოითხოვს.

წყალთა მეურნეობა

მოსკოვი, 18 სექტემბ. საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიის წყალთა მეურნეობის სექციამ 18 სექტემბერს განიხილა ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხუთწლიანი გეგმა 75 მილ. მან. რაოდენობით და დაადგინა: ვინაიდან ეს ხარჯები თავისი რაოდენობით აღემატება 1926—27 წლის საკონტროლო ციფრებს, დაწვრილებით იქნას განხილული სპეციალურ კომისიაში ხარჯთ-აღრიცხვის ყოველი მუხლი ცალ-ცალკე.

რკინისგზელთა დელეგაცია

მოსკოვი, 17 სექტემბ. **15 სექტემბერს გაემგზავრა პარიზიდან საბჭოთა კავშირში რკინისგზელთა და ტრანსპორტელების რევოლიუციონური კავშირების დელეგაცია**

მოძრაობის მოწესრიგებისათვის

მოსკოვი, 16 სექტემბ. გზათა სახალხო კომისარიატმა აუკრძალა მგზავრთა გამცილებლებს მატარებლის ვაგონებში შესვლა. გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც ავათმყოფ მგზავრს აცილებს.

ნავთი და ტრანსპორტი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. პროდუქციის ღირსების შესახებ განსაკუთრებული თათბირის ნავთის სექციამ, გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენებები ტრანსპორტის ეხლანდელ მდგომარეობაზე და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ეს ორგანოები ღებულობენ, რათა ადგილი არ ექნეს ნავთის გაწყალიანებას და გაუსუფთავებას გადაზიდვის დროს. გამოირკვა, რომ ნავთის პროდუქციებში შენარევის უდიდეს პროცენტს—1 % მეტს—ადგილი აქვს ნავთის ზღვით გადაზიდვის დროს და ამიტომ ნავთის სექციამ აღიარა, რომ ჩასასხამი საზღვაო ტონაჟის შემადგენლობა და განსაკუთრებით კი სარეიდო ტონაჟის, ნავთის პროდუქტების გადასაზიდათ, სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. ამასთან დაკავშირებით, სექციამ საჭიროდ სცნო აუცილებლად შესრულებულ იქნეს „კასპარის“ მიერ გემთ-მშენებლობის ხუთ წლიანი პროგრამა, რომელიც გამოიხატება 12 საზღვაო თბომავალის და 18 სარეიდო ბუქსირის აგებაში. ამ პროგრამის განხორციელება მოგვცემს ტონაჟის შემადგენლობის განახლების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ნავთის პროდუქტების გადაზიდვის ზრდას მომავალ ხუთი წლის განმავლობაში.

საქონლის თვითღირებულების შემცირება

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის **კუიბიშევის** ხელმოწერით გამოქვეყნებულია მიმართვა საკავშირო რესპუბლიკების ყველა სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოებისა, ტრესტებსა, სინდიკატებისა, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ სამმართველოებისა და ორგანოებისადმი; მიმართვა შეეხება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხს.

უკანასკნელ ხანებში — ნათქვამია მიმართვაში — მრეწველობის მთელ რიგ დარგებში შენიშნულია პროდუქციის თვითღირებულების ზრდა. ეს გაძვირება, რომელიც თანდათან ფართოვდება და ვრცელდება მრეწველობის სხვადასხვა დარგებზე, საფრთხის წინაშე აყენებს სახალხო მეურნეობას. თვითღირებულების ზრდა ანელებს მრეწველობის აღორძინების ტემპს და გადაულახავ დაბრკოლებებს ქმნის სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარების გზაზე. ყველა სამეურნეო ორგანოების უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ენერგიით შეეცადოს თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას. მთელი საწარმოო აპარატის ამოქმედება უყაირათობის აღმოსაფხვრელად, დაუნდობელი სისტემატიური ბრძოლა გულგრილობასა და დაუდევრობასთან, არსებული რესურსების სწორი გამოყენება და მუშების და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის აწევა, შესაძლებელს გახდის, რომ ვსძლიოთ ის ობიექტიური ფაქტორები, რომელნიც თვითღირებულების ზრდას იწვევენ.

თვითღირებულების შემცირებას უნდა მიაქციონ მთელი თავისი ყურადღება ყველა მუშაკებმა, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა სამეურნეო და მომწესრიგებელმა ორგანოებმა. ვინაიდან სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული მთელი მრეწველობის პროდუქციის საშუალო თვითღირებულების 2—3 პროცენტით შემცირება 1926—27 წელში არის კატეგორიული მინიმალური მოთხოვნილება. სახელმწიფო მრეწველობის ცალკე წარმოებათა და მთელი პასუხისმგებელი პერსონალის მუშაობას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეაფასებს არა მარტო დამზადებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ იმ წარმატებითაც, რომლებსაც ისინი მიაღწევენ წარმოების გაიაფების დარგში.

ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 სექტემბ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილების გამგის მოადგილე ისაევმა საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ განაცხადა:

„საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო გააძლიერებს მუშათა მასების ყურადღებას ამ საკითხის გარშემო კულტმუშაობის საშუალებით. პირველ რიგში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ხულიგნობის წარმომშობი მიზეზების შესწავლას და გამოიმუშაონ საშუალებები ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველ ძირითად საშუალებათ უნდა ჩაითვალოს საკლუბო მუშაობა და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის საკლუბო მუშაობაში ჩაბმა. ამავე დროს პროფკავშირთა ორგანიზაციებმა აუცილებელ შემთხვევებში უნდა მიმართონ რეპრესიულ ზომებსაც. გაუსწორებელი ხულიგნები უნდა გამოირიცხონ კლუბის წევრობიდან და გამოუცხადონ ბოიკოტი პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

1926 წლის შინაური მოგებიანი სესხი

მოსკოვი, 17 სექტემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარმა — **ბრიუხანოვმა** 1926 წლის სახელმწიფო შინაური მოგებიანი სესხის გამოშვების შესახებ განაცხადა:

„ეს სესხი თავისი ფორმით და პირობებით სრულიად განსხვავდება აქამდე გამოშვებულ სესხებისაგან. მისი მიზანია, უპირველეს-ყოვლისა, თავი მოუყაროს იმ თანხებს, რომლებიც აქამდე არ ხმარებულა ჩვენს სესხებზე და რჩებოდა წარმოებით მოხმარების გარეშე. კერძო პირების ხელში ცოტა თანხა როდი იმყოფება; ის წარმოადგენს კერძო მეურნეობის თადარიგს. ამ თანხებს მისი მეპატრონე შემდეგ ახურდავებს ან ოქროდ ან და უცხოეთის ვალიუტად.

მოზიდული თანხის მოგების დაწესება ახალ სესხით იძლევა იმდენ სარგებლობას, რომ აიძულებს ბევრს უცხოეთის ვალიუტასა და ოქროს არჩიოს გამოშვებულ სესხის ობლიგაციები.

მაგრამ, ახალი სესხი არაა ნავარაუდევი მოსახლეობის არამშრომელ ელემენტებზე. უდავოა, სესხის უმეტესი ნაწილი განაღდებული იქნება თავისუფალი პროფესიის მქონე პირებსა და მოსამსახურეებზე, რომლებიც დიდ ჯამაგირებს ღებულობენ, და, აგრეთვე, მაღალ-კვალიფიციურ და მაღალი ხელფასის მქონე მუშებზე. მათში სესხის გაშვება ხელს შეუწყობს თანხების დაგროვებას და, ამნაირად, მომჭირნეობის რეჟიმის საუკეთესო გამტარებელი იქნება ცხოვრებაში.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას საკრედიტო ოპერაციების მნიშვნელობას საერთოდ და განსაკუთრებით ახალი სესხის მნიშვნელობას თანხების დაგროვებათა პროცესში. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება დაგროვების საკითხისადმი, რადგან სწორედ ამაში მარხია ჩვენი სამეურნეო სიძნელეების გასაღები. სესხის მომავალ რეალიზაციას საფინანსო აპარატი სერიოზულად უნდა მოეპყრას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ერევანი, 18 სექტემბერი. სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების უკანასკნელი ვადა არის 25 სექტემბერი.

შაუმიანის ძეგლი

ერევანი, 18 სექტემბერი. **სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა აუგოს ერევანში ძეგლი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ბელადს სტეფანე შაუმიანს.**

8 პროცენტიან სესხის გასაღება

ერევანი, 18 სექტემბერი. ფინსახკომის სავალიუტო განყოფილება შეუთანხმდა მთელ რიგ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებსა და ბანკებს მათ სათადარიგო თანხიდან 60 პროც. გადარიცხვის შესახებ 8 პროცენტიან სესხის შესაძენად.

აზერბაიჯანი

კოოპერატიული კურსები

ბაქო, 17 სექტემბ. კოოპერატიულ საბჭოსთან, სასწავლო წლის დასაწყისიდან იხსნება 8-თვიანი კოოპერატიული კურსები.

მიწათმოწყობის ტეხნიკუმში

ბაქო, 17 სექტემბ. სასწავლო წლის დაწყებისას, **მიწათმოწყობის ტეხნიკუმში მიღებული იქნება 150 სტუდენტი**. ამათში 15 სტუდენტი იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სტიპენდიაზე და დანარჩენები კი სახელმწიფო სტიპენდიაზე.

პარკის დამზადება

ბაქო, 17 სექტემბ. **აზერბეიჯანში სწარმოებს პარკის დამზადება.** უმთავრესი დამმზადებელი არიან „აზერიტიფაკი“ და „კეიბერლიგი“, რომელნიც 1926—27 წლის სეზონის განმავლობაში დაამზადებენ 60.000 ფუთ პარკს, სულ — 1.500.000 მანეთის თანხის რაოდენობით.

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები

III*

1925—26 წლ. გეგმით ასაშენებელი ქარხნები და ფაბრიკები

1. ბორჯომის საკასრე ქარხანა

ქარხანა წიფლის საკასრე ფირების მექანიკურ წარმოებისათვის შენდება ბორჯომში, საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად.

აღნიშნულ დადგენილებით, ბორჯომში უნდა აშენდეს საკასრე ფირების ქარხანა წლიურად 600.000 კომპლექტის გამომუშავებით ერთწყება მუშაობისა და არა ნაკლებ 1.000.000 კომპლექტისა ორწყება მუშაობით; ამასთანავე შესაძლებელია ამ წარმოების უფრო გაფართოვება. წინასწარ ხარჯებისათვის დამტკიცებულია 500.000 მან. გაღება.

ინიციატივა ამ საქმეში იკისრა სატყეო ტრესტმა, რომელმაც წინადადება შემოიტანა ამ საქმისათვის ხე-ტყის ქარხნის შენობის გამოყენების შესახებ. უკანასკნელის ლიკვიდაციით. უნდა გაფართოვდეს სატყეო ქარხანასთან არსებული საკასრე ფირების დამამზადებელი განყოფილება, 47 დაზგის მიმატებით. ქარხანას ელექტრონის ენერგიას მიაწვდის ბორჯომის ჰიდრო-ელსადგური.

ქარხნის აშენებას შეუდგენ 1925 წლის მაისის ბოლოს.

ამჟამად სრულდება მანქანების დადგმა, და ქარხანა ახლო მომავალში ამუშავებული იქნება.

იმის გამო, რომ ბორჯომის ჰიდრო-ელსადგურს დღევანდელი სახით არ შეუძლია ქარხნისთვის საკმაო ენერგიის მიწოდება, ზედმეტად დატვირთვის გამო, გადაწყვეტილია მისი გაფართოება. ამ სადგურის ამუშავებამდე ქარხანა ისარგებლებს საკუთარ ორთქლძალადი (паросиловая) სადგურით, რისთვისაც იდგმება 450 ცხ. ძალიანი ლოკომობილი. ეს ორთქლძალადი სადგური ბორჯომის ჰიდრო-ელსადგურის გაფართოების შემდეგ გადატანილი იქნება შამგონის ხე-ტყის ქარხანაში, რომლისთვისაცაა ის დანიშნული.

ჰიდრო - ელსადგურისათვის საჭირო აგრეგატების შეძენის აუცილებლობის გამო, და, აგრეთვე, ღრმობითი თბობადი დანადგარის მოწყობის აუცილებლობის გამო, წინასწარ შედგენილ ხარჯთ - აღრიცხვასთან შედარებით გვაქვს გადაჭარბება. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ საამშენებლო მასალების ცოტაოდენ გაძვირებას თვით მშენებლობის დროს, მაშინ ქარხნის საერთო ღირებულება ამჟამად უნდა ვიანგარიშოთ 750.000 მანეთი.

ქარხნის საბრუნავი თანხა აღწევს 200 ათას მანეთამდე.

ქარხანაში იმუშავებს 117 მუშა-მოსამსახურე, ხოლო თუ მივათვლით გლეხებს, რომლებიც დაამზადებენ ტყეს, ეს რიცხვი გაიზრდება 1.237 კაცამდე.

ერთი კომპლექტი საკასრე ფირის თვითღირებულება იქნება 94 კაპ. ერთწყება მუშაობის დროს, ხოლო ნედლეულის (წიფლის) ღირებულება ქარხანაში—49 კაპ.

ქარხნის აშენება დაიწყო 1925 წლის ივლისში, და დასრულებული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ნახევარი ძალოსნობით, ხოლო მთელი ძალოსნობით—არა უგვიანეს 1927 წლის I-ლ იანვრისა.

2. მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა

წიფლის ნედლეულის დიდმა მარაგმა და გრეხილი ავეჯის ბაზრის დიდმა ტევადობამ მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, აიძულა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ყურადღება მიექცია ჩვენში გრეხილი ავეჯის წარმოებაზე.

ნედლეულის ადგილთან ფაბრიკის მიახლოების მიზნით და, მაშასადამე, წარმოების გაიაფების და ამ რაიონში მოსახლე მცირე მიწიან გლეხობისათვის სამუშაოს მიცემის მიზნით, გადაწყდა ფაბრიკის აშენება ამ.-კავკ. რკ. გზის სადგურ მარელისში, რომელიც იმყოფება წიფლნარი ტყის შუაგულში.

ქარხნის აშენება დაიწყო 1924 წლის ივლისში შეუთანხმებელი პროექტის მიხედვით იმ ფირმებთან, რომლებიც აწვდიან სათანადო დაზგებს: ამიტომ 1925 წლის დასაწყისში **საჭირო გახდა მუშაობის შეჩერება; პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის ხელმეორედ შედგენისა და საბოლოოდ დამუშავების შემდეგ შეუდგებით მუშაობის გაგრძელებას**

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს წინასწარ გამონაგარიშებულ ღირებულებას როგორც საწარმოო, ისე სატრანსპორტო ხაზით, ისე მთელ რიგ დამხმარე ნაშენობათა და, აგრეთვე, საცხოვრებელ ბინების აგების გამო.

მთელი ღირებულება გამონაგარიშებულია 1.127.000 მან., საიდანაც 1924—25 წელში დაიხარჯა 104.600 მ., 25—26-ში—583.000 მან., 26—27-ში განზრახული იყო 100.000 მან., 27—28-ში—220.000 მან. და 28—29-ში—120 ათასი მანეთის დახარჯვა.

წელს ქარხნის დასამთავრებლად საჭიროა კიდევ—129.000 მან.

ფაბრიკა დღეში დაამზადებს ვენის სკამების 50 თორმეტეულს; სკამების გასაღება განზრახულია საკავშირო ბაზრებზე.

ერთი სკამის თვითღირებულება უდრის 3 მან. 10 კაპ.

ფაბრიკაში იმუშავებს 200 მუშა და ტყის დამმზადებელი რამდენიმე ასი გლეხი.

ფაბრიკის აშენება დასრულდება 1926 წლის შემოდგომაზე.

3. შამგონის ხე-ტყის ქარხანა

ქარხანა დაამზადებს საამშენებლო და საუჯრო მასალას, მისი მუშაობა შეთანხმებული იქნება ქაღალდის ფაბრიკის მუშაობასთან ყველა ნარჩენი ხე-ტყის გამოსაყენებლად.

ამჟამად შენდება ხე-ტყის ქარხნის შენობა და საჭირო ეყრება შვეციიდან ნაწილობრივ მიღებულ ტყის სახერხ ჩარჩოებს.

ქარხანა დაამზადებს 1.500.000 კუბ. ფუტ დახერხილ მასალას.

ხარჯთ-აღრიცხვით ქარხნის აგება დაჯდება 307.319 მან. ერთი კუბ ფუტი დახერხილი მასალის თვითღირებულება უდრის 80 კაპეიკს, ანუ 48 კაპ. კვადრ. ვერშოკი.

ქარხანაში იმუშავებს 852 მუშა.

ქარხნის აშენება დაიწყო ამა წლის ივლისში, დასრულდება 1927 წლის იანვარს.

4. მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ზემო-ავჭალის ჰიდრო - ელსადგურის დასრულების შემდეგ შესწყდება მტკვრით ხე-ტყის დაცურება ზაჰესის ქვემო ჯებირთან. რის გამო თბილისში მომუშავე ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა გადატანილი იქნება მცხეთაში და გაერთიანებული ერთ დიდ ქარხანაში.

ამჟამად ქარხნის შენობა გადახურულია, საძირკველი ამოშენებულია; დასრულებულია [illegible] დამხმარე შენობების აგება და შეუდგებით კიდეც თავისუფალ მანქანების გადატანას.

ქარხანა დაჯდება 144.000 მანეთი.

დახერხვის თვითღირებულება დაახლოვებით იქნება 12 კაპ. ეხლანდელ 15-20 კაპ. მაგიერ თბილისის ქარხნებში.

5. აბრეშუმის სართავი და აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები

ჩვენში ნედლი მასალის (პარკის) სიუხვის წყალობით საქართველოს აბრეშუმის მრეწველობას დიდი მომავალი აქვს

ნედლი პარკის დამზადებაში საქართველომ არა თუ მიაღწია ომის დროინდელ ნორმას, არამედ გადააჭარბა კიდეც მას.

1926 წელში დამზადებული იქნა 150.000 ფუთი ნედლი პარკი.

სააბრეშუმო მრეწველობის განვითარება განზრახულია უმთავრესად აბრეშუმის დართვის ხაზით, საქართველოში სააბრეშუმო საქმისათვის მტკიცედ დაყენების მიზნით.

1925-26 წლის ახალი საამშენებლო პროგრამის მიხედვით, უნდა აშენებულიყო სამი ახალი აბრეშუმის სართავი ფაბრიკა და ერთი აბრეშუმის სახვევი.

მიმდინარე წელს შეუდექით სამი ახალი აბრეშუმის სართავი ფაბრიკის აშენებას თელავსა, ხონსა და ოზურგეთში 172 ქვაბის საერთო გამომუშავებით. დღევანდლამდე ამ მუშაობას აწარმოებდა საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ განსაკუთრებულად დანიშნული რწმუნებული, ე. ი. არც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, არც საზ-ბა „აბრეშუმი“ ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა.

თელავის და ხონის ფაბრიკები ამუშავებულ იქნენ სეზონისათვის ხოლო ოზურგეთისამ ცოტა დაიგვიანა, ცემენტისა და დაზგების დროზე მიუღებლობის გამო.

სააბრეშუმო საქმის განვითარება ჩვენში პირველ ყოვლისა უნდა წარიმართოს აბრეშუმის სართავ ფაბრიკების გაფართოვებისაკენ, მთელი სააბრეშუმო წარმოებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე. ამის გამო განზრახულია საქართველოს ახლად მოწყობილ სააბრეშუმო ტრესტის მთელი შემოსავალი მთელ რიგ წლების განმავლობაში მოხმარდეს ამ საქმის გაფართოვებას, და შემოსავლის არც ერთი ნაწილი არ გადაირიცხოს ხაზინაში მანამდე, სანამ ამ ტრესტს არ შეექმნება მტკიცე ნიადაგი.

1925-26 წლის პროგრამა განხორციელებული იქნება სრულად და ამუშავებულ იქნება სამი აბრეშუმის სართავი ფაბრიკა, ამ ახლო მომავალში დასრულდება [illegible] აბრეშუმის სახვევი ფაბრიკაც.

ფაბრიკაში დადგმულია უკანასკნელი კონსტრუქციის იტალიური მანქანები.

ყველა სამი ფაბრიკა წელიწადში დაამუშავებს 1.650 ფუთ გრეჟს ერთწყება მუშაობით.

გრეჟის ამ რაოდენობის მისაღებათ საჭიროა 7.000 ფუთი მშრალი ან და 21.000 ფუთი ნედლი პარკი.

გრეჟის გასაღება სავსებით უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირის აბრეშუმის საქსოვ მრეწველობის მიერ, რომელიც თანდათან ფართოვდება და რომელიც ომამდე ხმარობდა 120.000 ფუთ. გრეჟს.

აბრეშუმის სახვევი განყოფილება მოწყობილია ოზურგეთის ფაბრიკასთან; მისი მოწყობილობა შესდგება 2.400 თითისტარისაგან, რომლებითაც წელიწადში შეიძლება 800 ფუთი ხვეული ძაფის დამზადება.

ყველა ქარხნების ღირებულება უდრის 455.000 მანეთს.

მომავალ 1926-27 სამეურნეო წლისათვის განზრახულია კიდევ ერთი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის აგება, 400 ქვაბის წლიური გამომუშავებით.

6. მაუდის ფაბრიკა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ამუშავების შემდეგ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე წამოიჭრა საკითხი ადგილობრივი მატყლის ყოველმხრივ შესწავლის შესახებ როგორც მისი რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. 1923-24 წელში მატყლის ადგილობრივი ბაზრის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მატყლის დამზადება უახლოვდება ომის წინადროინდელ ნორმას, სახელდობრ—160.000 ფუთს. ადგილობრივ მატყლის ხარისხის გამოსარკვევად მოსკოვში პროფ. სუვოროვს, ცნობილ ავტორიტეტს მატყლის გადამუშავებაში, გაეგზავნა გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნაკრეჭი მატყლი 500 ფუთის რაოდენობით; მის ხელმძღვანელობით წარმოებულმა როგორც საქარხნო, ისე ლაბორატორიულმა გამოცდამ დაამტკიცა, მატყლის ვარგისობა, როგორც წმინდა შევიოტის, ისე მაუდის ქსოვილების დასამზადებლად.

მაუდის ფაბრიკის აგების პროექტს საფუძვლად ედო ამ ფაბრიკაში 61.000 ფ. გაურეცხავი მატყლის დამუშავება ორწყება მუშაობით დღეში.

ფაბრიკის დანიშნულებას შეადგენს, უმთავრესად, ადგილობრივი ქართული მატყლიდან მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების საქონლის დამზადება.

მატყლის საერთო აკრეფა საქართველოში ომამდე უდრიდა დაახლოვებით 160.000 ფუთს; ასე, მაგალითად, 1913 წელს საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გატანილ იქნა 99.567 ფ. და რუსეთში—37.236 ფუთი მატყლი; სულ — 136.803 ფ.

თუ ამას მივუმატებთ მატყლის იმ რაოდენობას, რომელიც ადგილობრივ იქნა დამუშავებული (აკრეფილი მატყლის 25 პროც.), მივიღებთ ზემოაღნიშნულ ციფრს—160.000 ფუთს.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, 1925 წელს საქართველოში ითვლებოდა 1.282.480 სული ცხვარი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერთი ცხვარი საშუალოდ იძლევა 4 გირვანქა მატყლს, მაშინ საქართველოს მატყლის წლიური მარაგი შეიძლება განისაზღვროს 128.248 ფუთით.

ამნაირად, მაუდის ეს განზრახული ფაბრიკა, ისე როგორც დღეს არსებული ქუთაისის ფაბრიკაც, სავსებით უზრუნველყოფილია ნედლი მასალით—მატყლით.

ახალი ფაბრიკის პროექტი შედგენილია მატყლის ადგილობრივი ხარისხების შესწავლის, სხვადასხვა ხარისხის მატყლის ნარჩენის და, აგრეთვე, ადგილობრივი ბაზრის მაუდის ქსოვილთა ტევადობის აღრიცხვის ნიადაგზე.

ამას გარდა, მოსკოვის ერთ-ერთ ფაბრიკაში მოახდინეს ჩვენი მატყლის გადამუშავების ცდა, რომელმაც სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო და რომლის შემდეგ გადაწყდა შევჩერდეთ მაუდის კომბინაციური წესით წარმოებაზე.

ფაბრიკამ უნდა დაამზადოს 1.177.900 მეტრი მაუდი.

ფაბრიკაში იმუშავებს 900 მუშა.

ფაბრიკა მთლიანად დაჯდება 2.500.000 მან. ამ თანხიდან გაღებულია 1925-26 წლისათვის 600.000 მან., ხოლო მომავალ წლისათვის გამოთხოვილია 1.580.000 მან.

საბრუნავ თანხად საჭიროა 1.000.000 მანეთი.

1925-26 წლისათვის გაღებულია 600.000 მანეთი, რომლის ნაწილი უკვე დახარჯულია. ნაწილი კი მოხმარებული იქნება მომავალი წლის სესხის მიღებამდე.

თანხების გაღების შემდეგ ფაბრიკების ასაგები მუშაობა მიდიოდა ორი მიმართულებით; ერთი მხრივ პროფ. სუვოროვი ამუშავებდა ფაბრიკის საერთო პროექტს, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივ მზადდებოდა საჭირო საამშენებლო მასალა. პროექტის შედგენას შედარებით ძალიან დიდი დრო დასჭირდა იმის გამო, რომ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ყველა ადგილობრივი საკითხების ერთი მეორესთან შეთანხმება, და აგრეთვე, საჭირო იყო ამ პროექტის დამტკიცება ცენტრის უმაღლეს ორგანოების მიერ; მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამჟამად პროექტის დეტალები ისეა დამუშავებული, რომ უკვე შეუდექით საძირკველის ჩაყრას და საჭირო მოწყობილობების დაკვეთას.

7. ბარიტის ქარხანა

ბარიტის ქარხანა ქუთაისში შენდება იმ მიზნით, რომ ბარიტის ბელტები გაიწმინდოს თიხისაგან, რკინის წყალჟანგისაგან და უვარგის ჯიშისაგან, და, აგრეთვე, მისი დაფქვის მიზნით, რაც გაცილებით მაღლა ასწევს მის საბაზრო ღირებულებას.

საერთო ღირებულებით ეს ქარხანა დაჯდება 400.000 მან., რომლიდანაც 130.000 მან. გამოყენებული იქნება მიმდინარე წელში, უმთავრესად საამშენებლო სამუშაოებისათვის, ხოლო დანარჩენი 270.000 მან. მოხმარებული იქნება მერმის საზღვარ-გარეთ დაკვეთების მისაცემად და შენობების დასამთავრებლათ.

ფულის დაგვიანებით გაცემის გამო (ფული მიღებულ იქნა მხოლოდ 1926 წლის ზაფხულში) შეჩერდა ფაქტიური მუშაობის დაწყება; თუმცა მუშაობის შეჩერება გამოიწვია, აგრეთვე, საზღვარგარეთულ საქარხნო მოწყობილობების ნახაზების დაგვიანებით მიღებამ.

ამჟამად დაწყებულია ქარხნის შენობის აგება. ნაწილი შენობისა ადგილობრივ უკვე აშენებულია, შენდება სარკინიგზო მისადგომი ჩიხი, აშენებულია საწყობები და სწარმოებს საამშენებლო მასალების მოზიდვა.

გზათა სახალხო კომისარიატის მიერ აგვისტოს დასაწყისში მიღებული დადგენილება ამიერ-კავკასიიდან ბარიტის გადასაზიდ ტარიფის 100%-ით გადიდების შესახებ, მეტად არასასურველია ბარიტის მრეწველობის გაშლის ამ მომენტში.

ეს ღონისძიება, გზათა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად კარელიის და ურალის ბარიტის მიმართ, აიძულებს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოსთქვას პროტესტი ტარიფის აწევის წინააღმდეგ, რაზედაც სათანადო მოხსენებაა გაკეთებული საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

ელექტროფიკაცია

ელექტროფიკაციის პროგრამა მომავალ საბიუჯეტო წლისათვის იყოფა სამ ნაწილად:

პირველი ჯგუფი—სამი სადგური, რომლებიც შენდებიან: ზემო - ავჭალის აჭარის წყალის და აბაშის.

მეორე ჯგუფი—ორი სადგური: ქუთაისისა და აფხაზეთის, რომელთა ასაგებ სამუშაოების დაწყება განზრახულია მომავალ 1926—27 სამეურნეო წელში. ამ ჯგუფისათვის გამოთხოვნილია 2.900.000 მანეთი.

მესამე ჯგუფი—კახეთის გამოსაკვლევი სადგურები, რომლისთვისაც გამოთხოვილია 40.000 მანეთი გამოკვლევების საწარმოებლათ და პროექტის შესადგენათ.

უკვე დამტკიცებულია ქუთაისის, აჭარის-წყლის და აბაშის ჰიდრო-ელსადგურების პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვა.

ამ სადგურების აშენებით დასრულდება საქართველოს ელექტროფიკაციის პირველი საფეხური. ყველა მთავარ ქალაქებს და დასახლებულ რაიონებს მიეწოდება ელექტრონის ენერგია ისევე, როგორც სამრეწველოებს და რკინის გზას. შემდეგ განზრახულია თოფაროვანის მსხვილ გამწესრიგებელ და მძლავრ ჰიდრო-სადგურის აშენება, რომელიც, ალბად, იქნება ყველაზე დიდი და ყველაზე იაფი ძალის ერთეულის მიმცემი. მისი პირვანდელი ძალოვნობა 100.000 ცხ. ძალა (თუ წყალის დაქანებას ექნება 500 მეტრის სიმაღლე), და აყვანილი იქნება 200.000 ცხენის ძალამდე. თუ სარჯვა მოწესრიგებული იქნება და თუ ახალქალაქის ტაფობი (плато) გამოყენებული იქნება, როგორც წყალსაცავი მეტად იაფი ელექტრონის ენერგია წინ წასწევს ელექტრო-ქიმიურ მრეწველობას.

გამოკვლევებისა და პროექტების შესადგენათ საჭიროა 47.000 მანეთი, რაც უნდა დაიფაროს ადგილობრივი საშუალებებით.

1. ზაჰესი

სადგურის სიძლიერე ამჟამად 18.000 ცხენის ძალას უდრის. ელექტრონის ენერგიის მოხმარების განვითარებასთან ერთად იგი შეიძლება გაფართოვებულ იქმნას 50.000 ცხენის ძალამდე. პირველ წლებში მოსალოდნელია 25.000.000 კლვ. დატვირთვა; სადგურის ღირებულება გადაცემისა ხაზითა და უმაღლეს ძაბვის ქსელით დაახლოვებით უდრის 15.000.000 მან. წლიური ხარჯები დაბალი ძაბვის ქსელით—2.000.000 მან., რაიც იძლევა ენერგიის ღირებულებას საშუალოდ 8 კაპ. კილოვ. შემდეგში ეს ღირებულება შემცირდება. სადგურის ამუშავება ამა წლის ოქტომბერში დაიწყება.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 212.

პარტიული ცხოვრება

პარტიული თათბირი

ს. კ. (ბ) ც. კ. სამდივნოს დადგენილებით, ა. წ. 5 ოქტომბერს მოწვეულია თბილისის კომიტეტის, სოლქო და სამაზრო კომიტეტების, თბილისის ორგანიზაციების რაიკომების, სააგიტაციო-საპრ. გამგეების ხაშურის და სამტრედიის რაიკომების მდივნების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში: 1. მოხსენებები ადგილებიდან (თბილისი, აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი. გურია, თელავი, ბორჩალო, ზუგდიდი).

2. საგიტ.-საპრ. მუშაობის მორიგი ამოცანები—(მომხსენებელი საყვარელიძე).

ა) პარტ-განათლების ქსელის შესახებ, ბ) ქოხ-სამკითხველოების მუშაობის შესახებ, გ) ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ, დ) ფიზიკური კულტურის შესახებ, ე) კლუბთა სახლების მუშაობის შესახებ, ვ) მოსწავლეთა შორის ა. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ, თ) ბ. კ. რ. პარტ-ხელმძღვანელობის შესახებ, კ) ყოფ. მენშევიკთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. ლ) საგიტ.-საპრ. კომისიის და აგიტპროპ-ორგანიზატორების მუშაობის შესახებ, მ) აგიტაციის შესახებ.

3) საშეფო მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი იმედაძე).

4. ანტი-რელიგიური მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი იმედაძე).

5. მოხსენება პოლიტ-განათლების მთლიან სისტემის შესახებ. (საქ. ა. ლ. კ. კ. ძიგრაშვილი).

6. თვითგანვითარების შესახებ—(მომხსენებელი თათარიშვილი).

7. მასწავლებელთა შორის მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი თათარიშვილი).

მოსავლის დღე

მოსავლის დღე, რომელიც სისტემატიურად ყოველ წელს ტარდება მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც ვიცით, ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა საქართველოშიაც. მაგრამ ეს დღესასწაული არ ატარებდა სრულიად საქართველოს გლეხობის დღესასწაულის ხასიათს და ჩატარდა მხოლოდ რამდენიმე მაზრაში. წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მოსავლის დღის გეგმაშეწონილად ჩატარებას, როგორც აგიტაციურ საშუალებას გლეხობის სოფლის მეურნეობის მიღწევებთან გასაცნობად, დაადგინა **სრულიად საქართველოს მოსავლის დღის, 24 ოქტომბრის უქმობა.**

ამ დღის სასოფლო - სამეურნეო მუშაობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უკვე დამთავრებულია.

დღესასწაულის ძირითად ამოცანებს შეადგენს მიმდინარე წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობის დარგში მიღწევების გამოაშკარავება და აღნუსხულ ნაკლის გამოსწორება.

დღესასწაულმა აგრეთვე უნდა განამტკიცოს მუშებისა და გლეხების კავშირი მინდვრის სამუშაოების წარმატებით დამთავრების ზეიმის ნიადაგზე. ამიტომ დღესასწაულში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საშეფო ორგანიზაციებმა.

დღესასწაულისთვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად სოლქო და სამაზრო ცენტრებში ეწყობა სოლქო და სამაზრო კომისიები. ესენი აწყობენ თემებში სათემო კომისიებს. სოლქო კომისიების შემადგენლობაში შედიან პარტიულ ორგანიზაციების, ახკომკავშირის, სამიწადმოქმედო კომისარიატის, განათლების კომისარიატის, პროფკავშირების, განათლების მუშაკთა კავშირის, მიწატყის კავშირის და აგრეთვე კოოპერაციის წარმომადგენლები.

კომისიის წინასწარი მუშაობა გამოიხატება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მასალების დამუშავებაში, გლეხობის მოსავლის დღის მნიშვნელობასთან გაცნობის მიზნით გლეხების სათემო კონფერენციების მოწყობაში, სასოფლო - სამეურნეო ლიტერატურის შერჩევაში, მაზრებში სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ პლაკატების და დიაგრამების დამზადებაში.

სამაგალითო სასოფლო - სამეურნეო წრეების, კოლექტივების და დაწინაურებულ გლეხურ მეურნეობათა დასაჯილდოებლად შექმნილი იქნება განსაკუთრებული ფონდი. ფონდი სდგება კოოპერატიულ ორგანიზაციების, აღმასკომების, მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოების და საშეფო ორგანიზაციების გადანარიცხებიდან. კომისიის ამოცანაში შედის აგრეთვე მოსავლის დღესასწაულში ადგილობრივ კულტურულ ძალების და საშეფო ორგანიზაციების მიზიდვა და სასოფლო - სამეურნეო წრეების და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების გახსნის მომზადება.

დღესასწაულის მნიშვნელობა და გეგმა ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული პრესაში და ადგილობრივ კედლის გაზეთებში. გლეხობა ფართოდ უნდა მომზადდეს სათემო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად.

გამოფენებში ფართო მონაწილეობას მიიღებენ მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოები, კოლექტიური მეურნეობანი, არტელები, სასოფლო - სამეურნეო წრეები და პიონერთა ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ მინდვრები, კოოპერაცია და პარტიული და არა პარტიული გლეხები. გამოფენა დანაწილებული იქნება განყოფილებებად: მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, კოოპერაცია, საბჭოთა აღმშენებლობა და კანონმდებლობა. ამ უკანასკნელ განყოფილებაში შეგროვილი იქნება ციფრული მოცემულები საბჭოთა აღმშენებლობაზე გლეხობის მიზიდვაზე, გადასახადებზე, სასოფლო - სამეურნეო კრედიტზე, გლეხებისთვის სატყეო მასალის გაცემაზე და მოსახლეობის საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

ქოხ - სამკითხველოებში უნდა ჩატარდეს ფართო კამპანია მოსავლის დღის მნიშვნელობის შესახებ და აგრეთვე უნდა მოეწყოს სასოფლო სამეურნეო წიგნების გამოფენა.

დღესასწაულს გახსნის კომპარტიის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების, აღმასკომის და კოოპერატივის უჯრედი საზეიმო სხდომაზე. სხდომაზე გაკეთებული იქნება მოკლე მოხსენება დღესასწაულზე, პოლიტ - განმანათლებელ მუშაობაზე სოფლად და საბჭოთა ხელისუფლების იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ. შემდეგ მოხდება ადგილობრივ სასოფლო - სამეურნეო გამოფენის დათვალიერება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების მუშაობის დემონსტრაცია. საღამოს ადგილობრივ აგრონომიულ და კულტურულ ძალების ფართო მონაწილეობით გაიმართება საჩვენებელი გასამართლება, სპექტაკლები და კონცერტები.

სოფლის ყველა კულტურულმა ძალებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში. გლეხებისთვის სასოფლო - სამეურნეო გამოფენისა და დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, ვრცელი ცნობების მიწოდებით უნდა ვაიძულოთ გლეხობის ფართო მასები მიიღონ აქტიური მონაწილეობა მოსავლის დღის მოწყობასა და ჩატარებაში.

პარტიის მთლიანობისათვის

ლენინურ ცეკასთან ერთად

14 სექტემბერს, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგა საქართველოს ა. ლ. კ. კავშირის ქალაქის რაიკომის უჯრედთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო ხუთასამდე წევრი და კანდიდატი.

დღის წესრიგში იდგა ამხ. **კახიანის** მოხსენება, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებზე პარტიის რიგების მთლიანობის და ამხ. ზინოვიევის, კამენევის, ლაშევიჩის და სხვა ამხანაგების შესახებ.

ამხ. მ. კახიანმა ვრცლად გააცნო კრებას ის საფრთხე, რომელსაც ოპოზიცია უმზადებს ჩვენი პარტიის მთლიანობას და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და აღნიშნა მათი შეცდომები და გადახრები ლენინური ხაზიდან. შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომელიც მიიღო საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვების წინააღმდეგ.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც გაცემულ იქნა შესაფერი პასუხი. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„საქართველოს ა. ლ. კ. კავშირის ქალაქის რაიკომის უჯრედთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის დადგენილების, ჩვენი პარტიის მთლიანობის და ოპოზიციონერ ამხ. ზინოვიევის, კამენევის, ლაშევიჩის და სხვების საქმეზე. ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის უჯრედთა გაერთიანებული კრება სავსებით ეთანხმება ცენტრალურ კომიტეტის და საკონტროლო კომისიის დადგენილებებს. კრება დარწმუნებულია, რომ პარტია და მასთან ერთად კომკავშირი მჭიდრო მთლიანობით და ფოლადისებური დისციპლინით გაუძღვება მუშათა კლასს საბოლოო გამარჯვებამდე. კომკავშირი მუდამ იდგა და დგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე, ის მტკიცედ გაჰყვება ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას და სასტიკად გაილაშქრებს პარტიის მთლიანობის მრღვეველთა წინააღმდეგ. კრება აცხადებს, რომ ის, ვინც ილაშქრებს ჩვენი პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ აშკარა მტერია სოციალისტური მშენებლობის, ხელს უწყობს მსოფლიო ბურჟუაზიას პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ქალაქის რაიკომის უჯრედთა გაერთიანებული კრება გადაჭრით აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს ლენინიზმის ოდნავ დამახინჯებას და მუდამ ივლის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიის ცეკას!

ქარიშვილი.

ვიბრძოლებთ ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ

სექტემბრის 16, მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის ნაწილების საერთო ტერიტორიალურ შეკრების ადგილას აღნიშნულ ნაწილების პარტაქტივის კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. ყორქიკაშვილის მოხსენება ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ მე-2 ქართულ მსრ. დივიზიის პარტაქტივი სავსებით ეთანხმება პლენუმის მიერ გამოტანილ დადგენილებას.

კრება აღნიშნავს, რომ სავსებით მიზანშეწონილი და სწორია ის ნაბიჯები, რომლებიც გადასდგა პლენუმმა ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვების მიმართ, ვინაიდან მათი ცდა პარტიაში ფრაქციების შესაქმნელად, არის ცდა, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ. კრება თავის მხრივ გამოსთქვამს აღშფოთებას იმ ამხანაგების მიმართ, რომელნიც 1924 წელში თავგამოდებით ებრძოდნენ ოპოზიციას ფრაქციულობის დაშვების მოთხოვნისათვის და ეხლა კი თვითონ მიემხრნენ მათ მიერვე დაგმობილ პოზიციას.

კრება გადაჭრით აცხადებს, რომ დივიზიის პარტორგანიზაცია ყოველთვის იბრძოლებს პარტიის ლენინური ფოლადისებური მთლიანობისათვის და არავის მისცემს ნებას დაარღვიოს მისი სიმტკიცე.

პარტიულ და პოლიტიკურ ლიტერატურის გავრცელების შესახებ *)

ზედმეტია ლაპარაკი არაპერიოდიულ გამოცემების მნიშვნელობის შესახებ პარტიულ და ახ. კომკავშირის ფართო მასების პოლიტიკურ აქტივობის ზრდის საქმეში. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ პარტიულ და პოლიტიკურ ლიტერატურის გავრცელების საქმეს ბევრი რამ აკლია. უკეთ არის მოგვარებული ეს საქმე ქალაქებში, სადაც გამოდის პარტიულ და პოლიტიკურ ხასიათის ლიტერატურა და პარტიის და ახ. კომკავშირის ამა თუ იმ წევრს აქვს საშუალება უშუალოდ შეისყიდოს წიგნის მაღაზიებში მისთვის საჭირო ლიტერატურა ამა თუ იმ საკითხზე. სულ სხვა სურათია სოფელში, სადაც წიგნის მაღაზიები იშვიათია და ამის გამო მსურველს არა აქვს ამა თუ იმ წიგნის შეძენის საშუალება. ეს იმ დროს, როდესაც მოთხოვნილება ამ წიგნებზე დღიდან-დღეზე მატულობს მასების პოლიტიკურ აქტივობის ზრდასთან ერთად.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო მასებში პარტიულ და პოლიტიკურ ხასიათის წიგნების გავრცელების საქმის სათანადოთ მოგვარებას, ჩვენის აზრით ამ მიმართულებით დიდი პრაქტიკულ ხასიათის მუშაობა შეიძლება გატარდეს ჩვენი პარტიის და ახ. კომკავშირის უჯრედებში. უჯრედის შემადგენლობიდან შეიძლება ერთ-ერთ წევრის—„წიგნკორ“-ის გამოყოფა, რომელსაც დაევალება პრესის საშუალებით თვალყურის დევნა ახლად გამოსულ პარტიულ ან პოლიტიკურ ხასიათის ლიტერატურისათვის. ეს ამხანაგი შეარჩევს წიგნებს და ყოველ ასეთი წიგნის გამოსვლის შესახებ აცნობებს უჯრედის განცხადების დაფის საშუალებით უჯრედის წევრებს. უნდა გამოცხადდეს აგრეთვე წიგნის ფასი და, შეძლებისდაგვარად ბიბლიოგრაფია, თუ ასეთი მოიპოვება. ასეთი მეთოდით წიგნით დაინტერესდებიან არა მარტო პარტიული მასა და ახ. კომკავშირელები, არამედ უპარტიონიც. ამა თუ იმ წიგნის შეძენის მსურველები მიმართავენ გამოყოფილ ამხანაგს, რომელიც იწერს უშუალოდ გამომცემლობისაგან მოთხოვნილ ლიტერატურას.

ჩვენ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციებში მრავალი ასი და ათასი უჯრედები გვაქვს ჩამოყალიბებული და თუ ყველგან იქნა შემოღებული ასეთი წესი პარტიულ და პოლიტიკურ ლიტერატურის გამოწერისა და გავრცელებისა, ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ ლიტერატურის გამოცემის მატერიალურ მხარეს. მეორე მხრივ თუ იმატებს მოთხოვნილება ზემოაღნიშნულ წიგნებზე, ამაღლდება აგრეთვე პარტიულ და კომკავშირთა მასების პოლიტიკური და კულტურული დონე, რაც ჩვენ პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

---

*) წინადადების წესით. სასურველია ამ საკითხზე სხვა ამხანაგებიც გამოსთქვამდენ თავიანთ მოსაზრებებს.

რედ.

კომკავშირი ზემო-სვანეთში

კომკავშირის ორგანიზაციას სვანეთში მტკიცე საფუძველი მხოლოდ 1924 წელს ჩაეყარა. ორგანიზაციის ნამდვილი საქმიანობა ამ წლიდან იწყება. მას შემდეგ კომკავშირი სვანეთში შეუჩერებლივ იზრდება და ამჟამად ორგანიზაციაში უკვე 675 წევრი და კანდიდატი ირიცხება. მათ შორის 70 ქალიშვილია, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სვანეთის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში ქალთა შორის მუშაობა საერთოდ ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ეს რასაკვირველია არ არის ქალთა შორის მომუშავე ამხანაგის ბრალი. სვანეთის თავისებური პირობები ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას, რათა ეს მუშაობა ფართოდ იქნეს გაშლილი.

კომკავშირის უჯრედი ზემო-სვანეთში ხუთია. უჯრედების კრება ზოგან კვირაში ერთხელ ხდება. ზოგან კი ორ კვირაში ერთხელ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ალაგებზე კომკავშირის უჯრედიდან წევრები 20—25 ვერსით არიან დაშორებული. მაგრამ კრებაზე მაინც ძალიან იშვიათად აკლდებიან ხოლმე. დისციპლინა მტკიცეა. კომკავშირი თანდათანობით იმსჭვალება ახალი ყოფა-ცხოვრების გავლენით. მათ შორის უკვე აღარ აქვს ადგილი ძველ ადათ-წესებს როგორიც არის სისხლის აღება და სხვა. მასწავლებლობა დიდ კულტურულ მუშაობას ეწევა სვანეთში და კომკავშირსაც ძალიან ეხმარება. ლტოლვა სწავლისადმი სვან ახალგაზრდობაში ძალიან დიდია. ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

ს. სარია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სამკურნალო საქმე ფოთში

ფოთი, 18 სექტემბერი. ამჟამად ქალაქში მუშაობს 5 ამბულატორია, რომლებშიაც მსახურობს: 12 ექიმი, 6 ექიმის თანაშემწე, 4 ბებიაქალი და 5 კბილის ექიმი. აგვისტოს განმავლობაში სამბულატორიო დახმარება აღმოუჩინეს 1.269 ავადმყოფს, სტაციონარული—131. ბინაზე—109. ავადმყოფების მეტი წილი ციებით დაავადებულია.

თემების შემცირება

ონი, 18 სექტემბერი. რაჭის აღმასკომმა მოახდინა თემების რაოდენობის შემცირება 30-დან—22-დე. გაუქმებულია საკაჭის, მაზვის, შქმერის, ფორახეთის, ვოლევის, ნიკორწმინდის, გადმის და ჭიორის თემები.

წერილები

დოლაკიძის გადარეული

(თერჯოლა, შორაპ. მ.)

თერჯოლის თემი ძველთაგანვე განთქმულია მკითხავ ექიმბაშებით. თვითეულ ექიმს თავისი გამოგონილი წამალი აქვს. ასე მაგალითად ჩვენს თემში ცნობილია „გაიანეს წამალი“ თვალნაკრავის წინააღმდეგ.

არის აგრეთვე „ლუხუტაშვილის და მაჭარაშვილის“ „საყმაწვილოს“ წამალი. ექიმბაშ დოლაკიძეს კიდევ თავისი წამალი აქვს, რომელიც ადგილობრივ დედაბრების სიტყვით „მისწრებაა ჭკუიდან შეშლილისათვის“.

მართალია პაპა და ბაბუა ექიმბაშები კარგა ხანია გადაშენდნენ, მაგრამ მათ ღირსეული მემკვიდრეები დასტოვეს, რომლებსაც სიკვდილის წინ გაუმხილეს თავიანთი ხელობის საიდუმლოება. სახელი ზოგიერთ ექიმბაშებს ძალიან შორსა აქვთ გავარდნილი. ზოგიერთ წამლის მარკას ათეული წლების ისტორია აქვს. აბა, რა უნდა გააწყოს მასთან საექიმო პუნქტის ფერშალმა?

თერჯოლელებმა, რომლებიც ექიმბაშების გვერდით ცხოვრობენ და იციან მათი ასავალ-დასავალი, კარგა ხანია დაკარგეს რწმენა „საყმაწვილოების“ და „გაიანეს წამლების“. სამაგიეროთ, დიდ პატივისცემაში არიან ჩვენი შინაური ექიმბაშები გარეშე სოფლებში. ვინ იცის, საიდან არ მოდიან მათთან სნეულნი და დავრდომილნი „განსაკურნავათ“.

აი, მაგალითად, ექიმბაში დოლაკიძე. ის გადარეულებს „არჩენს“. პატრონი რომ სადმე იყვეს, თვითონ დოლაკიძეც „ჭკუაზე მოსაყვანი“, მაგრამ რა გინდა ქნა, როცა ბევრს კიდევ სჯერა ექიმბაშების. ჩვენში ღვინით ნაწყენ კაცს ღვინოსვე მიაწოდებენ: „რამაც გაწყინა—იგივე მოგიხდესო“.

ასე მოსდის დოლაკიძის „პაციენტებს“. თვითონ დოლაკიძე ჭკუის სასაწყალი კაცია და მას კიდევ სულით ავადმყოფებს აბარებენ მოსარჩენათ. ამჟამად მას სახლში ჰყავს ვიღაც შორიდან მოყვანილი გადარეული, რომელსაც არჩენს. ავათმყოფის მთელი მკურნალობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დოლაკიძემ მას, რაც ღობის სარები იყო სულ ზურგზე გადააშენა.

მთელი კუთხე შიშის ზარითაა შეპყრობილი ბავშვებს და დიდებსაც კი გადარეულის შიშით თავისუფლად ვერ გაუვლიათ ორღობეებში. პატარებს ღამე არ სძინავთ. დიდები აშინებენ: „დოლაკიძის გიჟი მოვა და წაგიყვანსო“.

აღსანიშნავია, რომ დოლაკიძე აღმასკომის გვერდით სახლობს. ადგილობრივი ხელისუფლების მუშაკნი მთელ ამ სურათს მისჩერებიან და ხანდისხან თუ გაიცინებენ, თორემ ზომების მიღებაზე, „პირჯვარი გვწერიათ“, თავსაც არავინ იტკენს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ექიმბაშები თერჯოლაში გაიხარებენ.

ვალ—ია.

ჯერ კიდევ დროა

(წერილი გორის მ.)

ელვის სისწრაფით მოედო ცნობა გორის მაზრის ხილიან სოფლებს, რომ რესპუბლიკის მეხილეთა ცენტრები წელს ხილის ოპერაციას არ აწარმოებენ, რადგან ბანკებმა მათ კრედიტი არ მისცესო. გლეხები ეძებენ გამოსავალს და ვერ პოულობენ. ხილის მოკრეფის დრო კარზეა მომდგარი; აუარებელი ხილია მაზრაში; თამამად შეიძლება ითქვას, რომ წელს არა ნაკლებ რვაასი ათასი ფუთისა მოგროვდება და ვინ უნდა მოუაროს მას, ვერ წარმოგვიდგენია.

ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენს გლეხობას მოსავლის ერთი მეათედის მოსათავსებელი ბინაც არა აქვს. „რა ვქნა, შენი ჭირიმე, ხილი რომ სახლში დავაწყო, ოჯახს ცის ქვეშ ხომ არ დავტოვებ“-ო, ჩივიან გლეხები.

კიდეც რომ მოისურვოს ოჯახის ცის ქვეშ დატოვება, ხილის მოკრეფას და დაბინავებას ხომ ინვენტარი და ხარჯი უნდა; რომელი თანხიდან მოახერხებენ გლეხები ყველა ამას?

ადგილობრივ ორგანოებს არავითარი საშუალება არა აქვთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ გლეხებს: ყველა ეს სამეურნეო ამხ-ბები მუშაობდნენ კრედიტებით და თუ კრედიტები მოისპოთ, მათი მოსპობის საკითხიც დადგება.

გორის მეხილეობის მთავარ რაიონებში არც ერთი სამომხმარებლო კოოპერატივი აღარ არსებობს; არსებობდნენ მხოლოდ სამეურნეო ამხ.-ბები და ისინიც სამწუხაროდ მოისპობიან, თუ მეხილეთა ცენტრებმა კრედიტები არ იშოვნეს. ერთი სიტყვით, გლეხები ჩარჩებს ჩაუვარდებიან ხელში, თუ აქედანვე არ მივიღეთ ზომები.

მართალია გორის სამაზრო აღმასკომის სავაჭრო განყ-ბა ამზადებს ხილს, მაგრამ შესაძლებელია მან ასწიოს არა უმეტეს 10—12 პროცენტისა, ამდენივე შეიძლება გაიტანონ კერძო ვაჭრებმა, დანარჩენი 70—80 პროც. კი საფრთხეშია ჩავარდნილი და მოსალოდნელია ადგილობრივ დაილპოს.

რადგან ადგილობრივი ორგანიზაციები არ მუშაობენ, ვაჭრებმაც გლეხებს მუხრუჭი მოუჭირეს და ფუთ ვაშლში ათ შაურსაც აღარ აძლევენ. წარმოგიდგენიათ, რომ გორში დაუჭკნავი თივა ღირს 60—70 კაპ. ფუთი და ევროპიულ ჯიშის ვაშლში კი 50 კაპ. მომცემსაც ვერ შოულობენ. „ორ აბაზად და ათ შაურად რომ ხილი გადავყარო, ან ოჯახს როგორ გაუძლვე, ან მტერს და მოყვარეს როგორ დაუხვდე, ან სახელმწიფოს წინაშე ვალი როგორ მოვიხადო, ან რა გულით უნდა მოუარო და დავიმუშაო ბაღები“-ო, ამბობენ გლეხები.

უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული ადგილობრივ მომუშავე კოოპერატორებიც: ცენტრებისგან დაიმედებულნი აიმედებდნენ გლეხებს, რომ მალე მუშაობა ჩვეულებრივ გაჩაღდება, ფულიც გექნებათ და ხილსაც გზა მიეცემაო, ახლა კი გაცრუებულები დარჩნენ.

ჯერ კიდევ გვიან არ არის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათანადო ცენტრალურ ორგანიზაციებს შეუძლიათ გორის მაზრის ხილი დალპობისაგან გადაარჩინონ.

ტყვიაველი.

„შეწირვა“ და „პირის სანახავები“

(ს. დიღომი, თბილ. მ.)

დიღომი თბილისის მაზრაა. იგი სულ 7 ვერსით არის დაშორებული ქალაქს. ამ სოფლის გლეხობა ძლიერ ღარიბნი არიან. მათ დღევანდლამდის ვერ მოსპეს ძველი ჩვეულება: „შეწირვა“ და „პირის სანახავები“.

გლეხები მთელ ზაფხულს წვალობენ, რომ ბოსტნეულობიდან აიღონ ცოტაოდენი ფული და ზამთრისათვის პური მოიმარაგონ. მაგრამ სწორედ ზამთრის პირას, ე. ი. შემოდგომით, იხსნება „სეზონი“ ქორწილებისა. გლეხობას მთლად უცარიელდება ჯიბეები. ჯიბეს ჯანი გავარდეს, ზოგიერთნი კი სახლიდან თავიანთ მაცხოვრებელ საქონელსაც კი ჰყიდიან, [illegible]-ბენ.

როდესაც დადგება ქორწილის დღე, თვით „მეფე“ და „მეჯვარე“ ჩამოუვლიან მთელ მეზობლობას და ნაცნობობას, რომ აუცილებლად ეწვიონ ქორწილში.

ნურას უკაცრავად, რომ „მეფე“ მივიდეს ისეთ დაცემულ გლეხთან, რომლის ოჯახშიც კაცი არ მოიპოება. იგი უთუოდ მამაკაციან ოჯახს მიადგება და ვაჟკაცს დაიპატიჟებს.

როდესაც ქორწილში კარგა შეზარხოშდებიან, იწყება ჯიბეების დაცარიელება და, ვაი სირცხვილო, თუ რომელიმე გლეხმა არ ამოყარა ფულები, მთელს სოფელში შეარცხვენენ. მის სახელს, რომელიც ცოტას იძლევა, ასე გაიძახიან, იქვე ქორწილში: „პეტრემ აგე ცოტა შემოგვწირა, ვაპატიოთ თუ არა—?“.

ამასწინათ დიღომის ერთმა გლეხმა ქორწილი გადიხადა და ამ ქორწილში სულ 5.000 მანეთი შესაწირი და პატარძლის პირის სანახავი შემოუვიდათ.

ამ სოფლის მოწინავე ორგანოებმა უნდა ჩაატარონ ასეთ მავნე ჩვეულებასთან მებრძოლი კამპანია და სამუდამოთ მოსპოთ ქორწილებში „შეწირულება“, რომელიც ანადგურებს გლეხის მეურნეობას.

შ. ი—ი.

ახალი ბიუჯეტი შევადგინეთ

(დ. თიანეთი)

საქართველოს მასშტაბით დაწყებულია მომავალი წლისათვის ახალი ბიუჯეტის შედგენა.

თბილისიდან ჩამოვიდა საბიუჯეტო კომისია. კომისიამ მიაქცია ყურადღება მიმდინარე წლის ფაქტიურ ხარჯებს, და ამისდა მიხედვით შეიტანა ახალ ბიუჯეტში ზოგიერთი შესწორებები.

საჭირო იყო სამეურნეო ხარჯების გადიდება. კომისიაც ასე მოიქცა და სამეურნეო ხარჯები ნორმის მიხედვით გაადიდა. ახალი ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით უფრო გეგმიანი და რეალურია. ადმინისტრატიული ხარჯები შარშანდელთან შედარებით ნაკლებია 2.059 მან., სამაგიეროთ განათლების ხარჯები აწეულია 3.902 მან.

ბიუჯეტი შედგენილია მიზანშეწონილად. მხოლოდ ერთი ნაკლი უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღმშენებლობისთვის თანხა არ არის სრულებით გათვალისწინებული, ამას კი მეტად საჭიროებდა თიანეთის რაიაღმასკომი.

იუსტინესშვილი.

ხიდი გვექნება

(დიდი ჭყონი, სენაკის მაზრა)

მდ. ტეხურზე ს. ნაფოშტართან დიდი ხანია მოსახლეობა საჭიროებს ხიდის გაშენებას. ეს ხიდი საჭიროა არა მარტო დიდი ჭყონი-მარტვილის რაიონის მოსახლეობისათვის, არამედ ნაწილობრივ ზუგდიდის მაზრისათვისაც. მცხოვრებთა მოთხოვნილებას ყურადღება მიაქცია სამაზრო აღმასკომმა, მოიწვია ინჟ. ბიჭაშვილი, შეადგენია ხიდის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რაც უდრის 12.131 მან.

ამასწინათ დიდ ჭყონში ამხ. ს. მამულიას თავმჯდომარეობით შესდგა დაინტერესებულ თემთა თათბირი და ერთხმად გადაწყდა, რომ საჭიროა ხიდის აშენებაში მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საქმეს გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა და არაფერს ზოგავს.

ამნაირად განაწილდა თანხა თემებს შორის: დიდი ჭყონი—3 ათასი მ., გაჭედილი—1.000 მ., კურზუ—1000 მ., თამაკონი—500 მ., ნახუნაო—800 მ., მარტვილი—1000 მ. ცენტრმა გადმოგზავნა—1500 მ. თუმცა ჯერ გადაუწყვეტელი არის, მაგრამ ხიდის აშენებას დაეხმარებიან კიდევ ხუნწის, სალხინოს და კიწიის თემები.

ამავე დროს ეს ხიდი დიდ საჭიროებას წარმოადგენს ზუგდიდის მაზრის შემდეგი თემებისათვის: ჭოლა და ნაფიჩხოვ. ამ თემების ჩაბმა ნაფოშტარის ხიდის აშენებაში—წარმოადგენს აუცილებელ პირობას ხიდის აშენებისათვის.

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომი ალბათ ამ საქმეში გვერდში ამოუდგება სენაკის მაზრაღმასკომს.

ამნაირად ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მოთავებული იქნება 3—4 თვის განმავლობაში.

ხიდი იქნება ჩამოკიდებული (висячий) 7.000 ფუთის წონის და 700 ფუთი სიმძიმის გამძლე.

დასავლ. საქართველოს წყალთა უფროსმა, ინჟ. ბიჭაშვილმა, რომელმაც შეადგინა ხიდის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა, აღუთქვა სამაღმასკომს ხიდის აშენებისთვის უფასო ხელმძღვანელობა.

ბ. უჩანეიშვილი.

ლურჯხალათიანები საგარეჯოში

29 აგვისტოს საგარეჯოში მოწვეულ იქნა საქ. საბჭ. და სავაჭრ. მუშაკების კავშირის ლურჯხალათი „წითელი შოლტი“, 18 კაცის შემადგენლობით, რომელიც გამოვიდა სრულიად ახალი ნომრებით, მაგ. „მომჭირნეობის რეჟიმი“, „საწევრო ანარიცხები“, „ვირ-ტაჟი“, „ქმრები ჩამოვლენ მალეო“, მუდმივი ნომერი „განთიადი სოფლად“, და სხვა, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა უამრავ დამსწრეებზე, გაისმოდა ხმები: აი მესმის თეატრი, ნამდვილი ჩვენი გულის სარკეაო; მოგვაბეზრეს ამ [illegible] თავი, და კარგი იქნება „წითელი შოლტი“ ხშირად გვეწვევოდესო. გამოსვლის დასასრულს ლურჯხალათიანებთან ავიდა სცენაზე ძველი მსახიობი ქალი, ვაშაკიძისა, რომელიც თავის ოცდა ათი წლის საყვარელ სცენისადმი ვერ ივიწყებს, ეხლაც მუშაობს ჩვენს სცენაზე, და აღტაცებით მიესალმა, ოცდა ათი წელიწადია სცენაზე ვმუშაობ, მიმუშავია აგრეთვე რუსეთშიაც, მაგრამ ასეთი ჯერ არ მინახავს, ეს თქვენი უკანასკნელი მიღწევები ყველას აღტაცებაში ამყოფებს, დიდი მადლობა, საყვარელო ლურჯხალათიანებო!

დაასრულა თავის შეხვედრა მან. ლურჯხალათიანები ოვაციებით შეხვდნენ პატივცემულ ვაშაკიძისას.

საღამო დაიწყო ამავე კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ალ. თურქიას სიტყვით, რომელმაც დამსწრეთ გააცნო „წითელი შოლტის“ წარმოშობა, მიზნები და მიღწევები...

დადგმა, მიუხედავად თეატრის მხრივ ტექნიკურ მოუწყობლობისა, კარგი იყო. აქ სჩანდა ხელმძღვანელ ს. ლორთქიფანიძის ცოდნა. ყველა მოთამაშეს ემჩნეოდა ხალისი და ცოდნა თავისი როლის, გარდა ერთის—დედა „განთიადი სოფლად“—ყოველ ნომრის წინ გამოდიოდა ავტორი, სეზიან ერთაწმინდელი და გლეხობას უხსნიდა ნომრის შინაარსს, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონოდათ ყველას, ნახულზე.

ლურჯხალათიანებმა დაათვალიერეს აქაური რადიო-სადგური, სადაც სადგურის უფროსი ამხ. ს. ახალკაცი უხსნიდა მათ აპარატების მნიშვნელობას. ნახულით დიდათ ნასიამოვნები დარჩენ ლურჯხალათიანები და მადლობა გადაუხადეს ამხ. ახალკაცს, ასე მხურვალედ მიღებისათვის.

მოავარაკე.

მოსავალი ქიზიყში

(სიღნაღის მაზრა)

წელს ქიზიყში ბარაქიანი მოსავალია პურისა, ქერისა, სიმინდისა, თამბაქოსი და ღვინისა. თივაც ქიზიყელებმა წელს საკმაოდ დათიბეს, აბრეშუმის პარკიც საშუალოზე მეტი მოუვიდათ და ბევრმა ღარიბმა ოჯახმა „სული მოითქვა“. მართალია, აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაეცემულმა ავდრებმა ყურძნის მარცვალი ცოტათი დააზიანა და დახეთქა, მაგრამ იმ ვენახებს, რომელთა პატრონებმა სამჯერ—ოთხჯერ უწამლეს გოგირდ-შაბიამნით, ამ გამდგომებულმა ავდრებმაც იმდენი საგრძნობი ზარალი ვერ მიაყენა.

ამჟამად ქიზიყში ხორბალი (პურისა) ფუთი ექვსი, შვიდი აბაზათ იყიდება,—ქერი ფუთი თვრამეტი შაურია. სიმინდის ტაროები ჯერ არ მოტეხილა, მაგრამ ფუთი სიმინდის ფასი 30—40 კ. არ ასცილდება, ისეთი გულუხვი მოსავალი იქნება სიმინდისა. ასე, რომ წელს ქიზიყი მოსავალმა დააჯილდოვა.

ამ უკანასკნელ ხანს, ტიბაანში გახსნილია სოფლის ახალგაზრდობის სამეურნეო სკოლა,—თითქმის ყველა სოფელში მოიძებნება თითო-ოროლა ტრაქტორი. ამ მხრივ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფრო მეტი უნარი და ფხა უნდა გამოიჩინოს და დაუმტკიცოს მოსახლეობას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს მხოლოდ მშრომელთათვის.

ცოდნა და თაოსნობა საჭირო, თორემ ქიზიყში ყოველ წელს უხვი მოსავალი იქნება. აგრეთვე საჭიროა ქიზიყის თვითეულმა სოფელმა შეიძინოს სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები.

ქიზიყელი.

კოოპერატივი ფეხზე დადგა

(საჭამიასერი, გურია)

აქ არსებობს მთლიანი კოოპერატივი, რომელიც ემსახურება აღმოსავლეთ გურიის 2.000 კომლს, აქვს ხუთი სავაჭრო განყოფილება, 3 ფურნე, ერთი სახარაზო, აგური და კრამიტის ქარხანა. კოოპერატივი ახლად დაარსებულია. პირველ ხანებში ჩვენს კოოპერატივს მოუხდა ყოვლიდვე სავაჭრო ოპერაციების საკუთარი თანხებით ჩატარება. მაგრამ ხალხის ერთსულოვნებას ყოველივეს გაკეთება შესძლებია.

პატარა ხნის განმავლობაში კოოპ. წევრათ გახდა ჩვენი მოსახლეობის ორი მესამედი საპაიო თანხა შეგროვდა 3.500 მანეთამდე. ხშირათ გლეხებს კოოპერატივში ანაბარიც მოაქვთ, რითაც გამგეობას მიეცა საშუალება აწარმოოს საქმიანი მუშაობა ერთ წელიწადად ნახევარის განმავლობაში. მალე დაგროვდა საკუთარი თანხები 16.000 მანეთის რაოდენობით.

ი. სხ—ძე.

წერილებიდან

დიდი ჯიხაიში (ქუთ. მ.)

„ვინც რა უნდა სთქვასო“... ტყუილა არ ყოფილა გამოგონილი მეწისქვილეებზე: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. აქაური მეწისქვილეები ტყავს აძრობენ გლეხობას. განსაკუთრებით ცნობილია დაფქულის ქურდობით და გლეხების მოტყუებით კაჭახიძეების წისქვილი. რომ რასმე ეტყვის გლეხი, მეწისქვილე ას იმდენს შეაგინებს და გალაძღულს გამოისტუმრებს სახლში. ბევრი აუხირდა მათ ჩვენ სოფელში, მაგრამ ისინი არხეინად გაიძახიან: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

კაფა.

ს. ჩიხა (შორ. მ.)

სკოლა წაგვართვეს. ადგილობრივი ოთხწლედი დღემდე უმემკვიდროთ გარდაცვლილ ისაია იაკობაშვილის სახლში იყო მოთავსებული წელს, სწავლის დაწყებისას, გამოჩნდა ისაია იაკობაშვილის ძველადვე გაყოფილი ძმა და დაეპატრონა სკოლის შენობას. ყველაფერი, რაც კი შიგ იყო გარეთ გამოყარა და აღარ უთმობს სოფელს შენობას. საჭიროა ამ ვაჟბატონის ალაგმვა.

გლეხის შვილი.

წალენჯიხა (ზუგდ. მ.)

რას უცდიან? უკვე სამოსწავლო წელი დაიწყო და სკოლის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. სკოლის შენობა კი უმწეო მდგომარეობაშია. კარ-ფანჯარა ჩამტვრეულია, ჭერ-იატაკი არ ვარგა, წვიმა ისე ჩამოდის, როგორც საცერში. დროა აღმასკომმა და სკოლის გამგემ იზრუნონ ამ საქმეზე. შარშანდელი ზამთარი ძლივს გადავიტანეთ, წლევანდელი რას გვიქადის, ვინ იცის?

ლახვარი.

ს. საგანაძეები (რაჭა)

ექიმბაში ოლა. აქ ცხოვრობს ცნობილი ექიმბაში ოლა. რა სნეულება გინდათ, რომ ის არ „ექიმობდეს“. ამ ბოლო ხანს ხელი მიჰყო მუცლის მოწყვეტასაც, რითაც ბევრი ქალები დაამახინჯა და დაასნეულა. საბანაძეებიდან თავმობეზრებულ გლეხებმა ექიმბაში განდევნეს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის, ოლა საბანაძეს დღეს, სოფ. ონჯევში მოღვაწეობს.

მახვილი.

ქუთაისი

მეტი გაჭიანურება შეუძლებელია. მაზრის პოლიტგანის დავალებით ბევრ სოფლებში გლეხებისაგან დაქირავებული იქნა შენობა ლიკსკოლებისათვის. მეცადინეობა ამ სკოლებში კარგა ხანია დასრულდა. მასწავლებლებმაც მიიღეს ხვედრი ჯამაგირები, სახლის ქირის გასტუმრებას კი საშველი არ ადგება. პოლიტგანი მხოლოდ დაპირებას იძლევა, ფულს კი არ იხდის. ასეთი მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. გლეხობის წინაშე დავალიანება დაუშვებელია.

შ. ვახტანგაძე.

ს. ბალდოჯიანი (თელავ. მ.)

ერთწლედს ვერ ასცდა. ექვსი წელიწადია არსებობს აქ ოთხწლედი, მაგრამ ის ფაქტიურად ერთწლედს ვერ ასცდა. ყოველ წელს ახერებენ ჯგუფებს. წელსაც მოიხსნა ერთად ორი ჯგუფი. განათლების განყოფილება მხოლოდ იმედებით გვკვებავს. ჩვენ ახლად გადმოსახლებულები, ღარიბი გლეხები ვართ. შვილებს სხვაგან ვერ სად გავაგზავნით. როდის უნდა მოეღოს ამას ბოლო?

ა. გაფრინდაშვილი.

2. აჭარისტანის ჰიდრო - ელექტრო სადგური

ეს სადგური 3.700—5.000 კლვ. ძალით პირველად დააკმაყოფილებს ბათომს ნავთსადგურითურთ, შემდეგში იგი გახდება აჭარისტანის ელექტროფიკაციის ცენტრად.

სადგურის აგება, ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს მიერ დამტკიცებული და ცენტრში წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით უდრის—5.214.000 მან. 1925—26 წ. ამ მუშაობისათვის დახარჯულია 1.450.000 მან.; მომავალ წლისათვის ამ მუშაობის განსაგრძობად გამოთხოვილია 1.650.000 მან.

3. აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგური

სადგურს პირველათ ექნება ერთი კრებობა (აგრეგატი) 870 ცხენის ძალა, მაგრამ შემდეგ დატვირთვის მომატებასთან ერთად ეს ენერგია გაიზრდება 2.500 ცხენის ძალამდე. სადგურის დანიშნულებაა მიაწოდოს ენერგია ახალსენაკს, სამტრედიას, ფოთს და ქაღალდის ფაბრიკას.

სადგურის ღირებულება, დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით 965.000 მან. უდრის. დღემდე ბიუჯეტით გაღებულ იქნა 217.000 მან., ვინაიდან სადგურის აგება უნდა დამთავრდეს მომავალ 1926—27 წ., სამუშაოს დასამთავრებლად და ბანკის მოკლევადიანი სესხის დასაფარავად გამოთხოვილია მთელი დანარჩენი თანხა—748.000 მან.

სამუშაოს პირველი ნაწილები თითქმის დამთავრებულია: დამთავრებულია აგრეთვე მთლიანად არხი და ზელოარი (აკვედუკი) სკურდის-ღელეზე. დამთავრებულია ბეტონის და ქვის სამუშაოები საწნეო აუზში (в напорном бассейне) აჩქარებულის ტემპით სწარმოებს გენერატორულ სადგურის შენობის აგება, რომელიც ოქტომბერში დამთავრდება. მალე დაიწყება რკინის ბეტონის საწნეო მილის აშენება. უკვე შეუდგენ სენაკ-ფოთის გადაცემის ხაზის მოწყობას. გენერატორი და ტრანსფორმატორი მზადაა. დენის მიწოდება 1927 წ. მაისში დაიწყება.

4. ქუთაისის ჰიდრო - ელექტრო სადგური

სადგურის სიმძლავრე—29.230 კლვ. ენერგიას იგი მიაწოდებს დასავლეთ საქართველოს ხაშურიდან სამტრედიამდე, უმთავრესად კი ხაშურ-ზესტაფონის რკინის გზის უბანს.

სადგურის ღირებულება—12.000.000 მან. უდრის.

სამუშაოს დასაწყებად 1926—27 წლისათვის გამოთხოვილია 1.500.000 მან. საზოგადოებრივ თანხიდან და 1.000.000 მან. განზრახულია გაღებულ იქნეს ადგილობრივ წყაროებიდან.

ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგების დამთავრებამდე აიგება ელექტრო-გადამცემი ხაზი 110.000 ვოლტისა, რომელიც გადასცემს ზაჰესის ენერგიას ხაშურ-ზესტაფონის ელექტროფიკაციაქმნილ რკინის გზის უბანს.

ქუთაისის სადგური შეუერთდება ამ ხაზს და მაშასადამე „ზაჰესის“ პარალელურად იმუშავებს, რაიც სასარგებლო იქნება ორთავე სადგურისათვის დატვირთვის გათანასწორებისა და ჩატვირთვის კოეფიციენტის გაუმჯობესების მხრივ. ქუთაისის სადგურზე გადატანილ იქნება რკინის გზის უმთავრესი დატვირთვა, ამას გარდა, იგი ასაზრდოებს მსხვილ ქარხნებს, ავეჯეულის ფაბრიკას მარელისში, ბარიტის ქარხანას ქუთაისში, ქუთაისის და ხონის აბრეშუმის სართავ ფაბრიკას და სხ. მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტ ენერგიას მოითხოვს ქაღალდის ფაბრიკა—30.000.000 კლვ.

დანარჩენი თავისუფალი ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრო-ქიმიური მრეწველობისათვის, რომლის გეგმას ამჟამად ამუშავებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი.

სათბობი ანუ ჰიდრავლიური ვარიანტის სარგებლიანობის გამორკვევისათვის, ცენტრალური სადგური, ცენტრის მოთხოვნილების თანახმად, ამუშავებს პროექტს სათბობი ელექტრო-ცენტრალისა, რომელიც ტყვიბულის ნახშირზე იმუშავებს.

მაგრამ თავის-თავად ცხადია, რომ ამჟამად სათბობი ვარიანტი სრულიად არაა ხელსაყრელი.

5. აფხაზეთის ჰიდრო-ელექტრო სადგური

სადგურის სიძლიერე — 1.500 ცხენის ძალას უდრის. ენერგიას მიაწოდებს ქალაქ სოხუმს და მის რაიონებს და შემდეგში კი აფხაზეთის ელექტროფიკაციის ცენტრი გახდება. ტეხნიკური პროექტები და მასალები შეტანილია საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიაში. სადგურის ღირებულება—1.200.000 მან. უდრის.

6. კახეთის ჰიდრო-ელექტრო სადგური

სადგურს ექნება 5.000 ცხენის ძალა და აიგება ალაზნის სარწყავ არხზე.

სადგურის დანიშნულებაა მიაწოდოს ელექტრონის ენერგია საქართველოს ერთ უმდიდრეს რაიონს სამაზრო ქალაქებით—თელავითა და სიღნაღით.

სადგური გამოყენებულ იქნება აგრეთვე შირაქის ველის მოსარწყავად საქაჩავების საშუალებით.

ამჟამად აუცილებელია მხოლოდ გამოკვლევათა მოხდენა და დაწვრილებითი პროექტის შედგენა, რისთვისაც საერთო-საკავშირო ფონდიდან გამოთხოვილია ამისათვის საჭირო თანხა.

ამასთანავე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს აუცილებლად მიაჩნია, რომ გეგმაშეწონილად სწარმოებდეს ელექტრო-სადგურთა აღმშენებლობა, განსაკუთრებით პროვინციაში, სადაც სახელმწიფოს მხრივ სათანადო მეთვალყურეობის უქონლობის გამო დიდ შეცდომებს ჰქონდა ადგილი. ამიტომ, აუცილებელია დაწესდეს სპეციალური საინსტრუქტორო მეთვალყურეობა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მხრივ.

ადგილობრივი მრეწველობა

აღმშენებლობის პროგრამა ამ დარგში შემუშავებულია საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიასთან არსებული ადგილობრივი მრეწველობის მომწყობი კომისიის დირექტივების მიხედვით; ეს პროგრამა ასეთია:

I წელიწადი (26—27)

1) ყველისა და ზეთის სახდელი ქარხნის აგება: ერთი ახალქალაქის მაზრის რაიონში, მეორე ყაზბეგის ან ბორჩალოს მაზრაში.

რაიონების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ პირველ რიგში აუცილებელია ქარხნის აგება სოფ. ბეჟანოში ბარალეთის რაიონში (ახალქალაქის მაზრა) და სოფ. ყაზბეგში; თითო ქარხნის ნაყოფიერება 50.000 ფ. რძეს უდრის. ამ ქარხნების მოწყობილობანი შემოტანილ უნდა იქნას შვეციიდან, ამ დარგის წარმოებისათვის სპეციალურ ფირმიდან „ალფალავალ“. ლიცენზია მოწყობილობათა შემოტანისათვის უკვე მიიღო ამ.-კავკ. სახვაჭრობამ მთელი ამიერ-კავკასიისათვის; აუცილებელია, რომ ეს ლიცენზია მიღებულ იქმნას საქართველოსათვისაც ამ ორი ქარხნის მოწყობილობათა შემოსატანად. ამ ქარხნების პროექტები უკვე დამუშავებულია და ახლო ხანში შეუდგებიან მათ აგებას.

2) ბეკონის ქარხანა ახალსენაკში; მისი ღირებულება აღრიცხულია 300.000 მ. მუშაობის დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს ზედმიწევნით გამოკვლევა იმ საკითხისა, თუ როგორი რაოდენობისა და როგორი ხარისხის გამოსადეგი ნედლი მასალა, ე. ი. ღორის ხორცი შეიძლება იქმნას მიღებული; ამ მიზნისათვის უახლოეს ხანებში სპეციალისტები გაიგზავნებიან საბჭოთა კავშირის იმ ადგილებში, სადაც შენდება ასეთი ქარხნები; ეს სპეციალისტები დაათვალიერებენ ამ ქარხნებს და გაეცნობიან ღორის ჯიშის გაუმჯობესების საკითხებს, ვინაიდან ჩვენებური ღორის ხორციდან მიღებული ბეკონი არ შეიძლება გახდეს საექსპორტო მასალად.

3) აღმშენებლობის გაძლიერება ადგილობრივ მოითხოვს კირისა და კრამიტ-აგურის ქარხნების აგების საკითხის გადაწყვეტას; კირის გაიაფებისა და წარმოების გაფართოების მიზნით განზრახულია ქუთაისის კირის ქარხნის გადატანა იმ ადგილას, სადაც არის კირის ნედლი მასალა. ამისათვის საჭირო იქნება 170.000 მან. შემდეგ, შორაპნისა და ზუგდიდის რაიონებში აუცილებელია აიგოს აგურის ქარხნები გოფმანის ღუმელით; ამ ქარხნებიდან წელიწადში უნდა იქნას მიღებული 3—5 მილ. აგური. ყოველი ასეთი ქარხანა დაჯდება 100 ათასი მან. ამჟამად სწარმოებს აქ ქარხნების გამოკვლევა და პროექტების შედგენა. ქარხნების აგებისათვის საჭირო მოწყობილობათა მოცემას გვპირდება ხარკოვის ლითონის ტრესტი.

4) კონსერვის მრეწველობის დარგში აუცილებელია, პირველ რიგში, ხილის კონსერვების მსხვილი წარმოების შექმნა გორში—ეს დაჯდება 276.000 მან., აგრეთვე ბოსტნეულისა ქუთაისში, რაც გამოიწვევს 80.000 მან. ხარჯს. ამავე დროს უნდა შეუდგეთ კართოფილის გახმობას და კართოფილის ფქვილის მიღებას ახალციხის რაიონში; საჭიროა აგრეთვე ხარისხებათ დაყოფის მექანიზაცია და თხილის გაწმენდა ოზურგეთის რაიონში; ამ უკანასკნელისათვის და კართოფილის ქარხნისათვის ახალციხეში საჭირო იქნება 105.000 მან.

მეორე წელში განზრახულია შემდეგ წარმოებათა აგება.

II წელიწადი (27—28)

ბეკონის ქარხანა	300.000 მან.
იორა-კახეთის კრამიტ-აგურის ქარხანა	100.000 მან.
კონიაკის ქარხანა შორაპან-შილდაში	200.000 მან.
კართოფილის ფაბრიკა სამხრეთ-ოსეთში	60.000 მან.
კონსერვის ფაბრიკა გორში	270.000 მან.
კაკლის მწმენდავი ქარხანა ზუგდიდში	45.000 მან.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

სად არის აქ მომჭირნეობა?

ზოგიერთ პირებს ასე ჰგონიათ, რომ თუ კი ქალაქს თავი დააღწიეს და კოჯორის ხევებს თავი შეაფარეს, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მუშკორის ფხიზელ თვალს ბოროტმოქმედი ვერც აქ დაემალება.

5 სექტემბერს რამოდენიმე ამხანაგები ფეხით მივემგზავრებოდით კოჯორის გზით, რათა ჩაგვეტარებია სოფელში მე-12 ახალგაზრდა კომკავშირთა დღესასწაული.

როდესაც იქიდან ვბრუნდებოდით. გზაში დავინახეთ ასეთი სურათი: ჩვენ გვეგონა, რომ, ალბად, სადმე უბედური შემთხვევაა, რომ ამდენი ავტომობილები სასწრაფოდ მიჰქროდა კოჯორში, მაგრამ ეჭვები შეგვეპარა, რადგანაც ავტომობილებში მჯდომნი მხიარულად ღიღინებდნენ. თითოში იჯდა ორი, ან სამი კაცი. დავაკვირდი უკან წარწერას, რომელმაც დამარწმუნა, რომ ავტომობლები დაქირავებული არ არის და ეს ვაჟბატონები უთუოდ მოქეიფენი იქნებიან მეთქი. ჩავიწერე შემდეგი 9 ნომერი: 146, 104, 116, 916, 76, 18, 222, 918 და 448.

კოჯორის გზაზე კი, იქვე სასადილოს წინ იდგა „ხაზეინი“ და გულის ფანცქალით ელოდებოდა, იქნება ავტომობილი ჩემს კარებთან დადგესო. მე ვიკითხე, თუ რა მოხდა ასეთი, რომ ამდენი ავტომობილები ერთად მიჰქრის მეთქი მიპასუხეს: არაფერი, ძმაო, ასეთი მოვლენა ხშირია ამ გზაზე, ქალაქში ცხელა და მოქეიფე ძმა-ბიჭები კოჯორ-მანგლისისაკენ სასეირნოთ მიიჩქარებიანო!

დროა მოეღოს ბოლო ავტომობილების უთავბოლო ქროლვას კოჯორ-მანგლისის გზებზე.

ვა-დენი.

მარტო თეორია არ კმარა

თანახმად ბრძანება № 2607-ისა, რომელიც გამოვიდა 1926 წელს სათ., გარდაბანში ყველა მატარებლებისათვის საჭიროა მიმწოლი ორთქლმავალი. ამისათვის თბილისის სამექანიკო მეოთხე უბნის უფროსმა უნდა გამოუშვას ორთქლმავალი არა უგვიანეს დილის 4 საათისა. ეს ორთქლმავალი მივა დანიშნულ ადგილას თავის დროზე. მაგრამ ზოგიერთ ადმინისტრატორებს ამ ბრძანების შინაარსი კარგად არ აქვთ შეთვისებული და ხშირად არღვევენ მას. რომ ეს სიმართლეს შეიცავს, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს: 1 სექტემბერს თბილისის საყუდმა არ გამოუშვა თავის დროზე მეორე მიმწოლი ორთქლმავალი და ამის გამო სადგ. გარდაბანში გაჩერდნენ **მატარებელი № 196—4 საათ. და 17 წუთით, მატ. № 320—2 საათ. და 50 წ. მატ. № 330—1 საათით და 25 წუთით და მატ. № 334—30 წუთით.**

იბადება კითხვა ასეთი შემთხვევები აძლევს თუ არა რკინის გზას ზარალს. ჩვენ გადაჭრით ვუპასუხებთ, რომ აძლევს ზარალს და ორმაგ ზარალს. 1) გაჩერებულ მატარებლებში უნაყოფოთ იხარჯება საწვავი მასალა, გაჩერებულია უსაქმოდ კონდუქტორთა და მემანქანეთა გუნდი; 2) სადგ. გარდაბანს არ აქვს საშუალება თავის დროზე მიიღოს მომავალი მატარებელი ადგილის უქონლობის გამო, და სხ.

ჩვენთვის გასაგებია, რომ ყველა მატარებლები, როგორც სახალხო, ისე საქონლისა მიდის სათანადო ცხრილის მიხედვით და, როდესაც სადგურიდან გადის რომელიმე მატარებელი დაგვიანებით, რასაკვირველია, მომავალი მატარებლები დაგვიანებით მოვლენ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რატომ ხდება ასე და რატომ არ იღებს რკინის გზის ადმინისტრაცია სათანადო ზომებს ამ მეტად საზარალო მოვლენის წინააღმდეგ? რკინის გზის ტრანსპორტზე არ გვყავს საკმაო რაოდენობით გამოცდილი მუშაკები. ხშირად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უშვებენ გამოუცდელ აგენტებს.

ეს იმიტომ ხდება, რომ ასეთ აგენტებმა გაიარეს მხოლოდ თეორია და არავითარი პრაქტიკა არა აქვთ მიღებული. მარტო თეორეტიკოსები რკინის-გზებზე არ გამოგვადგება.

ი. არუეხპირელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობა პურის ხარჯში

გაზეთ „კოოპერატივნაია ჟიზნ“-ში მოთავსებულია ამხ. არდოვის საკმაოთ ვრცელი წერილი პურის ხარჯში მომჭირნეობის დაცვის შესახებ. ავტორი სწერს, რომ მთელ რიგ ევროპის სახელმწიფოებში უკვე შემოღებულია სასტიკი მომჭირნეობა პურის გამოცხობა-მოხმარებაში.

„ჩვენი ყუბანი, უკრაინა და ყირიმი, სწერს ავტორი, სჭამენ ისეთ მაღალ ხარისხის ხორბლის პურს. როგორიც არც კი დასიზმრებია ფრანგებს, ბელგიელებს, გერმანელებს და იტალიელებს. ყუბანის თეთრი პურები სანატრელია ზოგიერთ შეძლებულთა მცხოვრები მოსკოველისათვის. ნუ თუ არ შეიძლება ეს პურები გამოიცხოს მოთალხო და შერეულ ფქვილით?...

ჩვენ გვესაჭიროება პურის სამარაგო ფონდი მომავალი შესაძლებელ მოუსავლობისათვის, გვესაჭიროება პურის ფონდი ეხლაც. რომ ხელში გვეჭიროს პურის ბაზარი. გვესაჭიროება დიდძალი საექსპორტო პურის მარაგი. ისეთ პურის, რომელიც საუკეთესო ხარისხის უნდა იყვეს, ვინაიდან ჩვენ უცხოეთის ბაზარზე კონკურენციის გაწევა გვიხდება ამერიკის პურთან.

ყოველივე ამას მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავატარებთ მომჭირნეობას პურის ხარჯში“.

„საჭიროა ხანგრძლივი კამპანიის წარმოება, რომელშიაც დიდი როლი უნდა ითამაშოს კოოპერაციამ, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული პურის, როგორც დამამზადებელთან, ისე მომხმარებელთან. სიგიჟე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ უნდა ვიკვებოთ ნამცხვრებით და დაშაქრული პურებით მაშინ, როცა ევროპის სახელმწიფოები ამ სიამოვნებაზე უარს ამბობენ თავიანთ მრეწველობის განვითარების მიზნით“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორის მიერ წამოყენებული მოსაზრებები მოკლებული არაა ერთგვარ ინტერესს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს პირობებში. ცნობილია, რომ შიდა რუსეთის არც ერთი ქალაქები არ ხარჯავენ ისე უხვათ თეთრ ფქვილს, როგორც ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ქალაქები.

წითელ ჯარში

ვის უშვებს წითელი ყაზარმა გრძელვადიან შვებულებაში

რამოდენიმე კვირის შემდეგ 1902 წელში დაბადებული წითელი არმიელები და უმცროსი მეთაურები დასტოვებენ წითელ ყაზარმას, სადაც მათ დაჰყვეს ორი წელიწადი.

გრძელვადიან შვებულებაში მიმავალთა რიცხვი დიდია, სოფელს მათი სახით ემატება მრავალი საზოგადოებრივი მუშაკი.

გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა მასა მრავალფეროვანია. წითელ არმიელნი ყაზარმაში მოსვლისას იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, ისინი ვერ ერკვეოდნენ პოლიტიკურ საკითხებში, მათი მსოფლმხედველობა არა სწვდებოდა თავისი ოჯახის და სოფლის ფარგლების იქით. ყაზარმამ სრულიად გარდაქმნა ისინი.

უპირველეს ყოვლისა სოფელს მათი სახით უბრუნდებიან წერა-კითხვის კარგად მცოდნე მოქალაქენი. მათ კარგად აქვთ შეგნებული წიგნის ძალა. წითელარმიელნი ყაზარმაში შეეჩვიენ გაზეთს, იგი გარდაიქცა მათთვის საჭირო და აუცილებელ საგნათ, წითელარმიელი კარგად არის ეხლა გარკვეული საერთაშორისო საკითხებში.

მრავალი წითელარმიელი ორი წლის განმავლობაში ჩაბმული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების, სამხკორთა და საკლუბო წრეების მუშაობაში. ესენი უეჭველია სოფლადაც არ დასტოვებენ ამ მუშაობას და გადიქცევიან კარგ საზოგადოებრივ მუშაკებათ. მათ ამისათვის აქვთ საკმაო ცოდნა და გამოცდილება.

დანარჩენი წითელარმიელები სოფლად მოჰკიდებენ ხელს თავის მეურნეობას. მათ ორი წლის განმავლობაში შეითვისეს და შეისისხლხორცეს მრავალი კულტურული ჩვეულება, გაეცნენ ბევრ ახალს საშუალებას მეურნეობაში, ეს თავდებია იმის, რომ შვებული აქაც იქნება მაგალითის მაჩვენებელი სხვებისათვის.

უმცროსი მეთაურები მისცემენ სოფელს ჯანსაღ და აქტიურ მუშაკებს. მათ გაიარეს ლეგიონის სკოლის მთლიანი კურსი და ერთი წელიწადი დაჰყვეს უმცროს მეთაურის თანამდებობაზე. აქ მათ შეიძინეს მრავალი გამოცდილება.

თეორეტიულ ცოდნასთან ერთად, მათ აქვთ საკმაო პრაქტიკული გამოცდილება.

ამასთანავე ერთად სოფელს დაუბრუნდება მრავალი პარტიული ამხანაგი, პარტმუშაობის კარგი მცოდნე. ესენი წარმოადგენენ შეგნებულ ელემენტს სოფლის პარტმუშაობის გაჯანსაღებისათვის.

ადგილობრივ ხელისუფლებაზე, და უპირველეს ყოვლისა, პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებენ იმ უამრავ კულტურულ და საზოგადოებრივ ძალას, რომელიც უბრუნდება სოფელს წითელ ყაზარმიდან.

ი. ზ.

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღებულ მოქალაქეთა განწესება მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრის შემადგენლობაში, ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვში, რომლებიც გადიან სამსახურს ჯარის გარეშე წესით, სწარმოებს გამწვევი კომისიების მიერ საექიმო შემოწმებასთან ერთად, თანახმად ამოღებულ კენჭის ნომრებისა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილთა კადრის (ძირედ) შემადგენლობაში იგზავნებიან პირველ რიგში ის გაწვეულები, რომლებიც ცნობილ არიან სავსებით სავარგისათ სამხედრო სამსახურისთვის და არ სარგებლობენ შეღავათის უფლებით ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ჩაირიცხებიან სავსებით სავარგისად ცნობილი მოქალაქენი: ჯერ ისეთები, ვისაც არა აქვთ შეღავათის უფლება, შემდეგ კი ისინი, რომელნიც სარგებლობენ რაიმე შეღავათით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

დანარჩენი მოქალაქენი, რომელნიც არ მოხვდნენ არც საკადრო და არც ტერნაწილებში, გაივლიან სამხედრო სამსახურს ჯარში მომზადების წესით.

მოქალაქეები, რომელნიც დაინიშნებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილთა კადრის შემადგენლობაში, სამსახურში მიღების შემდეგ გამწვევი კომისიების მიერ გაიშვებიან მოკლევადიან შვებულებაში შინაურ საქმეების მოსაგვარებლად—ვადით 3-დან 15 დღემდე, რის შემდეგ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ გასაწვევ წერტზე თავიანთ ნაწილებში გასაგზავნად.

შესაკრებ წერტებზე გამოცხადების დღიდან ისინი ჩაირიცხებიან სურსათის კმაყოფაზე სახელმწიფოს ხარჯზე.

გაწვეულები, რომლებიც გამოცხადდებიან მორიგ გაწვევაზე მომუშავე გამწვევი კომისიების მუშაობის გათავების შემდეგ, გაწვევის წლის 31 დეკემბრამდე და მიღებული არიან საექიმო შემოწმებით ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ვარგისობის ხარისხის მიხედვით და განწესების ზევით იგზავნებიან მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ან საკადრო, ან ტერიტორიალურ ნაწილებში.

მოქალაქეები, რომლებიც მორიგ გაწვევის დროს იმყოფებიან გამოძიების ან სასამართლოს ქვეშ, მაგრამ დაპატიმრებული არ არიან ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მორიგ გაწვევაზე. მხოლოდ აღნიშნული მოქალაქენი მიიღებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მხოლოდ სასამართლო ან საგამომძიებლო ძალთა თანხმობით. თუ ასეთი თანხმობა არ იქნება, ხსენებულ პირების მიღება გადაიდება გასამართლების ან გამოძიების დამთავრების შემდეგ; უახლოეს გაწვევისათვის.

ტრანსპორტის ის მუშები და მოსამსახურეები, და აგრეთვე სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების თანამშრომლები, რომლებსაც საერთო წესით მოუწევდათ ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში გადაგზავნა, ჩაირიცხებიან ამის მაგივრად წითელი არმიის ან კადრის შემადგენლობაში. ან იმ სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიაში, რომლებიც გადიან ჯარის გარეშე სწავლებას.

მუშათა ცხოვრება

მეტი ყურადღება მილიციელს.

საბჭოთა სახელმწიფოში მილიციელს ფრიად რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო აქვს დაკისრებული. ეს არის რევოლიუციონური წესრიგის დაცვა.

მილიციელის მუშაობის პირობები მეტად მძიმეა. მილიციელი, სადაც არ უნდა იყოს,— იქნება საგუშაგოზე, სამმართველოში, ქუჩაში თუ ბინაზე—ყველასათვის ცოცხალი ცნობარია და მშრომელთა ინტერესების თავდადებული მოდარაჯეა.

გავიხსენოთ სრ. საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კალინინის შემდეგი სიტყვები: „ცუდია მილიციელი, არ ვარგა ხელისუფლება, კარგია მილიციელი— კარგია ხელისუფლებაც“. ეს სიტყვები მილიციელის ჭეშმარიტი დახასიათებაა. ხელისუფლების პირველი წარმომადგენელი მილიციელია. მოქალაქის თვალში მილიციელი ხელისუფლების შეფასების საზომია.

მილიციელის მუშაობა თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო იზრდება. ამასთან დაკავშირებით მისი პასუხისმგებლობა როგორც სამსახურობრივი, ისე ზნეობრივი, ფართოვდება. არავის ისე არ სჭირია ხასიათის სიმტკიცე, დროულად ალღოს აღება, დაუშრეტელი ენერგია და ზრდილობა, როგორც მილიციელს.

იშვიათად თუ დაფიქრებულა ვინმე მილიციელის ასეთ რთულ სამუშაო პირობებზე. საქმე იმაში კი არაა, რომ მილიციელს დღე და ღამ თავის მოვალეობის შესრულება უხდება და მცირე ხელფასს ღებულობს. მისი შრომისა და ხელფასის პირობები წელს უკეთესია, ვიდრე იყო გასულ წლებში.

დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ხელისუფლება მას ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებისა და სახალხო მეურნეობის მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად მომავალშიაც გააუმჯობესებს; რაც შეეხება მათ სამუშაო დროს, ისიც მოწესრიგდება და მიიღებს ნორმალურ ხასიათს. ამის თავდებია საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის მუშაობა მილიციაში სამსახურის შესახებ დებულების სავსებით გატარებისათვის, როგორიც ამას ადგილი აქვს ჩვენი კავშირის სხვა ქალაქებში. ამ შემთხვევაში სახეში მაქვს მილიციელის მუშაობის სხვა მხარეც, ნერვიულობის, რომელთანაც დაკავშირებულია მილიციელის სამსახური.

უკანასკნელ ხანებში, მეტადრე თბილისში, გავრცელდა ხულიგნების თავდასხმა მილიციელებზე, გახშირდა მოქალაქეთა მიერ მილიციელთა შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევები.

გაზეთებში ხშირად შეხვდებით ცნობებს მოვალეობის შესრულების დროს მილიციელის ცემის შესახებ. ამ რამოდენიმე დღის წინათ ერთ ქუჩაზე მილიციელს მოუთხოვია წესრიგის დამრღვევ მოქალაქისათვის, რომ იგი მას გაჰყოლოდა მილიციის სამმართველოში. იმის მაგიერ, რომ უკანასკნელი პატივით მოპყრობოდა ხელისუფლების წარმომადგენლის სამართლიან მოთხოვნილებას, მილიციელის წინადადებას არ დამორჩილებია და სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად, მისთვის მოჯლუგუნებიც შეუთავაზებია. ამის მსგავსი მაგალითები ბევრი გვაქვს.

მართალია, რომ მილიციელთა შეურაცხმყოფელი ვაჟბატონები ვერ ასცილდებიან გამასწორებელ სახლს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ სასამართლოს ორგანოების მიერ ასეთ შემთხვევებში გამოტანილი ღონისძიებანი ვერ ჩაითვლება საკმაოდ. სასამართლოში ხულიგნები აცხადებენ, რომ მათ არაფერი ახსოვთ და, თუ რაიმე ჩაიდინეს, მოუხდათ სიმთვრალით და სხვ. სასამართლოც იღებს მხედველობაში სიმთვრალის გამოწვეულ ქმედობას და მცირე ვადას აწესებს გასასწორებლად. ამას კი შედეგათ მოსდევს მათი პასუხისმგებლობის უმნიშვნელობა. ამიტომ ერთად-ერთ თათბირზე მილიციელები მოითხოვდენ დამსჯელ ღონისძიებათა გაძლიერებას. ეს აზრი უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად, ვინაიდან ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მილიციელთა შეურაცხყოფის აღმოფხვრა.

საჭიროა სასამართლო ორგანოებმა ხულიგნების გასამართლების დროს ეს მიიღოს მხედველობაში.

ამასთან დაკავშირებით აქ საყურადღებოა ერთი მომენტიც. ხშირად მინახავს მილიციელი, რომელიც წესრიგის დამრღვევს აძლევდა გაფრთხილებას და მოუწოდებდა წესიერებისაკენ. უკანასკნელი კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა თავის უწესობას. ამ სურათის შემყურე ზოგიერთი მუშა-მოსამსახურეც, არამც თუ უწევდა მილიციელს დახმარებას, პირიქით, იცავდა ხულიგანს.

ეს, სხვათა შორის, მოწმობს იმას, რომ ზოგიერთს ჯერ კიდევ სავსებით არა აქვს შეგნებული მილიციის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებაში.

მილიციელი ასრულებს მძიმე მოვალეობას. ეს მდგომარეობა მოითხოვს მის მიმართ ამხანაგურ ყურადღებას და ზოგიერთ შემთხვევაში დახმარებასაც.

ალ. თურქია.

პენსიის საკითხი

სალაროს ჰყავს 1034 პენსიონერი; დავრდომილებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება დავრდომილად აქ ითვლება 549 კაცი.

საუბნო დამზღვევ სალაროს მუშაობა უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ სანატორიუმებში და კურორტებზე გაგზავნილი ხალხი რჩებოდენ კმაყოფილი, როგორც კვების, ისე სისუფთავის მხრივ. სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილია 80 პროც. ფიზიკური მუშებისა და 20 პროც. გონებრივი მომუშავეთა.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილია 75 პროც. ფიზ. და 25 პროც. გონებრივი — რიცხვით 552 კაცი.

სიმულიაციასთან ბრძოლის მიზნით მოწვეული იქნა ექიმთა თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა სათანადო დებულება სიმულიაციის წინააღმდეგ. სიმულიაცია ხასიათდება პირდაპირი და გაზვიადებული ავადმყოფობით.

თუ მუშამ იმუშავა 192 საათი და მასში გამოწვეული იქნა რაიმე ავადმყოფობა სალარო ვალდებულია აძლიოს ფული. აქ უმუშევართა მდგომარეობა არ არის ძლიერ გამწვავებული. მათ ექცევათ სათანადო ყურადღება ნივთიერად დახმარების სახით. მათ გაუდიდდათ დახმარება 80 პროც.-ით 1924 წლიდან. თუ უმუშევარი შეიქნა დავრდომილი. მაშინ მას ეძლევა სათანადო პენსია.

1924 წლის 1 აპრილიდან დავრდომილები იღებენ პენსიას ჯამაგირის ოდენობით. მათ აგრეთვე ეძლევათ საშუალება იმუშაონ დაბალ და სუბუქ სამუშაოზედაც.

სალაროს ჰყავს გამოყოფილი ერთი რწმუნებული, რომელიც არიგებს ხაზზე პენსიას და სხვადასხვა დახმარებით ჯილდოებს. თუ არის ისეთი პენსიონერი, რომელიც სცხოვრობს პროვინციაში და შორს მას სალარო უგზავნის პენსიას ფოსტით.

ჩატარდა კამპანია სოც. დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ.

კეთდება ხაზზე სალაროს მუშაობის შესახებ მოხსენებები ამხ. ლაშქარაშვილის მიერ.

საუბნო დამზღვევი სალაროები გვაქვს: ხაშურში, სამტრედიაში, განჯაში ლენინაკანში და სხვაგან.

მუშკორი — განყენებული.

კიდევ მუშათა კლუბების შესახებ.

დღეს ბევრს ვწერთ მუშათა კლუბების შესახებ. უმეტესად ვაქებთ და ვადიდებთ ამ კლუბებში გაჩაღებულ კულტმუშაობას. იმაზე კარგი რაღა იქნება, თუ ამ დარგში მართლაც სასურველად და მიზანშეწონილად არის მუშაობა დაყენებული.

გარეგნულად საქმე მართლაც კარგათაა დაყენებული; რომელ კლუბშიც არ უნდა შეხვიდეთ, თქვენს თვალებს იტაცებს სილამაზე-სიმშვენიერე. განსაკუთრებით კლუბის საზაფხულო განყოფილება კოხტად და ლამაზადაა გაჩაღებული.

აქ ერთი-მეორეს ეჯიბრება ჩვენი მუშათა დიდი კლუბები: ცენტრალური, პლეხანოვის და ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბები.

ყოფილი მუშტაიდი, დღეს ორჯონიკიძის სახელობის ბაღი, ხომ მართლაც საუცხოვოდ გადაუხალისებიათ. ისე, როგორც კომუნარების ბაღი, აქაც დიდი ცვლილებაა. ვეღარ აშორებ თვალებს განსაკუთრებით მტკვრის ნაპირას. სწორედ რომ ღირს დღეს ამ ბაღში შესვლა და სიამოვნება. ყოველ საღამოს კონცერტი და კინო, უფრო-კი კინო.

კინომ ძალზე გაიტაცა განსაკუთრებით პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი.

კარგი და სასარგებლოა კინო, თუ კარგი და აზრიანი სურათი იდგმება, მაგრამ არ ვარგა სულ კინოთი გატაცება და ისიც ფასით.

ამას გარდა, ყველა კლუბები ხშირად კეტავენ ბაღს მასიური ხმარებისათვის. ხშირად ბაღში შესვლა ხდება ფასდადებით. ეს გარემოება ვერაა სასურველი. იშვიათად, დროგამოშვებით, ეს დასაშვებია. კლუბს ხარჯი აქვს და ამ ხარჯს დაფარვა უნდა, მაგრამ სისტემატიურად ბაღების დაკეტვა არ არის სასურველი.

ზოგიერთი კლუბი ისე გაიტაცა კინო-სურათებმა, რომ იქ ყველა სხვანაირი მუშაობა დაკნინებას მიეცა.

მოხულიგნო ახალგაზრდობას თარეშმაც იმატა და ამ მხრივ ყველაზე მეტი სიფრთხილეა საჭირო. ერთი ხულიგანი და მისი ხულიგანური საქციელი დააშორებს კლუბს ასობით მუშების ოჯახს.

ამიტომ სასტიკი ბრძოლა მათ. თუ სიტყვით, შეგნებით არა მოქმედობს მათზე, აი მილიცია და მათი ჯანი. კლუბის ცხოვრების სიმშვიდე მათ არ უნდა დავარღვევინოთ.

მუშა დუღაბი.

შესცვალეთ ეს წესი.

რკინის გზებზე შემოღებულია ახალი წესი, რომლის მიხედვით ხასურსათო ბილეთით გამგზავრება დაშვებულია მხოლოდ მატარებელ № 13—14-ით. ეს მდგომარეობა რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა შორის გაუგებრობას იწვევს. უწინ კი აღნიშნული ბილეთით რკინისგზელ მუშას უფლება ჰქონდა ემგზავრა ყველა მატარებლებით, გარდა ჩქარი და საფოსტო მატარებლებისა.

ეხლა თუ კი მუშას უნდა მგზავრობა ბორჯომში, იგი იძულებულია წავიდეს საღამოს 6 საათზე და 5 წუთზე № 13—14-ით და ეს იმ დროს, როდესაც შესაძლებელია მგზავრობა ნაშუადღევს 4 საათზე № 18-ით პირდაპირ.

№ 13—14-ით კი მგზავრს უხდება ცდა სად. ხაშურში.

საჭიროა რკინისგზის ადმინისტრაციამ შესცვალოს ეს ახალი წესი.

მუშკორი ი. თბილისელი.

აქ უნდა აღადგინოთ შრომის დისციპლინა

ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მეისრეთა უკანონოდ განწესრიგება, რასაც უთუოდ ცუდი შედეგი მოჰყვება. მეისრეთა ერთი ნაწილი მიდის სოფელში, მეორე ნაწილი არ გამოდის სამუშაოზე. ყველაფერ ამას ხელს უწყობს მეისრეთა განმწესრიგებელ მღვდელაძე.

მეისრეთა ერთი წყება მიდის სადღაც და სამუშაოზე კი რჩება იგივე ძველი შემადგენლობა, რომელსაც დაღლილობის გამო არა აქვთ საშუალება კეთილსინდისიერათ შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მათ უხდებათ მორიგეობა 24 საათის განმავლობაში. აი მაგალითი:

28 აგვისტოს არ გამოცხადდენ მეისრეები ძაძამია, გეჯაძე და კურსიკაშვილი და მათ მაგიერ დარჩა ისევ ძველი წყება ამხ. სვანაძის, ავეტისოვის და წიქარაძის შემადგენლობით, რომელთაც გაუგრძელდათ მუშაობა 24 საათით, ამით დაეკარგათ შრომის უნარი დაღლილობისაგან, ხოლო იმ მეისრეებში კი სუფევს შრომის უდისციპლინობა და სამსახურისადმი გულგრილობა.

თუ უფროსი მეისრე არ გამოცხადდა, მის მაგიერ უშვებენ უგამოცდელ უმცროს მეისრეს და ამუშავებენ. ამის გამო ხდება მარცხი და უდანაშაულოდ აგებს პასუხს გამოუცხადებელის მაგიერ სხვა.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს სამსახურისადმი ასეთი გულგრილობა და შრომის უდისციპლინობა.

მუშკორი თბილისელი.

აქ კულტ და პროფმუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას.

რკინიგზის მთავარ საავადმყოფოში მუშაობს 430 მუშა-მოსამსახურე. აქედან ქალია 181, მამაკაცი—247. ეროვნების მხრივ ქართველი: 239, რუსი—107, სომეხი—35 და სხვადასხვა ეროვნების—49.

1925 წლის ნოემბრიდან 6 თვის განმავლობაში ადგილკომს ჰქონდა 121 სხდომა, სადაც გაირჩა 71 საკითხი. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება მოწვეულ იქნა ხუთჯერ, გაირჩა 27 საკითხი. სადელეგატო კრება იდო 4, სადაც გაირჩა 13 საკითხი, საწარმოო თათბირი მოწვეულ იქნა სამჯერ; წამოყენებული იყო 5 საკითხი. შრომის დაცვის კომისიას ჰქონდა 18 სხდომა, სადაც მან გაარჩია 159 საკითხი.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ჰქონდა 10 სხდომა და გაარჩია 39 საკითხი.

9 საკითხი თანრიგის მომატების შესახებ; შვებულების შესახებ—8 საკითხი, საკონფლიქტო—1, ზედმეტი სამუშაოს შესახებ—9, სხვადასხვა საკითხი—12.

სპეცტანისამოსის საკითხი თითქმის 100 პროცენტით იქნა მოგვარებული; კულტკომისიას ჰქონდა 8 სხდომა და გაარჩია 31 საკითხი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში გაზეთების გამოწერის საქმიანობა მოგვარებული იყო ასე: იწერებოდა „კომუნისტი“ 41 ცალი, „მუშა“—37 ცალი, „ზარია ვოსტოკა“—34 ცალი, „რაბოჩაია პრავდა“—29 ცალი, „მოსკოვის პრავდა“ — 2 ცალი, „იზვესტია“—9 ცალი; სულ 176 ცალი; სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები 45 ცალი.

დაარსებულია პროფწრე, სადაც წაკითხულ იქნა 31 ლექცია. დაარსდა აგრეთვე სანიტარული კურსები; კურსები დაყოფილი იყო ქართულ და რუსულ ჯგუფებად; ქართული ჯგუფი მეცადინეობდა კვირაში ორჯერ, სადაც ესწრებოდა 88 კაცი. რუსულ ჯგუფს კი ესწრებოდა 60 კაცი.

აქ არსებობს 3 დრამწრე, სადაც საანგარიშო ხნის განმავლობაში დაიდგა 14 რუსულ-ქართული წარმოდგენა. აქედან 1—სანგანათლების შინაარსისა. გამოდის კედლის გაზეთი „მჯვრავი“-ს სახელწოდებით, ადგილობრივ მუშების თანამშრომლობით, გამოსულია უკვე 7 ნომერი.

არსებობს „რემედასი“-ს, „ავიაქიმი“-ს და სხ. ბიუროები.

წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებად ჩაწერილია 50 პროცენტი; „ზაკტპო“-ს წევრებად კი 70 პროც. მუშებისა.

საშეფო ბიუროში შედის 5 კაცი; იგი აერთიანებს 115 მუშა-წევრებს. ამ ხნის განმავლობაში საშეფო ბიურო წავიდა საშეფო სოფელში ექვსჯერ გორის მაზრაში, და ს. ხიდისთავში „რემედას“-ის ბიუროს კრება იყო 1. მასში ითვლება 270 წევრი.

მუშკორი ი. ვახიშვილი.

რკ. გზ. თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროში

რკინიგზის საუბნო დამზღვევ სალარომ ჩინებულად ჩაატარა კურორტებზე, დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში მუშების გაგზავნა.

ა. წ. საუბნო დამზღვევმა სალარომ მუშების ჯანმრთელობის საქმეს უდიდესი ყურადღება მიაქცია.

ლიბანში შენდება ახალი სანატორიუმი რისთვისაც მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, აღნიშნული სანატორიუმი დაიტევს 120 კაცს. იგი დამთავრდება მიმდინარე წელს მაინც.

მუშების სანატორიუმებში გაგზავნა

მ.-წ. 15 მაისს გამოცხადებულ იქნა გაზეთის ფურცლებზე, რომელსაც სურდათ მკურნალობა გატარებულიყვნენ საექიმო - საკონტროლო კომისიაში. აღნიშნულ კომისიის მუშაობა გაგრძელდა ერთ თვე ნახევარს. ამ ხნის განმავლობაში გატარდა) კომისიაში 1.357 მუშა-მოსამსახურე.

წარმოება წინ წავსწიეთ

იმ ქარხანას, რომელსაც ჰყავს გულშემატკივარი მომუშავენი და სადაც ენერგიულად მუშაობენ ქარხკომიდან დაწყებული ყველა კომისიები, წარმოება აუცილებლად გაიზრდება.

ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს მომჭირნეობას. ამის გამო ქარხნის წარმოება იზრდება, ჯანსაღდება და მუშების მდგომარეობაც უმჯობესდება.

მომჭირნეობამ დიდი შედეგები მოგვცა საპნის სადღეღებელ ქარხანაში. წინეთ ამ ქარხანაში ბევრი ნაკლი გვქონდა, ეხლა კი გამოსწორდა ყველაფერი. ქარხანას არ ჰქონდა წინეთ საყოფი ნედლი მასალა, არ ექცეოდა ყურადღება ქონების მოვლას; იყო მიზანშეუწონელი ხარჯებიც, რაც ძირს უთხრიდა ქარხნის წარმოებას და უარესდებოდა მუშების მდგომარეობაც.

დღეს კი სულ სხვანაირად დაბრუნდა ჩარხი. ზედმეტი ხარჯები მოისპო; სახალხო ქონება არ ნიავდება; ნედლი მასალა ადმინისტრაციამ შეიძინა; ქარხკომი და ყველა მასთან არსებული კომისიები ებრძვიან ზარმაცობას, აუმჯობესებენ ქარხნის ტეხნიკურ მდგომარეობას, იცავენ შრომის კანონებს და შინაურ წესრიგს.

ასეთმა ენერგიულმა მუშაობამ ასწია ქარხნის მუშაობა, რასაც ადასტურებენ შემდეგი ციფრები:

ქარხანამ ივნისის თვეში დაუმზადებია **10.756 ფუთი საპონი (ღირებული ფულად 72.088 მანეთისა).**

ივლისში დაუმზადებია 8.500 ფუთი, აგვისტოში კი, როდესაც მეტი რიცხვი მუშებისა შვებულებაში იყო, დაუმზადებია მაინც **7.336 ფუთი (ღირებული ფულად 58.679 მ.)** ზემოდ მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ, რომ წარსულთან შედარებით წელს წარმოება საგრძნობლად გაიზარდა.

მუშა ვარდენ.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებულ წერილის შესახებ ა.-წ. 20 მაისის თარიღით № 112 სათაურით „სახლის პატრონის წრე-გადასული თავხედობა“, გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილის შინაარსი მოკვლევის საშუალებით დადასტურდა, რაზედაც მთელი მასალა გადაეგზავნა აღმოსავლეთ-საქართვ. პროკურორის თანაშემწეს 1 უბანში.

ადმინისტრაციის უფროსის მაგ. **მკურნალი.**

თქვენი გაზეთის ა. წ. 9 მაისის მე-103 №-ში სათაურით: **„სახლი იბლებს თავზე ენგრევათ“** მოთავსებულ წერილის შესახებ ალმასკომის უქსმა გვაცნობა, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება დავალებული აქვს სატეხნიკო-საკონტროლო კომისიას.

მაგიდის გამგე **ვარდოსანიძე.**

გაზეთ „კომუნისტი“-ს 142 ნომერში მოთავსებულ შენიშვნის შესახებ („მეტი ყურადღება საწარმოო თათბირებს“) ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა გაუწყებთ, რომ ფარდულის ასაშენებლად კრედიტი უკვე გახსნეს და სასწრაფოდ შეუდგებიან მის აშენებას.

ადმინისტრატიულ განყოფ. უფროსი **გ.**

თქვენი გაზეთის მე-109 ნომერში სათაურით: „უპატრონობის გამო სახლი თავზე გვენგრევა“ მოთავსებულ წერილის შესახებ ალმასკომის უქსმა გვაცნობა, რომ აღნიშნული წერილი შეეხება ნიკოლოზის ქუჩაზედ მდებარე № 56 სახლს, რომლის უთადარიგობის გამორკვევა უკვე დავალებული აქვს ჩვენს მიერ სატეხნიკო-საკონტროლო კომისიას შემდეგში საქმისათვის სათანადო მსვლელობის მისაცემად.

მაგიდის გამგე ვარდოსანიძე.

თქვენი გაზეთის ა.-წ. 30 მაისის № 121, **„მუშა ნიკო ახ—ლი“-ს** მიერ მოთავსებულ წერილისა გამო,სათაურით: „მეწაღე ბალდასარიანცის ოინები“-ს შესახებ ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ მათ მიერ მოხდენილ გამოძიებით **დადასტურდა მუშკორის წერილის სინამდვილე მეწაღე ბალდასარიანცის შესახებ,** რომელსაც დაუთხოვია ორი თანამშრომელი კავშირში ჩაწერის გამო. მიღებულია საჭირო ზომები, გთხოვთ გამოაქვეყნოთ.

საინფ. ნაწილის გამგის მაგ. **ცქიტიშვილი.**
ინფორმატორი **მებუკე.**

თქვენი გაზეთის ა.-წ. 23 მაისის მე-115 №-ში სათაურით: „გაჭუჭყიანებული კარმიდამო“, მოთავსებულ წერილის შესახებ. ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ მიღებულია ზომები წერილში მოხსენებულ დეფექტების გამოსასწორებლად.

მაგიდის გამგე **ვარდოსანიძე.**

მუშათა ქრონიკა

ბამბის ქარხანაში

— **შეკრული ძაფის დამზადება.** ბამბის ქარხანამ ივლისში დაამზადა შეკრული ძაფი 110 ფუთი, ღირებული ფულად 7.179 მანეთის.

— **მოქსოვილი შალი.** შალის საქსოვ ქარხანამ დაამზადა ივნისში **3.669 მეტრი შალი,** ღირებული ფულად 25.425 მანეთისა.

— **ფერადი შალები.** ამავე ქარხანამ ივლისში დაამზადა ფერადი შალები **3.494 მეტრი.**

— **წარმოებამ აიწია.** ზეთის და საპნის სახელ ქარხანაში მუშაობა გამოცოცხლდა და შედარებით წარსულზე წარმოებამ საგრძნობლად აიწია.

— **საწარმოო კომისიის მუშაობა.** ამავე ქარხნის საწარმოო კომისიამ მიიღო ზომები, რათა ქარხანას არ მიაკლდეს ნედლი მასალა.

პროფკავშირებში

მოზარდთა შრომის შესახებ.

ხელისუფლების მიერ დაწესებული მოზარდთა სავალდებულო რიცხვი („ჯავშანი“) მიზნად ისახავს წარმოებაში მუშათა ახალი კადრის ჩაბმას და კვალიფიციური მუშა-ხელის შექმნას. ამის შესახებ გამოცემული დადგენილებით პროცენტებში გათვალისწინებულია წარმოების ცალკე დარგებისათვის (ტყავის, ლითონის, პოლიგრაფიული და სხვ.) მოზარდთა რიცხვი.

აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება მხოლოდ საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის მიერ გაერთიანებულ წამოწყება-დაწესებულებებზე. ამის გამო თავის მუშაობაში კავშირს უხდებოდა მოზარდთა მოთავსება სატარიფო შეთანხმებით ან და კოლექტიური ხელშეკრულებებით. კოლექტიური ხელშეკრულებები უმთავრესად იდება სამეურნეო ორგანოებთან. სწორედ ამით აიხსნება მოზარდთა გავრცელება სავაჭრო ჯგუფებში. დაწესებულებათა სხვა ჯგუფებში (ფინანსიური, საკონტროლო და სხვ.) მათ მეტად მცირე რაოდენობით შეხვდებით.

სათანადო კანონდებულების უქონლობის გამო კავშირს ამ დარგში, ერთის მხრით, დიდი ენერგიის ხარჯვა უხდებოდა და, მეორე მხრით, შეთანხმების საშუალებით გატარებული მოზარდთა რიცხვი ვერ ავსებს სამეურნეო-სავაჭრო ორგანოებიდან გასულ კვალიფიციურ მუშახელს. წარმოება-დაწესებულებათა გამოკვლევამ დაგვანახა, რომ იქაც კი, სადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მოზარდთა რიცხვი, შევსებული არ არის. ამასთანავე მათი მომზადების საქმეც მოიკოჭლებს.

სწორედ ამით აიხსნება საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წლის დეკემბერში გამოსცა კანონი სავაჭრო ორგანოებში მოზარდთა 5 პროცენტის დაწესების შესახებ.

ბელორუსიაში კიდევ უფრო ადრე გამოიცა ასეთი, რომლითაც სავაჭრო ორგანოებში გათვალისწინებულია 6 პროცენტი და ადმინისტრატიულ-საფინანსო აპარატებში—3 პროცენტი. აღნიშნულ რესპუბლიკებში კანონმდებლობამ დიდათ შეუწყო ხელი საბჭოთა და სავაჭრო წარმოება-დაწესებულებებში მოზარდთა რიცხვის გადიდებას.

ამიერ-კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ეს საკითხი დამუშავების პროცესშია. კავშირის ც. გ—ს მართებს, რაც შეიძლება დაიჩქაროს წამოჭრილ საკითხის განხილვა და სათანადო ორგანოებში დასაბუთებული მასალებით წარდგომა.

კანონის გამოცემა და მისი ცხოვრებაში გატარება გააადვილებს კავშირის მუშაობას და ხელს შეუწყობს საბჭოთა და სავაჭროთა ორგანოებში მოზარდთა რიცხვის გამრავლებას.

ახალგაზრდობის სავალდებულო რიცხვთან არის დაკავშირებული მათ მიერ ამა თუ იმ სპეციალობის შესწავლის საკითხიც.

კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საქმეში დიდ როლს თამაშობენ კურსები. ჩვენი კავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკანტორო-სავაჭრო სკოლას.

ამ მხრივ კავშირს რუსეთის და უკრაინის ქალაქებში დიდი გამოცდილება აქვს მიღებული. საქართველოშიაც იყო სავაჭრო - საკანტორო სკოლა 1924 წელს, მაგრამ ის დაიხურა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კავშირის საქართველოს გამგეობამ წინასწარ ვერ გაითვალისწინა სკოლისათვის საჭირო რესურსები, ვერ გამონახა სათანადოთ მომზადებული პედაგოგიური ძალები. აგრეთვე სუსტი კავშირი გვქონდა სკოლასა და წარმოებას შორის. უკანასკნელი კი სკოლისათვის ძირითად ბაზას წარმოადგენს. სავაჭრო-საკანტორო სკოლის უქონლობა ჩვენში აბრკოლებს ამ დარგში მოზარდთა მომზადების საკითხს.

კავშირის გამგეობამ ხელმეორედ მოჰკიდა ხელი სკოლის გახსნას. ამ შემთხვევაში მას მართებს გაითვალისწინოს წინა შეცდომები. მთავარი საზრუნავი საკითხი არის საშუალებათა გამონახვა. ხსენებულ მუშაობაში საჭიროა დაინტერესებული სამეურნეო ორგანოების ჩაბმა. ამ საქმეში თავის დახმარებით პირველობა ვაჭრობის სახ. კომისარიატს ეკუთვნის.

პროფმუშაობის ქრონიკა

აჭარისტანის პროფსაბჭოში.

პროფსაბჭოს მონაწილეობა საბიუჯეტო მუშაობაში. აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა თავის წარმომადგენლის მოხსენება 1926—27 წლების ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარისტანის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო 4.475.499 მან. ამ თანხიდან ელექტროფიკაციისათვის გადადებული იყო 1.500.000 მან., სუბსიდია საწარმოო დაწესებულებებს—478.300 მან., საკურორტო აღმშენებლობისათვის—136.928 მან., კომუნალურ აღმშენებლობისათვის—500.000 მან., საზოგადო სამუშაოებისათვის—45.000 მან., სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის—285.000 მან., გლეხობის გადასახლებისათვის—40.000 მან., საბჭოთა მამულებისათვის—26.160 მან., კოოპერაციისათვის—226.000 მან., სასოფლო-სამეურნეო და სახალხო კოოპერაციისათვის—115.000 მ., გზათა აღმშენებლობისათვის—97.792 მან., ჭაობის ამოშრობისათვის—76.339 მან.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შემცირდა 200.000 მან., დანარჩენი კი დამტკიცდა.

მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

საბიუჯეტო მუშაობის შედეგები ეცნობა საქ. პროფსაბჭოს.

ფასების დაკლება საქონელზე

(ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მასალებიდან).

საცალო ფასების დაკლების კამპანია ამიერ-კავკასიაში მცირეოდენი დაგვიანებით დაიწყო, ვიდრე რუსეთში. ამ საქმეს ხელს უშლიდა ამიერ-კავკასიის საქონლის ბრუნვის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად აფერხებდენ შინავაჭრობას ამიერ-კავკასიაში. ასეთ მიზეზებათ უნდა ჩაითვალოს, ერთის მხრით, ბანკების კრედიტების შემცირება, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი, ხოლო, მეორეს მხრით,—ჩვენი სავაჭრო უწყებების არა საკმაოთ მომარაგება ისეთი საქონლით, როგორიცაა: მანუფაქტურა, ლითონის იარაღები, პურეულობა და სხვ. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილება საქონელზე ოდნავადაც არ შემცირებულა. ამ პირობებში მოსალოდნელი იყო ზედმეტი ხარჯების გადიდება საქონელზე, მით უმეტეს იმ დროს, როცა რკინის გზაზე გადაზიდვის ფრახტის ღირებულებამ აიწია. მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებებისა, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა მაინც შესძლო ამიერ-კავკასიაში საცალო ფასების დაკლება საქონელზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, საცალო ინდექსები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გვიჩვენებენ ფასების საგრძნობლად შემცირებას. ფასების საცალო ინდექსების შემცირება ასეთ სურათს იძლევა: სამრეწველო საქონლის საცალო ინდექსი ამა წლის 1-ლ მაისისათვის იყო 1,02, 1-ლ აგვისტოსათვის კი იგი 1-მდე დავიდა. სასოფლო-სამეურნეო საქონელზე საცალო ინდექსი პირველ მაისისათვის 1 შეადგენდა, პირველ აგვისტოსათვის კი) იგი—0,97 შეადგენს. როგორც აქედან სჩანს, უფრო საგრძნობი საცალო ინდექსების დაკლება მოხდა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატის ცნობები უფრო თვალსაჩინო სურათს იძლევა ფასების დაკლებაზე. თუ ა. წ. პირველ მაისი-მან. 97 კაპ. შეადგენდა, 1-ლ ივლისისათვის იგი 18 მან. 57 კაპ. უდრის. ამრიგათ, ღირებულებამ დაიკლო 2,2 პროცენტით. სასოფლო-სამეურნეო საქონლის საშუალო ღირებულება პირველ მაისისათვის იყო 13 მან. 16 კაპ., ხოლო პირველ ივლისისათვის იგი 12 მან. 79 კაპ. შეადგენს. ასე რომ ფასებმა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე დაიკლო 2,8 პროცენტით.

სამრეწველო საქონლის საშუალო ღირებულება 1-ლ მაისისათვის გამოიხატებოდა 5 მან. 82 კაპეიკში, 1-ლ აგვისტოსათვის კი იგი გამოიხატებოდა 5 მან. 78 კაპ., ე. ი. ფასებმა აქაც დაიკლო 0,7 პროცენტით.

საქონლის საცალო ფასების ვითარება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გვიჩვენებს, რომ ფასები ოდნავ გაზრდილა აზერბაიჯანის ზოგიერთ ქალაქებში. მაგრამ თბილისსა და ერევანში საცალო ფასების საგრძნობ დაკლებასთან გვაქვს საქმე.

ამას გარდა, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატს ფასების დაკლების საქმეში სათვის საბიუჯეტო ნაკრების ღირებულება 18 მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული. ფასების შემცირების კამპანიის გამოცხადების ხნიდან, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოსცა პირველი დადგენილება ფასების დაკლებაზე. ამ დადგენილებით შემდეგნაირად შემცირდა ფასები შემდეგ საქონელზე: მანუფაქტურაზე—საბითუმო ფასები— 1-დან 1 და სამ მეოთხედ პროცენტამდე, საცალო ფასები კი—2 პროცენტით. ლითონის ნაწარმოებზე ნახევრად საბითუმო ფასები შემცირდა 2-დან 5 პროცენტამდე.

გარდა ამისა, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ახალი დადგენილებით დაწესდა მტკიცე ზედნადები ფასები ლითონის ნაწარმოებზე, რომლითაც ფასები შემცირებულია 19-დან 32 პროცენტამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჯგუფისაა ეს საქონელი. ასეთივე მდგომარეობაშია ფასები ტყავეულობაზე. ტრესტის ფასებზე დაწესდა მტკიცე ზედნადები ხარჯები, რომლითაც ამიერ-კავკასიაში ტყავის საქონელი იაფდება. საბითუმო ფასები დაკლებულია 4-დან 7 პროცენტამდე, ნახევრად საბითუმო ფასები—10-დან 12 პროცენტამდე. ხოლო საცალო ფასები დაკლებულია 21-დან 24 პროცენტამდე.

ამას გარდა, შინავაჭრობის კომისარიატს დამუშავებული აქვს დადგენილება ხე-ტყის მრეწველობის ნაწარმოებთა ფასებზე, რომლითაც ეს ნაწარმოები იაფდება 8 პროცენტით საქართველოსა და სომხეთში, ხოლო 9 პროცენტით—აზერბეიჯანში საალმშენებლო აგურის ფასებიც დაკლებული იქნება 7 პროცენტით.

საცალო ფასების დაკლება მოხდა არა მარტო ზემოაღნიშნულ საქონელზე, არამედ სხვა პროდუქტებზედაც გამზადებულ ტანისამოსზე 5 პროცენტით, პურეულობაზე—2—4 პროც., გასტრონომიულ პროდუქტებზე 3—5 პროც., გალანტერეია-პარფიუმერიაზე—2—8 პროცენტამდე, ხორცზე საშუალოდ ამიერ-კავკასიაში— 14 კაპ., შაქარზე—2,5 კაპ. ახლო ხანში მოხდება აგრეთვე ყველა დანარჩენი საქონლის საცალო ფასების დაკლება.

ფასების გაიაფება საქონელზე მომავალში დამოკიდებულია ჩვენი საქონლის გამსაღებელი ორგანოების სრული მომარაგებიდან გასაყიდი საქონლით. ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მიაწოდოს საქონლის გამსაღებელ ორგანიზაციებს მანუფაქტურა, რკინეულობა, პურეულობა და სხვა საქონელი. ამასთანავე, ფასების დასაკლებად მას საჭიროდ მიაჩნია იმპორტის თვალსაჩინოთ შემცირება.

ზედნადები ხარჯების და საცალო ფასების დაკლება მომავალში სავსებით დამოკიდებული არის საქონლის სრული ბრუნვისაგან, რომლის 40 პროცენტს მანუფაქტურა შეადგენს.

„საქართველოს ღვინო“

ა.-კ. 1925-26 წლის ბიუჯეტით კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად გათვალისწინებულ თანხიდან, „საქართველოს ღვინო“-ში შემავალ კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად გადადებული თანხა 8.764 მან. 68 კ. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: 1. „ხვანჭკარა“-ს 1.000 მან., 2. „ბაღდად“-ს 1.500 მან., 3. „სვირს“—1.500 მან., 4. „ხარაგოულს—1.000 მან. , 5. „ვაზის მეგობარს“—1.000 მან., 6. „კავშირთა კავშირს“—1.500 მან. და თვით „საქართველოს ღვინო“-ს 1.264 მან. 98 კ.

სასოფ.-სამ. ამხანაგობანი

ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 22 სუსტი სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობა. აღნიშნული ამხანაგობები მოკლებული არიან სათანადო სახსრებს და განიცდიან სივიწროვეს, როგორც ძირითადი, ისე შესანახი თანხების სიმცირის გამო. ამის გამო საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გაიღო 26.300 მანეთი აღნიშნულ ამხანაგობათა ასაღორძინებლად და გასაძლიერებლად. ეს თანხა გასანაწილებლად გადაეცა „სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო ბიუროს, რომელიც უკვე შეუდგა მის განაწილებას სუსტ ამხანაგობებს შორის. გარდა ამისა, მომავალ 1926-27 საოპერაციო წელში განზრახულია მიეცეს ყველა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებს გრძელვადიანი სესხის სახით ხუთი ათასი მანეთი თითოს.

სას.-სამეურნეო ამხანაგობებზე სესხის გაცემის საკითხი საბოლოო დასამუშავებლად გადაეცა საგეგმო კომისიას, რომელმაც უკვე დაასრულა ამ საკითხის დამუშავება და თავისი დასკვნებით წარუდგინა სახკომსაბჭოს.

აჭარისტანის ბიუჯეტი

აჭარისტანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ წარმოუდგინა საქართველოს ს. ს.-რ. სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკის 1926-27 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბიუჯეტის პროექტით მაზრების შემოსავალი, 26-27 წლისათვის უდრის— 628.845 მან., გასავალი—628.845 მან.

ქალაქ ბათომის შემოსავალი (პროექტი) უდრის 1.341.868 მან., გასავალი —1.341.868 მან. აქაც იგივე სურათია, როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში.

მთლიანად აჭარისტანის 1926-27 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემდეგ რაოდენობით გამოიხატება:

შემოსავალი 1.970.713 მან., გასავალი 1.970.713 მან.

ამრიგად, აჭარისტანის ადგილობრივი ბიუჯეტი უდეფიციტოა.

ტყეების გადაცემა

მიწადმოქმ. სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით, მთელ საქართველოში თითქმის დამთავრდა გლეხობაზე ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემა; დღემდე გლეხებზე გადაცემულია ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების 99 პროც.

დარჩენილია მხოლოდ სენაკის მაზრა, საიდგანაც ჯერ სატყეო განყოფილებას ცნობები არ მიუღია. მიწადმოქმ. კომისარიატმა წინადადება მისცა სენაკის სამაზრო ალმასკომს, დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ცნობები მაზრაში ტყის გადაცემის საქმის შესახებ.

სატყეო განყოფილება უკვე შეუდგა გლეხებზე გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში სამრეწველო საფუძვლებზე მოწყობას.

სახ. კომ. საბჭოში

დაზღვევის საქმის მოწესრიგება

დაარსდა კომისია ამხ. გეგეჭკორისა (თავმჯდომარე) ლ. სუხიშვილისა და ა. მიქაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა თბილისის ალმასკომისა და დამზღვევ ორგანოებთან ერთად მოაგვაროს დაზღვეულთა საექიმო დახმარების საკითხი ქ. თბილისში.

მდ. რიონის ნაპირების გამაგრება

დაარსდა კომისია ამხ. ბ. ჭიჭინაძისა (თავმჯდომარე), ჟუნკოვსკისა (ნავთსადგურთა სამმართველო), ხელთუფლიშვილისა (გზათა კომისარიატის რწმუნ. სადმართ.), ალშიბაიას (საგეგმო კომისია) და გოგიას (ქ. ფოთი) შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ადგილობრივ შესწავლა და საკითხის საბოლოოდ გამორკვევა ქ. ფოთში მდ. რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადი

დაარსდა კომისია ამხ. ა. გეგეჭკორისა (თავმჯდომარე) ლაკობას, ოკუჯავას და ჯაფარიძის (ფინსახკომი) შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მაზრებ შორის განაწილების საკითხის დეტალური დამუშავება.

შრომის სესიები

იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის სესიები დატოვებულ იქნა ადგილობრივ ბიუჯეტზე.

სამრეწველო გეგმები

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა საწარმოო-საგეგმო და ტეხნიკურ განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი სამრეწველო გეგმები.

გეგმებით 1926—27 საოპერაციო წლის სახალხო სამრეწველო ხარჯები გათვალისწინებულია შემდეგნაირად:

1) ს. მ. უ. ს. ტრესტებისა და შენაერთებისათვის კაპიტალური ხარჯები უნდა განისაზღვროს 2.442.062 მან.

დაარსების პროცესში მყოფ აბრეშუმის ტრესტის მომავალი საოპერაციო წლის კაპიტ. ხარჯი განსაზღვრულია 1.593.800 მან. რაოდენობით.

2) ს. მ. უ. ს. ახალ შენებათა კაპიტალური ხარჯები—4.125.000 მანეთის რაოდენობით.

3) სრულიად საქართველოს ელექტროფიკაციისათვის ხარჯები განსაზღვრულია—6.344.000 მანეთით.

4) ტყვარჩელის ქვანახშირის და გურიის ნავთის ბუდობების კვლევაძიებითი მუშაობისათვის განზრახულია დაიხარჯოს 717.516 მანეთი.

5) სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის სამრეწველო ხარჯები განსაზღვრულია 517.000 მანეთით.

ამასთანავე ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს დააჩქაროს სამრეწველო გეგმების წარმოდგენა.

ს. მ. უ. ს. შინამრეწველობის განყოფილებას დაევალა ახლო ხანში წარმოადგინოს შინამრეწველობისათვის საჭირო გრძელვადიანი კრედიტების გახსნის გეგმა.

მეცხენეობის კოოპერატივში

მიწათმოქმედების კომისარიატის დავალებით ცხენთასაშენის სამმართველომ დაუგზავნა ყველა მაზრებს გეგმა და წესდება „მეცხენეთა სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობების“ მოწყობის შესახებ.

ამხანაგობების დაარსების მიზანია ხელი შეუწყონ ჩვენში მეცხენეობის საქმის განვითარებას და სოფლათ მუშა-ცხენების მოშენებას, მოაწყონ ცხენთა მოსაშენებელი პუნქტები, აწარმოონ სახელმწიფოსათვის საჭირო ცხენების შესყიდვა და სხ.

აღნიშნული კოოპერატიული ამხანაგობები მოაწყობენ აგრეთვე მეცხენეობის კურსებს, დოღებს, ცხენთა გამოფენებს და მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ცხენთა შეჯიბრებაში.

კოოპერატიული ამხანაგობების მუშაობის დაწვრილებითი გეგმა და წესდება უკვე შედგენილია. თანახმად ამ გეგმისა, მეცხენეობის კოოპერატიული ამხანაგობები მოეწყობა თბილისის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალსენაკის, ზუგდიდის და რაჭის მაზრებში.

მეცნიერება და ტეხნიკა

კატალიზატორი და ფერმენტი

ამ სიტყვებს ბევრი ვერ იცნობს. მოვლენები-კი, რომლებიც კატალიზატორის და ფერმენტის გავლენით ხდება ყველას უნახავს ამა თუ იმ სახით ან გამოუცდია. მეცნიერულ განმარტებას ჯერ გვერდი აუხვიოთ და ფაქტების ჩამოთვლით გამოვარკვიოთ რას ეძახიან კატალიზატორს და ფერმენტს.

ას წელზე მეტია მას შემდეგ, რაც პირველათ შემდეგი მოვლენა აღმოაჩინეს: წყალბადით სავსე ჭურჭელში რომ პლატინის პატარა საცერი ჩავდოთ, წყალბადს იმ წამსვე ცეცხლი წაეკიდება. ეხლა ამით ხშირათ სარგებლობენ ევროპაში. გაზი დაახლოვებით ნახევრათაც წყალბადით შესდგება. მისთვის ცეცხლის წასაკიდებლად წუმწუმას მაგივრად პლატინის საცერს (ან წვრილათ დაჭრილ პლატინასა ხმარობენ უცეცხლოთ და პლატინოთ გაზის ან წყალბადის შენახვა ათეულ წლებით შეიძლება. პლატინა კი იმ წამსვე ცეცხლს გააჩენს. წყალბადი (ან გაზი) იწვის. დაწვა ქიმიური თვალსაზრისით მჟავბადთან შეერთებას ნიშნავს. წყალბადი უერთდება მჟავბადს (იჟვის) და წყალათ იქცევა. ამ შეერთებას პლატინამ ხელი შეუწყო. ამიტომ ეძახიან მას შეერთების ხელის შემწყობს—კატალიზატორს.

პირველ აღმოჩენას მოყვა მრავალი სხვა. მთელი რიგი ნივთიერებანი უწყობენ ხელს ამა თუ იმ შეერთებას ან დაშლას. კატალიზატორმა დიდი როლი მოიპოვა მრეწველობაში. გოგირდის მჟავის თანამედროვე წარმოება, ისე როგორც აზოტის მიღება ჰაერიდან, კატალიზატორთა მოქმედებაზეა დამყარებული. რატომ მაგალითად პლატინა უწყობს ხელს წყალბადის და მჟავბადის შეერთებას და არა რკინა. ამის დამტკიცება არავის შეუძლიან. საყურადღებო მოსაზრებები კი ბევრია გამოთქმული. არის შემთხვევები, სადაც რკინა, ან რკინის ჟანგი, სპილენძი, ვერცხლის წყალი და სხ. თამაშობენ კატალიზატორის როლს. ქიმიურ მრეწველობის სხვადასხვა დარგში ჩვეულებრივი მოვლენა არის ეხლა კატალიზატორის ხმარება.

ყველამ კარგათ იცის, რომ თუ მცენარეს მზის სხივი არ ექნა, ის ვერ გაიხარებს. ბევრს გონია მზე სითბოს იძლევაო. ეს არ არის სწორი. ხელოვნურ სითბოშიაც ვერ გაიხარებს მცენარე თუ მზის სხივი არ ექნა. მზის სხივი ეხმარება მცენარეს საზრდოს გადამუშავებაში, მის გადაქცევაში საკვებ მასალათ. განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მზის სხივის ის ნაწილები, რომლებსაც ულტრა-იისფერ სხივებს ეძახიან. ადამიანის და ცხოველების ჯანმრთელობისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მზის სხივებს არა მარტო როგორც სითბოს მატარებელთ, არამედ როგორც კატალიზატორებს. ისინი ხელს უწყობენ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლას სხეულში. მზის სხივების გარეშე ორგანიზმი ვერ ისაზრდოებს. რაც გინდ ბევრი საკვები მასალა მისცე მას ვერ გადაამუშავებს.

ღვინის ჩქარი დაძმარებისთვის საკმარისია ღვინო თავახდილ ჭურჭელში დავდგათ და შიგ კოპიტის ნახერხი ან ნაფოტი ჩავყაროთ. ღვინო სწრაფათ დაძმარდება. (ე. ი. ორ ატომ წყალბადს ერთ ატომ მჟავბადზე გასცვლის). კოპიტის ნახერხი რეაქციას აჩქარებს, ის კატალიზატორის როლს თამაშობს. გარდა ამისა თვით ღვინოში, თუ იგი კარგათ დაწმენდილი არ არის, მოიპოვებიან პატარა ორგანიზმები—ბაქტერიები, რომლებიც დაძმარებას ხელს უწყობენ. ვისაც სურს დაძმარების თავიდან აშორება, დაწმენდილი ღვინო მეორე ჭურჭელში უნდა ჩაასხას და თავი კარგათ დაუხუროს, რომ შიგ ჰაერი ვერ ჩავიდეს.

საინტერესოა კატალიზატორების როლი მცენარეების და ცხოველების ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში რეაქციის ხელის შემწყობ ნივთიერება არ არის ისეთი გარკვეული სახის მქონე, როგორც მაგალითად პლატინა ან სპილენძი. ისინი თითონაც ადვილათ იშლებიან. ამიტომ მათ სხვა სახელი დაარქვეს—ფერმენტები. უმრავლეს შემთხვევებში ფერმენტების გამოყოფა და მათი ბუნების გამორკვევა არ მომხდარა. ჯერ ეს კიდევ მომავლის საქმეა. კვლევა-ძიების მოყვარეთ აქ დიდი ასპარეზი აქვთ ახალი აღმოჩენების მოსახდენათ, რომლებსაც კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ.

ყველამ კარგათ იცის, რომ სიმინდიდან, კარტოფილიდან და ხილიდან სპირტი კეთდება. სპირტის მიღების დროს შემდეგ მოვლენას აქვს ადგილი: სახამებელი ან შაქარი ჯერ მარტივ შაქრათ (ყურძნის შაქრათ) იქცევა, შემდეგ სპირტათ. პირველ შემთხვევაში სახამებელის გადაქცევას ყურძნის შაქრათ ხელს უწყობს ფერმენტი, რომელსაც „დიასტაზს“ ეძახიან. შემდეგ ყურძნის შაქარს სპირტად აქცევს მეორე ფერმენტი რომელსაც „ციმაზს“ უწოდებენ. სხვათა შორის ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ფერმენტის შერჩევით შეიძლება შაქრიდან სპირტის მაგივრათ გლიცერინის მიღება.

წლების განმავლობაში შეიქმნა მთელი კულტურა ფერმენტებისა. სახამებელის ცელულოზის და შაქრის გამოკვლევა უმთავრესათ ფერმენტებზეა დამყარებული. ერთი და იგივე ნივთიერება სხვადასხვა პროდუქტებათ იქცევა იმის დამიხედვით, თუ რა ფერმენტია ხმარებული. ისეთი ფერმენტის გამონახვა, რომელიც ცელულოზის და სახამებელის მოლეკულის სიდიდის და მისი ბუნების გამორკვევაში დაგვეხმარება,—აი ამოცანა, რომლის გადაჭრა ბევრ დროს ართმევს მკვლევარებს.

თითეულ ფერმენტს თავისი დანიშნულება აქვს. ის თავის როლს მუდამ პირნათლათ ასრულებს. სხვა მის ალაგას არ გამოდგება. არც ის ივარგებს სხვის ალაგას. ამიტომ ერთმა გამოჩენილმა ქიმიკოსმა—**ემილ ფიშერმა** ფერმენტი გასაღებს შეადარა: როგორც გასაღები ყველა კლიტეს არ მოადგება, ისე ფერმენტს საკუთარი დანიშნულება აქვსო. მცენარის და ადამიანის ორგანიზმშიაც ფერმენტს გარკვეული ალაგი უკავია. მას საკუთარი სპეციალობა აქვს. ის ასე ვთქვათ ვიწრო „სპეცია“. კუჭში ადამიანს მაგალითად ისეთი ფერმენტი აქვს, რომელიც საჭმელის გადამუშავებას ხელს უწყობს. ხშირათ კუჭის ტკივილი იმით არის გამოწვეული, რომ ფერმენტი, რომელსაც „პეპსინს“ ეძახიან, არ არის საკმაოთ. პეპსინის ხელოვნურათ მიმატება ბოლოს მოუღებს ხოლმე კუჭის ტკივილს.

ერთ-ერთ მძიმე ავადმყოფობათაგანი—შაქრის ავადმყოფობა იმით არის გამოწვეული, რომ ორგანიზმი ვეღარ ქმნის იმ ფერმენტს, რომელიც ხელს უწყობდა შაქრის გადამუშავებას და შეთვისებას. იმ ფერმენტებს, რომლებიც ქონს ამუშავებენ უწოდებენ „ლიპაზებს“.

ფერმენტები აგებულებით ძლიერ რთულნი არიან. ამიტომ მათი შესწავლა ძნელდება. ამასთანავე ისინი ძლიერ სათუთნი არიან. 70 გრადუს სითბოს ვეღარ უძლებენ და იღუპებიან. ამაზეა აგებული ე. წ. რძის პასტერიზაცია. რძეში ბევრი სხვადასხვა სახის ფერმენტებია. ამიტომ აუდუღებელი რძე უფრო მარგებელია, ვიდრე მოხარშული. მაგრამ აუდუღარ რძეში ამავე დროს მავნე ბაქტერიები არიან. ბაქტერიების დასახოცათ, ისე რომ ფერმენტები არ დაიღუპონ, რძეს 60-65 გრადუსამდე ათბობენ. ამ სითბოში ბაქტერიები იხოცებიან, ფერმენტები კი რჩებიან.

ფერმენტი დიდ როლს თამაშობს მცენარეების ცხოვრებაშიაც. ამ შემთხვევაში ყურადღება მივაქციოთ ფერმენტს, რომელსაც „ქლოროფილს““ უწოდებენ ქლოროფილი (მწვანე ფერი) შეადგენს ფოთლების ერთ მთავარ პროცენტს (დაახლოვებით). მისი მოვალეობა არის ჰაერიდან ნახშირმჟავა მოიზიდოს და ის მცენარის საკვებ მასალათ გადააქციოს.

აქ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის გასაგებათ, თუ რამდენათ სხვადასხვაგვარია ფერმენტები, მათ გამოსარკვევათ ბევრი დრო დახარჯულა. მაგრამ ქიმიურ კვლევა-ძიების საქმეში კატალიზატორების და ფერმენტების შესწავლას ჯერ კიდევ მთავარ ალაგთაგანი უჭირავს. კატალიზატორების ბუნების გამორკვევას დიდი მნიშვნელობა ექნება ქიმიურ მრეწველობის განვითარებისათვის. ფერმენტების გამორკვევას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება თვით ადამიანის ცხოვრებისთვის. ამ საკითხთან მჭიდროთ არის დამოკიდებული კაცობრიობის ჯანმრთელობის საკითხი. სამწუხაროთ ფერმენტთა შესწავლა-გამოკვლევის საკითხი ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაშია. ის იმდენათ რთულია, რომ ახლო მომავალში საკითხის გამოკვლევა ძნელი მოსალოდნელია. ჯერ კიდევ დიდი გზა არის გასავლელი. მუშაობას ამ გზით აფერხებს ის გარემოება, რომ ფერმენტებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ წარმოებაში. ამიტომ თუ რომელიმე ქარხანა ფერმენტს წააწყდა, საიდუმლოთ ინახავს, არ აცნობს სხვებს.

ალ. დევდარიანი.

დედამიწის შინაგან სითბოს გამოყენება

„ჩვენ, რომლებიც ვწვავთ ნახშირს, ჩვენ უზარმაზარ ღუმელების და ელექტრონული ფეჩების დროის მოეწვილები, შორეულ მომავალში ისეთივე უსუსური აღმოჩნდებით, როგორი უსუსური და საცოდავი არიან ჩვენს თვალში პირველყოფილი ადამიანები, შეიარაღებულნი ქვის დანებით,—ამბობს თანამედროვე ფრანგი ბელეტრისტი პიერ ამპი თავისი რომანის—„ოქროს მაძიებლნი“ ერთ-ერთი გმირის პირით. ჩვენ ვეძებთ ქვანახშირს არა უღრმეს 1.000 მეტრისა, შეიძლება კი, რომ 2.000 მეტრის სიღრმეზე წავაწყდეთ ვაჟნარ მადანს, რომელიც უფრო ძვირფასი აღმოჩნდება, ვიდრე ოქრო! თუ მართალია, რომ დედამიწის წიაღში გამეფებულია ისეთი სიმხურვალე, რომ იქ ყველაფერი გამდნარ მდგომარეობაშია, მაშინ ტეხნიკის მთელი ძლიერება გამოყენებული უნდა იქნას ამ გავარვარებული სითბოს მოსაპოვებლათ. ცეცხლათ გადასაქცევ ნახშირის მოსაპოვებლად აუარებელი შრომის დახარჯვის ნაცვლად, ეს ცეცხლი უშუალოდ იქნება მიღებული დედამიწის წიაღიდან. წარმოიდგინეთ მხოლოდ: საკმაოა გაიბურღოს მიწა აქვე, ჩვენს ფეხებ ქვეშ, ორი ათასი მეტრის სიღრმეზე და შეიძლება მთელი სატახტო ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სათბობ მასალაზე და მამოძრავებელ ენერგიაზე. თუ ადამიანს თავის განკარგულებაში ექნება სითბო და მექანიკური ენერგია, იგი უკვე აღარ არის ღარიბი. რამდენი ცხენის ძალის ენერგია და სითბო იკარგება ჩვენი უვიცობის წყალობით! კაცობრიობას გაჭირვებას მოსპობს ისინი, ვინც შესძლებს ცეცხლის მიღებას დედამიწის წიაღიდან“.

ასეთი წარმტაცი პერსპექტივები დედამიწის სითბოს უტილიზაციისა ეხატება მრავალს. ეს საკითხი უკანასკნელი წლების განმავლობაში უფრო ხშირ-ხშირათ ისმება დღის წესრიგში, რამდენადაც ირკვევა, რომ ქვანახშირის მარაგი განსაზღვრულია. არის ქვეყნები, სადაც ნახშირის მარაგი საყოფია მხოლოდ უახლოესი 30 წლის განმავლობაში. და თუ მოვიგონებთ, რომ ნახშირის გამოლევასთან ერთად მოისპობა არა მარტო იმ მამოძრავებელი ძალის მარაგი, რომელსაც ის შეიცავს, არამედ ისპობა ერთად ერთი წყარო ნედლი მასალისა ქიმიური მრეწველობის მრავალი დარგებისათვის,—მაშინ ნათელი შეიქნება შეუჩერებელი ლტოლვა ენერგიის სხვა მარაგის აღმოჩენისაკენ.

სრულიად ბუნებრივია, რომ შინაგანი სითბო ჩვენი პლანეტის, რომლის წიაღის ტემპერატურა, ალბათ, 4.000 გრადუსამდი უნდა აღწევდეს, ბევრს ეჩვენება ენერგიის ძლიერ იაფ წყაროთ სამრეწველო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. მაგრამ, ამ პრობლემის ფხიზლათ განხილვა ტეხნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით, როდი ამართლებს ყველა ამ იმედებს. საკითხის განხილვას ყოველმხრივ მივყევართ საკმაო უნუგეშო დასკვნამდი, რომლებთანაც გაცნობა საჭიროა, რომ არ შევქმნათ უნიადაგო ილუზიები.

ამ საკითხთან დაკავშირებული გამონაგარიშება მეტად მარტივია. რაც უფრო ღრმათ ვიჭრებით მიწაში, ტემპერატურა გამოკვლეული ადგილების უმრავლესობაში საშუალოთ 1° გრადუსით მატულობს თითეულ 25—40 მეტრზე. მაგრამ არის ისეთი ადგილებიც, სადაც ტემპერატურა გაცილებით მეტად მატულობს.

თანამედროვე ორთქლის მანქანა საათში თითეულ ცხენის ძალაზე საშუალოთ ხარჯავს 6 კილოგრამ ორთქლს. თითეული კილოგრამი ორთქლის წარმოსაშობათ კი ქვაბი მოითხოვს 660 კალორია სითბოს. როცა მიწის შინაგან სითბოზე გვაქვს ლაპარაკი აღნიშნული რაოდენობა შეგვიძლია შევამციროთ 100 კალორიით, რადგან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მიწისქვეშა 100 გრადუსი სითბოს მქონე წყაროები. ამრიგათ ერთი ცხენის ძალის ენერგიის მისაღებათ საჭიროა მიწის შიგნიდან დაიხარჯოს 560×6=3.660 კალორია სითბო. რასაკვირველია, სითბოს მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთი დიდი სიღრმიდან (ორი კილომეტრი) მიღების დროს დაიკარგება, მაგრამ ჩვენ ამოცანის გასაადვილებლად ამას მხედველობაში არ მივიღებთ, რადგან შედეგები ისედაც საკმაოთ დამარწმუნებელი იქნება.

გავყვეთ შემდეგ. იმ სითბოს გამტარობის უნარის მიხედვით. როგორიც აქვთ მთის ჯიშებს, შეიძლება გამოირკვეს იმისი, თუ სივრცის გამთბობი ზედაპირია (площадь нагрева) საჭიროა აღნიშნულ რაოდენობის სითბოს მისაღებად დედამიწის წიაღიდან. შედეგს პირდაპირ გამანადგურებელს ვღებულობთ: საჭიროა ორი ჰექტარის*) სივრცეზე ორი კილომეტრის**) სიღრმის ჭის ამოთხრა (ამ ჭის ფსკერზე 200 გრად. სითბო იქნება). ამ სივრცის შემცირება შეიძლება ერთ ჰექტარამდი, თუ ამოთხრილი იქნება სამი კილომეტრის სიღრმის ჭა, რომლის ფსკერზე ტემპერატურა 300 გრად. იქნება. 100 ცხენის ძალის დადგმულობა მაშასადამე მოითხოვდა მთელი კვადრატიული კილომეტრის სიღრმეზე (275 ქვევის) სივრცეზე ორი ვერსის სიღრმის ჭის ამოთხრას.

ამავე დროს მუშაობა ასეთ დიდ სიღრმეზე აუარებელ ფულებსა და დროს მოითხოვს. აი მაგალითებიც. ერთი კილომეტრი სიღრმის ჭის ამოთხრა თანამედროვე ტეხნიკური საშუალებებით ჯდება 500.000 მანეთი და 5 წელიწადი მუშაობის დასამთავრებლად. ორი კილომეტრის სიღრმის ჭის ამოთხრას დასჭირდება 15 წელიწადი და 3.000.000 მანეთი ფულათ. დაბოლოს, სამი კილომეტრის სიღრმის ჭა შთანთქავს 6 მილიონ მანეთს და 35 წლის შრომას. რამდენი შრომისა და ხარჯების გაწევა შეიქნება საჭირო უზარმაზარ მიწისქვეშა გამოქვაბულების მოსაწყობათ სითბოს მისაწოდებლათ მიწისქვეშა მექანიკურ დადგმულობათათვის! ისეთ დიდ სიღრმეზე, 200—300 გრადუსი სიცხის პირობებში მუშაობის სიძნელეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

აშკარაა, მიწის შინაგანი სითბოს გამოყენების შესაძლებლობის აზრი მიტოვებული უნდა იქმნეს. ნახშირის მოადგილეები უნდა ვეძებოთ სხვაგან. ასეთ როლს, ალბათ, არც ისე უშორეს დროში, ითამაშებს მზის სხივების ენერგია და, რასაკვირველია, წყალის ვარდნის ენერგია —„თეთრი ნახშირი“, რომლის გამოყენება თანდათანობით ფართოვდება ევროპასა და ამერიკაში.

ი. პერლმანი.

---

*) ჰექტარი დაახლოებით ერთ დესეტინას უდრის.

**) თითქმის ორი ვერსი.

მატარებელი ურელსოთ

ამერიკელ ტურისტების ჯგუფმა გადასწყვიტა იმოგზაუროს ევროპაში ისე, რომ არ ისარგებლოს არც ერთი ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებებით. ამ მიზნით მათ დაუკვეთეს ორთქლმავალი და ორი ვაგონი, რომლებსაც შეუძლიათ სვლა ჩვეულებრივ ქუჩებზე ერთ-ერთი ვაგონი საძინებლად არის დანიშნული, მეორე კი—რესტორანს წარმოადგენს.



აქ მოყვანილი სურათი გადაღებულია როტერდამის (ჰოლანდია) ერთ-ერთ ქუჩაზე.

ტელეფონის აპარატი

საიდუმლო საუბრის გადასაცემად

ბერლინელმა ინჟინერმა კრომ გამოიგონა სატელეფონო აპარატი, რომლის საშუალებით



შეიძლება საიდუმლო ლაპარაკის გადაცემა ისე, რომ სხვამ არ გაიგონოს. გადასაცემი ფრაზა პირდაპირ საბეჭდ მანქანაზე იბეჭდება.

ჰაეროპლანი-გლისერი

ამერიკელ ინჟინერის ლოდის მიერ წყალზე სავალათ დამზადებული აპარატი სწყვეტს ამავე დროს ჰაეროპლანის და წყლის გლისერის (საჰაერო ხრახნილით მავალი ნავის) შეთავსების მეტად საინტერესო მოცანას. ჰაეროპლანგლისსერზე დადგმულია ექვსი მოტორი, რომელთა საშუალებით მას შეუძლია საათში 180—225 ვერსის გავლა. ახალი ტიპის გლისსერი აუარებელ მგზავრებს იტევს. თუ გლისსერის გამოიცდის ცდებმა დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო განზრახულია მათი გამოყენება საჰაერო გზებზე.



ულტრა-იისფერი სხივების ახალი თვისება

თვალით უხილავი ულტრა-იისფერი სხივები, რომლითაც ასე მდიდარია ბუნებრივი მზის სინათლე და რომელთაც ასე უხვად იძლევიან ისეთი ხელოვნური წყაროები, როგორიც არის კვარცისა და სინდიყის ლამპა,—სამკურნალო თვისებები აქვს. ეს დიდი ხნის წინათ შემჩნეული მათი თვისებურობაა, ეხლა ფართედ არის გამოყენებული. აღმოჩნდა, რომ ულტრა-იისფერ სხივებს აქვთ ზოგიერთ საკვებ ნივთიერებათა სამკურნალო თვისებების გაძლიერების უნარი, რისთვისაც საჭიროა ამ საკვებ ნივთიერებათა განათება ულტრა-იისფერი სხივებით. საკმაო არის ¾ საათით გაანათონ ძროხის ან ქალის რძე კვარცის ლამპით, რომ ამ რძით ბავშვის კვებამ მოუღოს ბავშვს რახიტისგან განკურნება.

ასეთივე საშუალებით შეიძლება სხვა საკვებ ნივთიერებათა—ცხიმების, კარაქის, ერბოს. კვერცხის ცილის და სხვა. სამკურნალო და სასარგებლო თვისებების გაძლიერება. ავადმყოფ ბავშვთა მკურნალობა ასეთი საკვებით 4—6 კვირის განმავლობაში უმრავლეს შემთხვევაში იძლევა ბავშვთა ჯანმრთელობის საგრძნობად გაუმჯობესებას და ხშირად სრულ განკურნებას.

„ამ აღმოჩენის პრაქტიკული მნიშვნელობა,—სწერს ამ საკითხის ერთი მკვლევართაგანი (ბრანდენბურგი)—აშკარაა. ის ფაქტი, რომ სინათლე ანტირახიტული თვისებებით ამდიდრებს განსაზღვრული სახის ნივთიერებათ, ნათლყოფს ჩვენთვის თუ რატომ ეთანაირად იცავს ორგანიზმს რახიტისაგან ავადმყოფი ტანის განათება ულტრა-იისფერი სხივებით ან თევზის ქონის მიღება. როგორც ჩანს, სინათლის გავლენა მდგომარეობს იმაში, რომ ის აძლიერებს ორგანიზმში მყოფ ზოგიერთ ნივთიერებათა მოქმედებას.

„მეტად მნიშვნელოვანია აქ ის გარემოება, რომ ტერაპიის წინაშე იშლება ფართე ასპარეზი, ვინაიდან ულტრა-იისფერი სხივები გარდა რახიტისა სამკურნალო გავლენას ახდენენ აგრეთვე ტუბერკულოზის ზოგიერთ ფორმებზე. დასაშვებია, რომ სხეულის უშუალოდ განათება ულტრა-იისფერი სხივებით, თუ არ შეიძლება შეცვლილი იქნეს განათებაში საკვებით, უკანასკნელი პირველთან ერთად დააჩქარებს და გააძლიერებს განკურნების პროცესს“.

შესანიშნავია ის, რომ ულტრა-იისფერი სხივებით განათებული ცხიმოვანი ნივთიერებანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ თავის სამკურნალო თვისებებს. კარაქმა, რომელსაც ნახევარი საათის განმავლობაში ანათებდენ სინდიყის ლამპით, შემდეგ 11 თვის განმავლობაში შეინარჩუნა თავისი სამკურნალო თვისებები.

ულტრა-იისფერი სხივების ახალი თვისება საჭიროებს ყოველმხრივ შესწავლას, რომელიც ერთი მხრივ გამოარკვევს შინაგან კავშირს საჭმლის განათებასა და მის სამკურნალო თვისებებს შორის. და მეორეს მხრივ— შესაძლებელია კიდევ უფრო გააფართოვებს „ულტრა-იისფერი ტერაპიის გამოყენების სფეროს, რომელიც ეხლა განსაზღვრულია ტეტანიის, რახიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობით. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ულტრა-იისფერი სხივების არა ახალ თვისებასთან. არამედ მათი ქიმიური მოქმედების ახალ გამოხატულებასთან. ახალი აქ არის ულტრა-იისფერი სხივებით შექმნილ ქიმიურ შენაერთების სამკურნალო მოქმედება.

ი. ვ.

მაიმუნების ფერმა აფხაზეთში

როგორც მკითხველებმა იციან აფხაზეთში განზრახულია მაიმუნების ფერმის მოწყობა. ფერმა მოწყობილი იქნება ოსტროუმოვის ყოფ. აგარაკში, სოხუმის ახლო.

საშუალო წლიური ტემპერატურა ამ რაიონში უდრის +14,9 გრად. ზაფხულში კი 38 გრადუსამდი აღწევს.

აქ მოიპოვება ყველა ტროპიკული მცენარეები: 4 საჟენიანი პალმები, კვიპაროსები, ევკალიპტისა და ბამბუკის ხეები.

გარდა ამისა აქ არის აგრეთვე 4 ბუნებრივი ხეობი, რომელთა სიღრმე ზოგან 20 საჟენამდი აღწევს ეს ხეობები ყოველი მხრიდან დაცულია ქარისაგან და ყურადღებას იპყრობენ მცენარეულობის სიმდიდრით და წყაროების სიმრავლით.



ამ ხეობებში განზრახულია 500-დი მაიმუნის მოშენება (250 მაიმუნზე უკვე მიეცა განცხადებები სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს).

მაიმუნები გამოყენებული იქნება არა მარტო გაახალგაზრდავების ცდებისათვის, არამედ სამეცნიერო მიზნებითაც. ამიტომ ფერმასთან განზრახულია სპეციალური ლაბორატორიის მოწყობა.

განზრახულია პირველათ მოეწყოს აქ მაიმუნების განაყოფიერება სხვადასხვა ჯიშის მამალი მაიმუნების და მამაკაცის თესლით.

მაიმუნების ფერმა საბოლოოთ მოწყობილი იქნება რამდენიმე თვის განმავლობაში.

უძველესი ცნობები ამერიკის შესახებ

ამერიკანისტების უკანასკნელ კონგრესზე გეტებორგში კოპენგაგენის უნივერ. ბიბლიოთეკარმა სოფუს ლარსენმა წარადგინა დოკუმენტი, რომელიც 1575 წ. ეკუთვნის. ამ დოკუმენტში ლაპარაკია ექსპედიციის შესახებ, რომელიც პორტუგალელების ინიციატივით გაგზავნა დანიის მეფემ — ქრისტიან 1-ლმა. ამ ექსპედიციის ხომალდმა გრენლანდიიდან სამხრეთ-დასავლეთით სვლის დროს აღმოაჩინა ახლანდელი ნიუ-ფაუნდლენდი. ამ დოკუმენტისა და სხვა ცნობების მიხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, ნიუ-ფაუნდლენის სათევზაო ცნობილი იყო ბევრი ხნით ადრე კოლუმბამდე. თუმცა ამჟამად მოიპოვება ცნობები, რომ ბევრი ხნით ადრე ნორმანებამდე (286 და 999წ.) ჩრდილო ამერიკა 795 წელს აღმოჩენილ იქნა ირლანდიელების მიერ.

როგორც რ. მანნიგი აღნიშნავს, ამერიკა დიდი ხნით ადრე კოლუმბამდე აღმოსავლეთიდან უსათუოდ უნდა აღმოეჩინათ ჩინელებსა და იაპონელებს.

ახალი პარაშუტი

ამერიკელმა გარრი დუხეტმა გამოიგონა პარაშუტი, რომელიც ჰაეროპლანის დაზიანების



დროს ჰაერში აკავებს (არ აძლევს სწრაფად ჩამოვარდნის საშუალებას) არა მარტო მგზავრებს, არამედ ჰაეროპლანსაც.

პატარა ფელეტონი

მეტის მეტი სიყვარულით

სიკომ ფული შეჭამა და...
და გამსახლში ჩასვეს იგი,
საქმეც მაშინ დაინიშნა
რომ მოვიდა მისი რიგი.
პროცესზე კი სიკომ მაღლა
თავი კრძალად დაიჭირა
და მსაჯულებს დიდი „რეჩით“
ლამის საქმე გაუჭირა.
სთქვა: „მსაჯულო! ნება მომეც
განვაცხადო გულ-ახდილად,
რომ ფულებთან მე ყოველთვის
მეტის მეტად ვიყავ ფრთხილად.
და თუ რამე დავაშავე
არ მიმიძღვის ვფიცავ ბრალი,
მჭირს ეს მეტი სიყვარულით,
ნუ იქნებით ჩემზე მწყრალი.
თქვენ გგონიათ მე შევსჭამე,
გაფლანგული მართლა ფული?
რად გგონივართ ასე ფლიდი,
პლუტი, სინდის დაკარგული!
მე კი არა, ფულმა თვითონ,
მოსამართლევ, თვითონ ფულმა,
მისი თავი შემაჭამა
ჩემი ცოდვით დალუპულმა.
და რომ ნათლად დავამტკიცო
მე სიმართლე თქვენთან ჩემი,
ვიტყვი არაკს. მოჰყვებოდა
ბავშობისას მამა ჩემი.

⁂

თურმე იყო, მოსამართლევ,
ტყეში ერთი დათვი—დედა,
მასთან მისვლა გულად ვაჟკაცს
ახლოსაც ვერ გაებედა...
დათვს, მსაჯულო, შვილი ნორჩი
პაწაწკინა ბელი ჰყავდა,
მშვენიერი, ბუტკუნჩელა,
გულადობით დედას გავდა,
და უყვარდა გაგიჟებით
მეტის მეტად დედას ბელი,—
მისი ცქერით ვერ ძღებოდა
ბედის იყო მადლობელი.
ლოშნიდა და ეხვეოდა
გული მაინც ვერ ძღებოდა
თავის ბელს თუ ვერ ხედავდა,
ისე ერთ წუთს ვერ დგებოდა..
ერთხელ დათვი გაიტაცა
მეტის მეტმა სიყვარულმა
და... შეჭამა თვისი ბელი...
სიყვარულით... ამ ბედკრულმა.
შეჭამა და თავში თათი
სიმწარისგან წაიშინა,
დათვის გულში შემდეგ სევდამ
მკვიდრი ბინა გაიჩინა.
ჰა, მსაჯულო სიყვარულით
დედამ შვილიც კი შეჭამა,
მე კი რა ვქნა... თუ კი ფული
შემიყვარდა და მეამა?!
ვალერსობდი იმ დათვსავით,
რა ვიცოდი თუ შევჭამდი.
შევჭამე და... ჩემს თვალშიაც
ავაზაკად ბოლოს ვჩანდი.
შემდეგ მეც კი წავიშინე
ამ ბრიყვ თავში ხოლმე ხელი
და მწარე დღე, მწარე წუთი,
ბევრზე ბევრი გიახელი.
მაგრამ უკვე გვიან იყო,
საყვარელი აღარ მყავდა,
უგრძნობელად შევჭამე და
კაეშანი მწვავდა—მკლავდა.
მსაჯულებო, თვით გასჯეთ:
თქვენ იმ დედას ნუ თუ დასჯით,
სიყვარულით რომ შესჭამა
გამოზრდილი შვილი ტანჯვით?!
სთქვა სიტყვა და დაჯდა ისევ,
მოწყენილი სკამზე სიკო,
თვალზე ცრემლი წამოადგა:
სინანულში დიდში იყო.
სასამართლომ ითათბირა
და შემდეგი დაადგინა:
ტანჯულ სიკოს მიეჩინოს
მოსასვენად „ცალკე“ ბინა,
ამ განაჩენს საფუძვლად
აქვს ამგვარი მოსაზრება:
სიკომ რომ არ მოისვენოს
ტანჯვით სულ მთლად ჩამოღრება,
დედა რომ სხვის დაინახავს
ჯანსაღს, ლამაზ ხოლმე შვილსა,
თავის მკვდარი აგონდება
ვერ იმაგრებს გულს ის ჩვილსა.
და ამიტომ ურჩევნია,
გულჩვილსა და კეთილ სიკოს
ფული აღარ დაინახოს,
მოსვენებით ცალკე იყოს.

ხოზიკა.

არქეოლოგთა კონფერენციის შედეგები

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა საქართველოს არქეოლოგიურ საზოგადოების წევრი ამხ. **გ. ნიორაძე**, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივლინებული იყო ქალ. კერჩში სრულიად საკავშირო არქეოლოგთა კონფერენციაზე. აღნიშნული კონფერენცია პირველად იყო მოწვეული ა. წ. 5 სექტემბერს ქალ. კერჩში 1911 წლის შემდეგ. ქალ. კერჩში იგი მოწვეული იყო ადგილობრივ მუზეუმის დაარსებიდან 100 წლის შესრულების გამო. კონფერენციას დაესწრენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ცნობილი აკადემიკოსები და არქეოლოგები.

კონფერენციის უმთავრესი ყურადღების საგანს შეადგენდა ამას წინეთ წარმოებულ ყირიმის არქეოლოგიურ გათხრათა გამოკვლევა. კონფერენციის თვალწინ ნათლად გაიშალა ის ფაქტი, რომ ყირიმის გათხრები მოწმობენ ანტიურ და ირანულ კულტურის გავლენებს უძველ ყირიმის საზოგადოებრიობაზე. გამოირკვა, რომ ორივე კულტურის შეხვედრას ადგილი ჰქონია ყირიმში და მათი შეჯახებით წარმოშობილია ახალი კულტურის თავისებური შტოები. ეს საკითხი ამ რვა წლის წინათ ბუნდოვანათ იყო დაყენებული სამეცნიერო საზოგადოებებში. ეხლა კი ცნობილ მეცნიერის **როსტოვცევის** გამოკვლევით ეს საკითხი საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

არქეოლოგთა კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე არქეოლოგ **ნიორაძის** მოხსენებები საქართველოს არქეოლოგიის წარსულიდან ყირიმის გათხრებთან დაკავშირებით. ამ მოხსენებებში, სხვათა შორის, წამოყენებული იყო ახალი გამოკვლევა **მკვდრის მეორეთ დამარხვის წესის** შესახებ. უკანასკნელმა საკითხმა კონფერენციის დიდი ინტერესი დაიმსახურა. მეორეთ დამარხვის ტიპის „საფლავები (პატარა ქვის კოლოფები) პირველად კავკასიაში აღმოჩენილი იქნა მცხეთაში მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას.

გარდა წმინდა მეცნიერულ გამოკვლევებისა, კონფერენციამ გამოიტანა დადგენილებები არქეოლოგიურ გათხრების წარმოების წესებისა და ფორმათა შესახებ. მისი დადგენილებით, აკრძალულია არქეოლოგიურ გათხრების წარმოება ისეთ პირებისაგან, რომელთაც საამისოდ შესაფერი სკოლა და მომზადება არა აქვთ გავლილი. კერძოთ, რაც შეეხება ქვის ხანის ადრინდელ ნაშთთა არქეოლოგიურ გათხრების წარმოებას, ამ საქმეში არქეოლოგებთან ერთად მუშაობას უნდა აწარმოებდენ პალეონტოლოგები და გეოლოგები.

კონფერენცია დასრულდა 10 სექტემბერს.

კონფერენციის შემდეგ მოეწყო არქეოლოგთა ექსკურსიები ყირიმის მიდამოებში, ტამანში და სხვ. კონფერენციაზე მოხდა სპეციალურად შენახულ კატაკომბების გახსნა.

არქეოლოგთა მომავალი კონფერენცია შესდგება 1928 წელს ქალ. მოსკოვში.

თბილისის გეგმა

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქ. თბილისის გეგმის გადაღებას, რომ მასში შეტანილ იქნას ყველა ის ადგილები, რომლებიც დღემდე არ არის აღნიშნული. გეგმის ხელახალი განხილვა კეთილმოწყობის განყოფილებას დაავალა დემოგრაფიულ აღწერის ჩამტარებელმა კომისიამ.

კეთილმოწყობის განყოფილებამ უკვე ჩაატარა გეგმის ხელახლად განსახილველად წინასწარი მუშაობა; ამჟამად გეგმის შესასწორებლად მუშაობენ სპეციალისტები. გეგმაში შეტანილი იქნება დღემდე აღუნიშნავი სახლები, ახლად გაყვანილი ქუჩები, ბაღები, და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განაპირა უბნებს. აღწერა დაიწყება ამა წლის დეკემბრიდან.

ახალი გზატკეცილი

რაჭის მაზრაში გაყავთ ახალი გზა-ტკეცილი დაბა პრიბალოდან ტყიბულამდე. აღნიშნული გზა-ტკეცილი შეაერთებს მევენახეობის რაიონს დიდ სამომხმარებლო პუნქტთან და საქონლის გატანა უფრო იაფი დაჯდება, ვინაიდან ამჟამად დ. პრიბალოდან (რაჭის საზღვრიდან) რკინისგზის სადგურამდე არის 68 ვერსი და აღნიშნული გზა კი ამ მანძილს შეამცირებს სამი მეოთხედით.

მუშაობას შეუდგებიან გაზაფხულიდან.

ნეოლიტი ამიერ-კავკასიაში

ნეოლიტის ხანის არსებობაზე ამიერ-კავკასიაში ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, მაგრამ ამ ხანის ნაშთები ა.-კავკასიაში არ აღმოჩენილა. ა. წ. აგვისტოს დამლევს არქეოლოგმა გ. ნიორაძემ ხანდების კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დევების ხვრელს“ უწოდებს, აწარმოვა არქეოლოგიური ამოთხრა. ხანდების კლდე მდებარეობს მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე და თითქმის მიუვალ ადგილს წარმოადგენს. გამოქვაბულში მოთხრილ იქნა ნიადაგის 14-ტი ფენა. თვითეული ფენა სხვადასხვა ხანას ეკუთვნოდა. მეთოთხმეტე ფენაში, რომელიც კლდის უსწორ-მასწორობიდან იწყება, აღმოჩენილ იქნა ნეოლიტური ნაშთები და ამავე ხანის სხვადასხვა კაჟის ქვის იარაღები და ნუკლიუსები (კაჟის ქვები, რომლებსაც ნათლად ეტყობა ადამიანის ხელით ჩამომტვრეული გვერდები). აქვე აღმოჩენილ იქნა დამტვრეული ძვლები, რომლითაც პირველ ყოფილ ადამიანს უყვარდა ტვინის გამოღება, მრგვალი ქვები ამ ძვლების დასამტვრევად, რომელსაც ნათლად ეტყობოდა იმის ნიშნები, რომ ეს ქვები ისეთ დანიშნულებას ასრულებენ და სხვ. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე გამოქვაბულის დათვთა და სხვა დღეს არ არსებულ ცხოველთა კბილები, გაქვავებული ძვლები, ოდესმე დანთებულ ცეცხლის ნაშთები (ნაცარი და ნახშირი) და ნამწვავი გაქვავებული ტოტი. რადგან გამოქვაბულში ნამდვილ კაჟის ქვის იარაღების გარდა, ბლომად აღმოჩნდა ჟღარებული კაჟის ქვის ნამტვრევებიც, არქეოლოგის აზრით, ამ გამოქვაბულში პირველყოფილ ადამიანთა სახელოსნო უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

აღნიშნულ გათხრათა შესახებ მასალები დამუშავებულია და ცალკე შრომათ იქნება გამოცემული. წინასწარი მოხსენება ამ გათხრის შესახებ წაკითხული იქნება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში.

თბილისის ტრამვაი

და მოძრაობის საკითხი

თბილისის ტრამვაის მუშაობის შესახებ ტრამვაის სამმართველოში განაცხადეს შემდეგი:

— ტრამვაის მუშაობა უკვე ჩადგა წესიერ კალაპოტში. იმ ხნიდან, რაც ქალაქის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქალაქში მოძრაობის წესრიგის შესახებ და მიიღო ზომები ამ წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, უბედურ შემთხვევებს, თითქმის, სრულებით არა ჰქონია ადგილი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ტრამვაის რონოდები მუშაობენ მაქსიმალური დატვირთვით. მაგ. ვერის დაღმართის მიმართულებით ამჟამად მუშაობს 30 რონოდა, წყნეთისკენ—12 და ასე სხვა ხაზებზე. მიუხედავათ რონოდების ასეთი შედარებითი სიუხვისა, ხშირია შემთხვევა, რომ მოძრაობა მაინც ფერხდება და რონოდები დანიშნულ პუნქტზე მოსვლას იგვიანებენ. ეს კი იწვევს მოქალაქეებში უკმაყოფილებას და ბევრს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ცოტა რონოდებია, მოძრაობა მოუწესრიგებელია და სხ.

არსებითად კი ამის მიზეზი არიან ზოგიერთი ჯიუტი მოქალაქენი, რომელნიც მოინდომებენ დაწესებულ რიცხვს გარეშე რონოდაზე ასვლას, სტეხენ აყალმაყალს, შეურაცყოფას აყენებენ ტრამვაის მუშაკებს და ხშირად ემუქრებიან კიდეც კონდუქტორებს. ასეთ შემთხვევებს ძალიან ხშირად აქვს ადგილი და ეს აბრკოლებს საერთო მოძრაობას.

მეორე მხრით დღემდე ტრამვაის რონოდების გასაჩერებელი პუნქტები შერჩეული იყო ისეთ ადგილებზე, სადაც ფართო მოძრაობა იყო; ზოგჯერ ხანძართ მქრობი რაზმიც ბრკოლდებოდა ასეთ ადგილებზე გავლით, ვინაიდან ამ პუნქტზე თავს იყრიდენ დიდძალი ავტომობილები, ეტლები, ოთხთვლები, რონოდები და სხ.,

პუნქტების განტვირთვის მიზნით ზოგიერთ გასაჩერებელს გამოუცვალეთ ადგილი. გასაჩერებელ ადგილების გამოსაცვლელათ და შესასწავლათ ქალაქის აღმასკომს გამოყოფილი ჰყავდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ეს საკითხი შეისწავლა დაწვრილებით და რომლის დადგენილებითაც მოხდა რონოდების გასაჩერებელ ადგილების შეცვლა.

„ინდო“

სატელეგრაფო ხაზის დაზიანება

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე შემჩნეულია ზოგიერთი სატელეგრაფო ანძის ხეების დაზიანება უთვალყურეობის გამო.

ლონდონი პასუხს აგვიანებს

, ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით, ინგლისიდან მოსკოვში არავითარი პასუხი არ არის მიღებული. ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცეკასა და „ინდოს“ ადმინისტრაციას შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. მიუხედავათ დაპირებისა კომპანია მაინც აჭიანურებს მოლაპარაკებას.

როგორ მიმდინარეობს გაფიცვა

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით, გაფიცვა მთელ ხაზზე წარმატებით მიმდინარეობს. მდგომარეობა უცვლელია. გაფიცულთა ერთსულოვნება მტკიცეა.

ელსადგური ქუთაისში

ს. მ. ყ. ს. საეკონომიო განყოფილება შეუდგა ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგურის პროექტის დეტალურ დამუშავებას და ენერგიის განაწესრიგების გეგმის გამომუშავებას.

აღნიშნული სადგური გაშენებულ იქნება მდ. წყალ-წითელასა და რიონს შორის და იქნება 42 ათას ცხენის ძალის. სადგურის აგება დაჯდება 12 მილიონი და ამუშავდება 3 წელიწადში.

ენერგია გამოყენებულ იქნება ჭიათურის წარმოებისათვის, კავკასიონის საულელტეხილო რკინის გზისათვის, ბარიტის ქარხნისათვის და სხ.

საბინაო ამხანაგობები

ამჟამად სწარმოებს მუშაობა თბილისის აღმასკომის და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების შორის ხელშეკრულებების ხელ-ახლად დასადებათ.

ახალი ხელშეკრულებები იდება 5 წლის ვადით. ხელშეკრულებებში დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ როგორ უნდა მოუარონ საბინაო-საიჯარო ამხანაგობებმა მათთვის ჩაბარებულ სახლებს,—აწარმოონ სახლების დროგამოშვებითი შეკეთება, იზრუნონ მათ კეთილ-მოსაწყობათ, სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლად და სხვა.

სულ დაიდება ხელ-ახლად 200-ზე მეტი ხელშეკრულება.

ტეხნიკუმები

ახალ სამოსწავლო წელში საქართველოში სწავლა იწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგ ტეხნიკუმებში: მექანიკური ტეხნიკუმები თბილისს, ფოთსა და ხონში, ელექტრო-ტეხნიკური და საამშენებლო თბილისში; ორი ქიმიური თბილისში (ერთში სწავლა იწარმოებს ქართულ და მეორეში რუსულ ენაზე); მიწათმოწყობის თბილისში; სასოფლო სამეურნეო თბილისსა, ქუთაისსა, სენაკსა, ზუგდიდსა, გორა-ბერეჟოულსა, ონსა, ბაკურციხესა და გორში; ჰიდრო-ტეხნიკური თბილისში; სამრეწველო ეკონომიური თბილისში—3 (რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე), ქუთაისსა და ოზურგეთში პედაგოგიური ტეხნიკუმები თბილისში—(სომხურ და თურქულ ენაზე), გორსა, თელავსა, ქუთაისსა, სენაკსა, ხონსა, და ოზურგეთში.

სახალხო განათლების კომისარიატის პროფგანათლების განყოფილებამ შეიმუშავა ახალი სამოსწავლო გეგმა ტეხნიკუმებისათვის.

სამოსწავლო საათების მაქსიმალური რიცხვი ტეხნიკუმებისათვის ამჟამად დაწესებულია 42 საათი კვირაში (წინედ იყო 48 საათი). ტეხნიკუმის უკანასკნელ კურსებზე ახალი გეგმა აღრმავებს სპეციალურ საგნების შესწავლას.

ყოველი ტეხნიკუმის კურსი სამწლიურია.

გლეხთა სახლი

გლეხთა სახლმა დაასრულა შვებულ წითელარმიელთა ერთი ნაწილის გაცილება უვადო შვებულებაში. სულ გლეხთა სახლში გატარდა 560 შვებული.

გასაცილებლათ იმართებოდა საღამოები სოფლებიდან ჩამოსულ გლეხთა დასწრებით. საღამოებზე იკითხებოდა მოხსენებები, უჩვენებდნენ რევოლიუციონურ და მეცნიერულ კინო სურათებს და სხვ.

უვადო შვებულებაში წასულთა შორის მრავალი ჩაეწერა „ახალი სოფლის“ გლეხკორებათ წასულებს დაურიგდათ 750 მანეთის წიგნაკები სასოფლო-მეურნეობაზე, ჰიგიენაზე, სოფლად ხელისუფლების მუშაობაზე და სხვ.

ქრონიკა

მუშაობის დაწყების ახალი დრო

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, **1 ოქტომბრიდან სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათის ნაცვლად 9 საათიდან.**

ტრამვაის მუშა-ქალები

შრომის სახალხო კომისარიატი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ტრამვაის სამმართველოსთან, ტრამვაის მუშა-ქალების მხოლოდ დღისით მუშაობის შესახებ.

სახლების შეკეთება

საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი აგვისტოში შეუდგა თბილისში არსებულ საინვალიდო სახლების კაპიტალურ შეკეთებას. ამჟამად სრულდება მეორე საინვალიდო სახლის (ავლაბარშია) კაპიტალური შეკეთება, რომელიც დაჯდა 5.000 მანეთი. აღნიშნული შეკეთების დასრულების შემდეგ მოხდება მესამე ინვალიდ-ქალთა სახლის შეკეთება. ამ მიზნით სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დამატებით გაიღო 5.000 მანეთი.

მიწ.-მოქმ. სახ. კომისარიატში

— **ტრაქტორების კურსები.** მიწად-მოქმ. კომისარიატი 1 ოქტომბრიდან თბილისში ხსნის ტრაქტორებზე მომუშავეთა მოსამზადებელ 5 თვიან კურსებს.

— **იარაღ-მანქანები.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა აგროპუნქტების სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგებას ადგილმდებარეობის მოთხოვნილების მიხედვით.

სას.-სამ. ბანკში

— **მევენახეობისათვის** ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა საქართველოს სას.-სამ. ბანკს სესხად მისცა 80.000 მან.

— **სას.-სამ. კოოპერაციის** საშუალებათა გასაძლიერებლად ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა გადასდო 13.000 მან.

სხვადასხვა

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს 20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება მოხსენება 26 კომუნარების შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართება მხატვრული თხრობა „პარიზის კომუნის შესახებ“.

— **ანგარიშის მუშაკთა გაერთიანების ბიუროში.** 20 სექტემბერს, დღის 11 საათზე, საქ. საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა პროფკავშირთან არსებული ანგარიშის მუშაკთა გაერთიანების ბიურო აწყობს პროფკავშირთა საბჭოს ახალ დარბაზში (მუშათა სასახლე) ლექციას შემდეგ თემაზე: „კოოპერატივებში საქონლის ოპერაციის ნუსხვა, მისი სახენი და თავისებურებანი“, რომელზედაც იწვევს საანგარიშო დარგში ყველა მომუშავე პირთ. ლექციას წაიკითხავს ქართულ ენაზე ამხ. მ. ბაქრაძე.

— **სამხრეთ-ოსეთში** არსდება პატიმრებისათვის სამუშაოების მომწყობი ბიურო.

— **სვანეთის გზის** გასაყვანი მუშაობა ზეჩოდან ხუბარამდის, გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე.

შემთხვევები

— **თვითმკვლელობა.** 17 სექტ. (ორჯონიკიძის ქ. № 104) რომანიულ ნიადაგზე თავი მოიკლა პეტრე პოლიკარპოვმა.

— **ცეცხლი.** 16 სექტემბერს სართიჭალის რაიონში, სოფ. მუღანლოში ირზა კიზის დაუწვეს 600 ფუთი თივა.

— **ხის ქვეშ.** 14 სექტემბერს დღით შემოქმედის თემის (გურია) სოფ. გომში წიფლის ხის მოჭრის დროს მოჭრილ ხის ქვეშ მოჰყვა მილოსა ჯახუა, რომელიც იმ წამსვე გარდაიცვალა.

— **ვერმანელების** სავადმყოფოდან 17 სექტ. მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

— **შეპყრობა.** 17 სექტ. შეიპყრეს ქურდი არამ ბახშიშოვი, რომელმაც გაქურდა ნათილამის ბინა.

— **ჯიბგირობა.** 17 სექტ. ვასილ რამაზაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 50 მანეთი. ჯიბგირი შეიპყრეს.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 53 გაქურდეს კონსტანტინე ვაისარიანის ბინა.

თავის მოწამვლა

გუშინ. სალომის ბერთოლის მარილით თავი მოიწამლა სოსინოს ჩარბაიამ (ვერცხლის ქ., № 26).

თვითმკვლელმა დასტოვა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას მობეზრდა ცხოვრება.

ბავშვის დაკარგვა

ორი წლის წინად ზესტაფონიდან დაიკარგა ინვალიდ პავლე კოჭიშვილის შვილი, იაკობ კოჭიშვილი, ათი წლის, პირთხელი, ფერმკრთალი, [illegible]. მშობელს სთხოვენ აცნობონ ზესტაფონის მილიციის პავლე კოჭიშვილის სახელზე.

ხელოვნება

სახ. კონსერვატორიაში

სახელმწიფო კონსერვატორიაში მეცადინეობა იწყება 1-ლი ოქტომბრიდან. მისაღებ განცხადებების შეტანა იწყება ხვალიდან და გაგრძელდება თვის ბოლომდე.

კონსერვატორიაში შემსვლელისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა, დაწყებითი კურსის ფარგლებში.

მისაღებ გამოცდისთვის დაწესებულია შემდეგი გადასახადი: ვოკალურ ფაკულტეტზე—10 მანეთი, ხოლო დანარჩენებზე—ხუთ-ხუთი მანეთი.

განცხადებების შემტანებმა უნდა წარადგინონ მოწმობები, განათლების, დაბადების, სოციალური მდგომარეობის და სხ. შესახებ.

— **„ტრისტანი და იზოლდა“.** იბეჭდება და 15 ოქტომბრამდე გამოვა ცნობილი რაინდული რომანი „წიგნი ტრისტანისა და იზოლდისა“, რომელიც ფრანგულიდან გადმოთარგმნა გერონტი ქიქოძემ.

— **ხელოვნების მუშაკთა სახლში** დღეს გაიმართება ესენინის მოსაგონარი საღამო.

— **პროლეტარულ მწერლების** რუსული სექციის პირველი საორგანიზაციო კრება შესდგება დღეს ხელოვნების სასახლეში.

— **ერევანში** სახელმწიფო კონსერვატორიაში მეცადინეობა დაიწყება 27 სექტემბერს.

— **ოპერის თეატრში** დღეს გაიმართება მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალურ სტუდიის მცირე გასტროლი.

ბორჯომის ხეობაში

გზა

გზა!

დაუღალავი გზა!

მარად ჟამს საცდუნებელია იგი: დღე თუ ღამე ზაფხულში თუ ზამთარში.

ყველგან საცდუნებელია იგი: მთაში თუ ბარში. ზღვაზე თუ ხმელეთზე.

შენობაში გამომწყვდეული კინო გულ-ხალვათად დამითმია კუტებისათვის.

მე კი მარადიულ და ფარდაჩამოუშვებელ კინოთ წარმომიდგება უნაპირო დედა-მიწა, მოუხელებელი სამყარო...

სადაც კი მისწვდება თვალი და ფიქრი, გრძნობა და ალღო—ყოველივე დაუხარჯავ სიმდიდრეს წარმოადგენს მიწაზე დაბორკილ ადამიანისათვის.

მაგრამ ამ დიად ზმანებათა ზღაპრული ფასკუნჯები არასდროს არ შემოფრინდებიან ჰაერით გამოხშირვალ ოთახში. ისინი დაქროლავენ სხვადასხვა გზებზე. იქიდან ეცნაურებიან გუნდ-გუნდათ მოუსვენრობით შეპყრობილ ადამიანს.

გზა—ეს არის ნიშანი სიცოცხლის, მოძრაობის, წინსვლის.

გზა უდიერათ შეიჭრება ბუნების გულში და მრავალმეტყველად ამხელს ახალ სახეებს, ახალ განცდას, ახალ სიტყვასაც.

მიყვარს გზა—გინდ ნატკეპნი, გინდაც უვალი. (სადაც კაცი გაივლის—ყველგან გზა არის).

მე მირჩევნია პირველი და უცნობი გზა. მაგრამ მიყვარს ნაჩვევი გზაც: ასჯერ რომ გავიარო მასზე, ეს იქნება ასი ახალი ხილვა, ასი ახალი ამოსუნთქვა ბუნების მკერდზე.

გზა დედა არის მოულოდინის. თან მშობელია მოულოდნელობის. გზა ფიქრია და სევდა. თან სიმღერაა და სიმხიარულე. გზა შეხვედრაა და განშორება. დაკარგვაა და პოვნა. სილამაზე და უცნაურობა. გზა სიცოცხლეა, სიცოცხლე!

დიდებული კინო

ბევრი რამ კარგი მრჩება უკან:

მოსავლიანი ქართლის მკერდი თანდათან ეფარება თვალს.

ყველგან აკრეფილ ჭირნახულს ოქროს ფიწალად დარჩენიათ, ყვითელი ნაწვერალი. სიმინდის მწვანე ხალიჩებსაც შერევიათ ქარვის ვარაყი. მათ შორის კი შავ ხავერდათ ჩაფენილან შემოდგომის ფიქრში წასული ხნულები.

მარჯვნივ დამრჩა ლანდი გორის დანგრეულ ციხისა, ჩაჩქან დაგლეჯილ წაქცეულ ვაჟკაცს რომ მოგაგონებს.

მარცხნივ თვალი ეძებს, მაგრამ ველარ პოულობს გორის-ჯვარს, არწივის საბუდარივით რომ გადმოსჩერებოდა გულდაგულ ქართლს.

ამათთან ერთად ვფიქრობ მიწისძვრაზე. ბავშურის გაოცებით და სიკვდილის შეუპოვრობით ავყვები განგების ძალთა შეუბორკაობას. სიბრალულს იწვევს ადამიანის უმწეობაც... და ლიახვისაგან მკერდ შედრეკილ მტკვარს მოკითხვას ვაბარებ შორს—ზაჰესისაკენ.

ყოველი მოგზაურობა აზრთა და გრძნობათა დაუშრეტელ ლაშქრიონს წარმოადგენს ჩემთვის.

და აღარ ვიცი—ეს წერილები მოგზაურის უბრალო შთაბეჭდილებანი იქნება თუ უფრო მეტი: პოეზიის ცათასწორ სიმაღლეებიდან ჩამონგრეული კლდეები, ან იქიდან აქოჩრილ მდინარეებით ჩამომდინარი სპეტაკი თოვლი.

სილამაზის ასახვა და გადაცემა რაღაცა უცნობ ფონათ წარმომიდგება: დარწმუნებული ვარ, რომ გადაცურავ მეორე ნაპირს. მაგრამ სადამდის მომწვდება მდინარე: მუხლამდის? წელამდის? ეგება მეტიც!

მინდვრებისა და მთების შორის ცქერაში დაკაშილი თვალი ქორულად ეძებს მოზაიკასავით ფერადით შეფენილ თრიალეთის კალთებს. მარჯვნივ კი ჭრელი სუფრასავით გადაშლილან დედოფლის, დიღაულასა და დოღლაურის ველები.

ვენახებიც რომ ამშვენებდენ ამ არე-მარეს, საქართველოს ყველაზე უხვი და ნოყიერი სუფრა აქ გაიშლებოდა.

ამ კუთხის ქება-დიდება საგანგებოთ აქვს აწერილი ჟან შარდენსაც.

შაჰ-აბასის შვილისთვის თვალ-მარგალიტების მზიდავს და აღმოსავლეთის ქვეყნებზე რაინდულად შეყვარებულ ამ ფრანგ მოგზაურს საქართველოზეც გადმოუვლია 1671 წ.

საქართველოს ვერც ერთ ისტორიაში ვერ ნახავს კაცი ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის ისეთ ცოცხალ, სურათოვან და ნამდვილ აღწერას, როგორც იქ.

ქართლის ამ კუთხეზე გადმოვლისას კი იგი საგანგებოთ აღნიშნავს: მთელ საქართველოში ეს არის ყველაზე კარგად დამუშავებული მხარე, უხვი—მოსავლიანი და კეთილნაყოფიერიო.

ამ ველების ცქერაში ერთდებიან საუკუნოების იქიდან მაცქერალ ჟან შარდენის თვალები და ჩემი თვალები.

ვეძებ მის წაშლილ კვალს. ცხადია—ვერ ვიპოვი. მაგრამ მაინც ვსცდილობ გამოვიცნო: სად გაივლიდა იგი ჩვენებური ზანტი ურმით, მანქანული ცხენებით, მაგრამ ყოვლად დაუღალავი ფრანგული გუნებითა და ხალისით?

მაგრამ... ვინ ენდოს დედა-მიწის გაცვეთილ ზურგს! ფეხის კვალი იშლება ერთი ნაბიჯის უკან. მეორე ნაბიჯზე ის ეკარგება მყნოსავ ნადირსაც. ღრმა კვალად რჩება მხოლოდ სიტყვა, საქმე, თანაც სახელი.

ჟან შარდენ!

ვხედავ ამ კვალს—საქართველოს ზურგზე გადავლილს.

ალბათ ისიც ანთებულ გზნებით შეჰყურებდა ამ მინდორ-ველს და სწერდა ძარღვიან სტრიქონებს, რომ საუკუნოებს აქეთ გვესმინა მისი ქება.

მე არ მინდა უცხოთ მოვიჩინო უცხოელის აზრი ჩვენ ქვეყანაზე და ვინაწილებ იმის სიყვარულს, მის აღტაცებას.

აგერ კლდეზე დაცემული ფრთამოტეხილი არწივი ამაოდ სცდილობს ცაში აფრენას!

ეს სურამის ციხე არის!

მის დანახვაზე—საუკუნეთა სამარიდან უკუნიბი ყრმასავით წამოსდგება წამებრივი ლეგენდა—ქვეყნისა და ხალხისთვის უებრო თავდადებისა.

უნებლიე ოპერატორი—ბორჯომის მატარებელი განაგრძობს გზას. დიდებული კინო-სურათიც ჩვენის ქვეყნისა ახალ-ახალი სახეებით იშლება თვალწინ.

ბუნების კალთიდან ლამაზ-ლამაზ სათამაშოებივით ბაღებში და ვენახებში გადმობნეულან ერთი-ერთმანეთზე მიმდევნო სოფლები: ზემო ბეკანი, ქვემო ბეკანი, დიდი ტეზერი, პატარა ტეზერი და სხვა იმათი ამყოლი.

სურათოვანია გაღმა თრიალეთის მთებზე შეფენილი პატარა სოფლებიც. ზოგან თითო-ოროოლა სახლი შეჭრილა სადღაც მაღლა.

რა საცდუნებელ სამყოფლად ესახება ის მარტოობის სიმდიდრესთან გაცნობილ ადამიანს.

მთების სასმენი ვაით და ვიშით მატარებელი შეიჭრა ახალ-დაბის სადგურში.

მომწონს, როცა სადგურს რაიმე დამახასიათებელი ელფერი აქვს: მცხეთას ასდის ხორცპურას (პიროჟკების) ოხშივარი. კასპი ლამაზია ფერადი ხილეულობით. გორი იმნიდება ატმის სურნელებით.

ახალდაბასაც აქვს თავის საკუთარი ხალი:

ოფუზში ჩაყრილ თევზებს რომ დააფრთხობ უეცრივ. ისე დასრიალებენ სადგურის არდივერდმო პატარა გოგო-ბიჭები. ხელის ოდენა ფირფიტები გაუვსიათ მაყვალით, ნიგვზით და მისთავაზებენ პატარა და მარტივ ფიქრებით თვალებ გაცეცებულ მგზავრებს.

აქაურ ნობათს შეადგენს აგრეთვე პანტა, შინდი, გოგრა, სიმინდი...

მიყვარს ეს სადგური ამ ველური ხილეულობისათვის. ყველაფერ ამაში მოსჩანს დაბურულ ტყეების და მაღალ მთათა ლინდები. ყველაფერ ამას ასდის წაურყვნელ ბუნების, ბავშობის და პირველყოფილ სიმშვენიერის სუნი.

ხიდისთაური ატმის შემდეგ—ახალდაბური პანტა და მაყვალი!

ამაშიც არის რაღაც დაუშრეტელი ცდუნება და გემოვნება.

ჩვენში ალბათ ილვიძებს მადა იმ დაშორებულ წინაპრებისა, რომელთაც არ იცოდენ, რა არის ლობე და ლობის იქით დამყნილი ხილი.

ერთი პატარა დაკვირვებაც:

ყველა ამ ველური ხილეულობის ნამდვილი გემოვნება შეიცნობა, როცა კაცი საკუთარი ხელით ჰკრეფავს ჩირგვებზე და ხეებზე. სხვისი ხელით მონაკრეფ ამ ხილეულს უკვე ეძარცვება ქალწულებრივი გემოვნება და სურნელება.

მაყვლისა და ჟოლოს კრეფაზე ვინც ხელს არ გაიკაწრავს, ის ვერც გაიგებს მათ ნამდვილ გემოს. ასეთი წმინდა შემთხვევა, როცა ერთმანეთს ვადარებ საკუთარი ხელით და სხვის ხელით მონაკრეფ ამ ხილეულს.

მეორე ზარი მოულოდნელად სწყვეტავს მოფუსფუსე ბავშვების და აქ საგანგებოთ გაძუნძულულ მგზავრების ვაჭრობას.

დავიძრით.

ისევ აიხსნა ეკრანი დიდებული კინოსი.

ტაშის კარი

დიდამიწა დიდია. ქვეყნებიც მრავალია.

დაუზოგავ ბუნებას კიდევ ბევრგან დაუბერტყია სილამაზის უხვი კალთა.

რამდენჯერ დაუტყვევებივარ მომაჯადოებლად შეხამხმულ ბუნებას! რამდენი ქვეყნის სილამაზეს შეუბოჭია ჩემი გული მოხდენილად ნატყორცნი ქამანდილით.

მე მარტო ჩემი ქვეყანა არ წარმომიდგენია ლამაზათ. ერთგან, ნორვეგიაში, თავი დაჩაგრულად ვიგრძენი კიდეც—ისე დიდებულად მეჩვენა იქაური ბუნება: უცნაურ არშიებათ შემოვლებული ფიორდები, სადაც მიძინებულ გველეშაპებს მოაგონებს ღრმათ შეჭრილი ზღვის მკლავები. პირველყოფილური მთები, სადაც ხანგრძლივად ხარობენ ჩვენთვის უცნობი—ჩრდილოეთის ნაზი ყვავილები. ზღვისკენ საჩქაროთ დაბარებულ ბროლის ნაკადებში უფრო უხვად მეხატება ლალისთვლებიან კალმახების ფიცხი ქარავანი. მაღალ მთებით დატყვევებულ ტბებში კი ახლად მორთული პატარძლებივით ყელღლობენ თეთრი შროშნები.

ეს ერთად-ერთი შემთხვევა იყო, როცა ვიგრძენი უპირატესობა უცხო ქვეყნისა.

მაგრამ სილამაზესთან ერთად მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და ამიტომ ის ყველას მირჩევნია.

ალაზნის ველის დიდება, ხევის სიამაყე, სვანეთის ლეგენდარობა, ლიახვის და ფრონის ხეობათა სიუხვე—ეს ბუნების სიმდიდრეთა სხვადასხვა გვარი სალარო არის.

მაგრამ ამ უცხო მშვენებათა შორის ბორჯომის ხეობა საგანგებოთ გამორჩეულა. ის მეხატება უბადლო სილამაზედ, რადგან მიყვარს როგორც მშობლიური კერა.

ბორჯომის ხეობაში დიდი სული ტრიალებს. ეგებ იმიტომ, რომ საქართველოს უდიდესი მდინარეც ამ ხეობაზე ჰპოულობს თავის გზაკვალს.

ღამის ბინდი უხმაუროდ, უზაროთ შემოერია დღის დაქანცულ მორევში. ადამიანშიც ხდება რაღაცა გარდაქმნა. როგორღაც ეშვება დედამიწის ბორკილები და ფიქრები ეძებენ ახალ სამყოფელს, ახალ სანავარდოს.

ამ გადაკარგულ ფიქრებს აქეთ, სულ ახლო, ცის ნაპირზე გადმომდგარა ნახევარ-მთვარე. ლამის სიბნელეც შუაზე გაპობილი ამ მთვარესაგით.

მთები! მთები! ეს ტაშის კარში ჩასაფრებული რუხი მდევები თითქოს დაღლილან, თითქოს ისვენებენ, თითქოს სძინავთ.

მატარებელი კი მტრისგან დამფრთხალი გველივით მიიკლაკნება ამ მდევების კალთებზე. გაუხვევს, გამოუხვევს, იმალება, ისევ ჩნდება. მასთან ერთად ბუნებაც გველანდება სხვადასხვა სახით, სიბნელე დათალხულ მთვარის შუქით პირმობურული.

მტკვარი რომ დაუღალავი გველეშაპივით მოელვარებს ამ ნახევარ სიბნელეში. რაღაცა მოაქვს. რაღაცა მიაქვს. რაღაცას სტოვებს მის მაცქერალის გულში.

ზოგან მოიზლაზნება ზანტად. ზოგან მოდის მედიდურათ აჩქარებული. ეჯახება მის კიდეზე დაბნეულ კლდეებს. ებრძვის, ამარცხებს, მარცხდება, ღრიანცელობს და მიდის ქვევით ახალ ბრძოლათა გადასახდელათ.

ამოდენა მდინარე ზოგან ისე უცნაურათ დავიწროებულა, როგორც წელში დაწურული ჩოქიზული ვაჟკაცი—ლეკურს რომ უვლის.

ვაკვირდები აქნობამდის შეუმჩნეველ სურათებს, რომლებიც ხვალ სხვა იქნებიან, ზეგ—სხვა. მაზეგაც იცვლიან სახეს და ასე ულევლად, როგორც შეშვენის თვით ბუნებას, სიცოცხლეს, მარადისობას.

ამ რომანტიულ ბურუსში მიწის გაკერპებულ სინამდვილეთ შემოსცურა ნაყაჩაღარ ფორიას მწვანე ბორანმა. ბაქანიც ფორიასია. მარცხნივ კოპწიათ აგებული ახალი სახლი—ისიც ფორიასია.

ამდენი უნარი ცხოვრებისა!

ყველას უკვირს. ყველა იგონებს მის წარსულს: სინამდვილეს, ან ლეგენდარულს.

უბორნოთაც, უსახლკაროდაც ალბათ მდიდარია ფორიას ცხოვრება. მხოლოდ ამ სიმდიდრეს ვერ ინაგარიშებს ბუღალტერია.

ვერც ამ სილამაზეს ინაგარიშებს ბუღალტერია, ასე [illegible] რომ ჩამოწოლილა თუ ატეხილა [illegible]ში, ტყეებში, მტკვარში, მთვარეზე და ადა[illegible]ის სულში—ამაოებასთან უკვდავების ერთობაზე მებრძოლ ადამიანის სულში.

მთის ძაბლა, დაჩინილ კალთებზე ელვით დავეძებ იმ ადგილებს—დილისაელიდან რომ წამოვსულვარ მარწყვის საკრეფად. ეს მაშინ იყო როცა დროისა და მანძილის საანგარიშოდ გამახდა ჯერ ხალისი და მერე დაღალვა.

ეხლა კი რამდენი ანგარიში ჩამოერია! ლამის დავიბნე გზა-ჯვარედინზე!

მაგრამ ჩვენი მატარებელი არ იბნევა.

ბორჯომს მოუახლოვდით.

მატარებელმა სიხარულით შეჰკივლა. ნაბიჯსაც უკლო. ბოლოს მძიმეთ ამოიქშინა და შეჩერდა კიდეც.

გამარჯობა საყვარელო ბორჯომო!

მრავალჯერ ნახულო ბორჯომო!

მარად სანატრელო ბორჯომო!

ლევ. მეტრეველი.

თბილისის გლეხთა სახლი

თბილისის გლეხთა ცენტრალური სახლის ხარჯი 23.309 მანეთის რაოდენობით შეტანილია საქართველოს ცაკის ხარჯთ-აღრიცხვაში.

დახმარება ინვალიდებს

ომისა და შრომის ინვალიდთა შესანახი ხარჯები მიმდინარე წელში დაკისრებული იყო ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებზე. საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ეს ხარჯები ნაწილობრივ ეკისრებინა სახკომსაბჭოს. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ომის და შრომის ინვალიდების შესანახი ხარჯების 25 პროცენტი შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში. მომავალ საოპერაციო წლიდან ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებს ამისათვის მიეცემათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათანადო დოტაციები.

გაფლანგვები

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ცნობების მიხედვით, 1925 წლის 1 იანვრიდან 1926 წლის 1 აგვისტომდე პროფესიონალურ ორგანიზაციებში გაფლანგულია 20.151 მან. 47 კაპ. გაფლანგვებს ადგილი არ ჰქონია ფეიქართა, მკერავთა, ქიმიკ. და მხატ. კავშირებში.

დიდი თანხა 2.342 მან. 31 კაპ. გაიფლანგა აღმშენებელთა კავშირის ოზურგეთის განყოფილებაში. გამფლანგველი, განყოფილების მდივანი, მუშაობიდან მოხსნის და დაპატიმრებულია კიდეც.

მნიშვნელოვანი თანხები გაფლანგულია შემდეგ დაწესებულებებში: საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ მართველობაში (1.119 მან. 77 კაპ.) თბილისის ტყავეულობის ქარხნის საქარხნო კომიტეტში (1.109 მან. 89 კაპ.), აღმშენებელთა კავშირის შორაპნის განყოფილებაში (1.300 მან.) და სხვ.

გამფლანგველები გამორიცხეს კავშირებიდან, მოხსნეს სამუშაოებიდან და პასუხისგებაშიც არიან მიცემული.

პენსიები

რევოლიუციისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულ პირებზე პენსიების გაცემას მიმდინარე წელში აწარმოებდა საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ცენტრში. კომისარიატის აღრიცხვით, ხშირი იყო შემთხვევები, როცა აღნიშნული პენსიონერები თავის დროზე ვერ ღებულობენ პენსიებს, არა ცენტრის, არამედ თავის პირადი დაგვიანების მიზეზით. ამის გამო სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა აღძრა საკითხი სახკომსაბჭოს წინაშე. მომავალ საბიუჯეტო წლიდან რევოლიუციისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულ პენსიონერებს პენსიები გაეცემათ ადგილობრივ ხაზინებიდან. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ამის შესახებ უკვე დაამუშავა და დაუგზავნა ადგილებს პენსიების გაცემის წესები სათანადო ახსნა-განმარტებებით.

მოგონებანი ეგნატე ნინოშვილზე

1885 წელს მე დათხოვნილ ვიქენი თბილისის სასულიერო სემინარიის მეექვსე კლასიდგან ცნობილი დეკანოზის ჩუდეცკის მიერ. სხვა სამსახური რომ ვერა ვიშოვნე—რა, 1889 წ. მაისში ერთი პირის დახმარებით მიღებულ ვიქენი ბათომში, როტშილდის ნავთის ქარხანაში—კანტორაში—დღიურ სამუშაოზე. სადაც მე ვმუშაობდი, მის გვერდით, კანტორის მეორე განყოფილებაში, მუშაობდენ ბესარიონ კალანდაძე და მისი ძმა გერონტი, რომლებიც ეგნატეს ახლად დაწერილ ბიოგრაფიაში არიან მოხსენებული მის ბათომელ მეგობრებად. ძმები, კალანდაძეები ბინათ ცხოვრობდენ თვითონ იქვე, ქარხნის ეზოში, მოსამსახურეთათვის საცხოვრებელ სახლის ერთ მოზრდილ ოთახში. მოკლე ხნის განმავლობაში მე და კალანდაძეები ძალიან დაუახლოვდით ერთმანეთს. ორივე ძმები აღმოჩნდენ სათნო და სიმპატიური ადამიანები. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ძალიან შევთვისიერდით.

ერთ დღეს, ასე, სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბრის დამდეგს, როცა მე მივედი მათ ბინაზე, დავინახე მათთან ერთი უცნობი პირი. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ბესარიონმა მიმითითა ამ უცნობ პირზე და მითხრა: „იცნობდე. ეგნატე ინგოროყვა, ჩემი ამხანაგი ოზურგეთის სასწავლებლიდანო“.

ეგნატე დარჩა ბათომში ოთხი—ხუთი თვე. მერე გადავიდა ზესტაფონში. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევა გვქონდა, დაახლოვებით გავსცნობოდით ერთმანეთს. ჩვენ გაცნობას კი მოჰყვა შემდეგათ ჩვენი მეგობრობა.

მე რომ გავიცანი, ეგნატე ახალი ჩამოსული იყო ბათომში და ბესარიონის დახმარებით მიიღო როტშილდის ქარხნის ერთ-ერთ საწყობში, სადაც თელით იღებდა და უშვებდა ამ საწყობიდგან სხვადასხვა საქარხნო მასალას. ამ ადგილზე მსახურობდა ის, სანამდის ზესტაფონში არ გადავიდა.

ერთმანეთთან გაცნობის დღიდგან ჩვენ ვიყრიდით თავს ძმ. კალანდაძეების ბინაზე, სადაც ეგნატე ხშირათ ღამეებსაც კი ათევდა. ჩვენი ბაასის საგანს შეადგენდა. საზოგადო მნიშვნელობის კითხვები: პოლიტიკური, ეკონომიური. და საზოგადოთ ქართულ-რუსული ლიტერატურის საკითხები. უნდა შევნიშნო, რომ ეგნატე ამ საკითხებში საკმაო ცოდნას იჩენდა. ეტყობოდა, რომ ნაკითხი იყო და მაშინაც თვალყურს ადევნებდა რუსულ-ქართულ ლიტერატურას. ამასთანავე ეტყობოდა, რომ ეგნატემ რუსული ენა კარგათ იცოდა.

ერთხელ მან მითხრა, მინდა ვიშოვნო ლომბროზოს „გენიალნოსტ ი პომეშატელსტვო“. მაგრამ ვერსად ვიშოვნე და ხომ არ გეგულება სადმეო, მე ვუთხარი, რათ გინდა, რათ გეინტერესება-თქო. მან მომიგო: თურმე ლომბროზო კავშირს პოულობს გენიალობასა და შეშლილობას შორის, და ეს მეინტერესებაო. ეს ცნობები მას ამოუკითხავს ამ წიგნის შესახებ რომელიღაც რუსულ ჟურნალში.

გადავწყვიტეთ ჩავწერილიყავით ბათომის ბიბლიოთეკაში. გამოგვეტანა წიგნები და გვეკითხა. ეს განზრახვა კალანდაძეებთან ერთად კიდევაც ავასრულეთ, თუმცა არც მე და არც ეგნატეს, როგორც დღიურ მომუშავეებს, კვირეული შემოსავალი 4—6 მანეთის მეტი არ ჰქონდა.

საზოგადო კითხვებს გარდა ჩვენი ბაასი შეეხებოდა ხანგამოშვებით ჩვენს თავგადასავალსაც. ამ ნაირ ბაასის დროს მე გავეცანი ეგნატეს ცხოვრების უმთავრეს ეტაპებს. ჩვენი ბაასი ხანდიხან იღებდა თავისუფალ ხასიათს და ოხუნჯობის კილოს. ერთ ამნაირ ბაასის დროს ბესარიონმა, არც თუ მთლათ ხუმრობით, ჰკითხა ეგნატეს: ბიჭო, სამძღვარგარეთ რომ მიდიოდი, რისი იმედი გქონდა, ცხოვრება არ გინდოდაო? მან მიუგო: მართალია, ცხოვრება მინდოდა, მაგრამ იმედი მქონდა, პირველ ხანებში დაპირებისამებრ დამეხმარებოდენ ვინმე-ვინმეები და მერე, ამასობაში, ენის შესწავლა მქონდა სახეშიო. ვფიქრობდი, შევისწავლი ფრანგულ ენას, თარგმანს მივყოფ ხელს, ამ საშუალებით ცხოვრების სახსარს შევიძენ და თან სწავლას განვაგრძობ. მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდაო.

ასე ვიცხოვრეთ ოთხივემ 4-5 თვე, სანამდის ეგნატე ზესტაფონში გადაბინავდებოდა. არც ამის შემდეგ გაგვიწყვეტია ერთმანეთთან კავშირი. ეს კავშირი გამოიხატებოდა წერილების მიწერ-მოწერაში (წერილებს ის უმეტეს ნაწილათ კალანდაძეებს სწერდა. მეც მომწერა პირადათ რამოდენიმე წერილი, მაგრამ ამ წერილებიდგან დღემდის ერთის მეტი აღარ შემრჩენია). ამას გარდა, როდესაც ის ბათომში დროებით ჩამოვიდოდა და ჩვენ ერთმანეთთან უწინდებურ ბაასს ვაგრძელებდით. ამ დროს სხვა საკითხებს მიემატა ბაასი ეგნატეს ნაწარმოებებზე. ეგნატესათვის საინტერესო იყო რა აზრის ვიყავით ჩვენ, მის მოთხრობებზე. როდესაც მისი „სიმონა“ დაიბეჭდა, ჩვენ ძალიან გვესიამოვნა, რადგანაც ავტორში დავინახეთ აუცილებლი მხატვრული ნიჭი.

ერთ დღეს ჩვენ ოთხივე კალანდაძეების ბინაზე ვბაასობდით. ამ დროს გერონტი კალანდაძემ მოულოდნელათ მომმართა მე და მითხრა: ახალი ამბავი რა გითხრაო, რა არისთქო. რათა ეგნატეს „არშიუნი“ თურმე ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებსო. ერთ დროს ავტორის გული ერთ ქალს მოუჯადოვებია და ეს შემთხვევა გამხდარა საბაბი ამ მოთხრობის დაწერისაო. მაშინ ეგნატეს მიუბრუნდი და ვკითხე, მართალია-თქო? მართალიაო, მომიგო მან.

დადგა 1893 წლის შემოდგომა და ეგნატესაგან მივიღეთ რამოდენიმე არა სასიამოვნო წერილი მისი ავათმყოფობის გართულების შესახებ. ბოლოს, ზამთრის დასაწყისში მისგან გავიგეთ, რომ ის ექიმი ტ. ქიქოძის რჩევით კიდევაც ჩამოსულიყო თბილისიდგან თავის სოფელში ჰაერის გამოსაცვლელათ. მარტის პირველ რიცხვებში წერილით გვთხოვდა, რომ მისთვის ბინა გვეშოვნა ბათომში. იწერებოდა, მანდ მინდა გავატარო დანარჩენი დრო ზაფხულამდის, იქნება ბათომის ჰაერი უფრო მომიხდეს, როგორც ექიმი მირჩევდაო. ჩვენ მისი თხოვნის ასრულების იმედი შევუთვალეთ და მის მიერ დანიშნულ დღეს კიდევაც დავხვდით სადგურზე, საღამო ჟამს.

როცა მატარებლიდან გადმოსული ჩვენთან მოვიდა, ჩვენ ელდა გვეცა: კაცი აღარ იყო ძვლების მეტი. მისალმების შემდეგ წავიყვანეთ ის ჩემ ბინაზე (მე ბინა მქონდა იქვე, სადგურის ახლოს). დედა-ჩემმა, რომელიც მაშინ ბათომში მყავდა და რომელსაც რამოდენჯერმე ჰყავდა ის ნანახი—როცა შეხედა მას, ველარ მოითმინა.—შემოარტყა ლოყაზე ხელი და ქა[illegible]ური მგრძნობიარობით [illegible]: „უიმე, შვილო, რამ შეგაწუხა აგრეო! დავჯექით. დაიწყეთ ლაპარაკი... მე ურჩიე იმ ღამეს ჩემთან დარჩენილიყო და მეორე დღეს გადასულიყო საკუთარ ბინაზე, რომელიც ჩვენ უნდა მოგვეძებნა. მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა ამაზე და იმ ღამესვე მოინდომა სადმე დაბინავება. მეტი გზა არ იყო, მე და გერონტი წავედით და ერთ სასტუმროში ვიქირავეთ ოთახი. წავიყვანეთ იქ და დავაბინავეთ იმ ღამესვე.

მეორე დღეს მივიყვანეთ მასთან ექიმი გ. ელიავა. მან ყურადღებით გასინჯა ავათმყოფი. გამოუწერა წამლები და გამოემშვიდობა. ჩვენ ეგნატეს ტანმთელობის გამოკეთების იმედი კიდე გვქონდა, მაგრამ ეს იმედი გაგვიფანტა ექიმის სიტყვებმა. როცა ის გამოვიდა სასტუმროდგან, ჩვენ მას გამოვყევით თან და გამოვკითხეთ ავათმყოფის გარემოება. იმან მოგვიგო: რაღა დაგიმალოთ, მაგას ერთი თვის სიცოცხლე თუ ექნება, მეტს ვერ გასძლებს, რადგანაც ფილტვების ძრიელ ცოტა ნაწილი მუშაობს კიდეო. წამალი გამოუწერე, რომ ამითი ცოტა მაინც დამეიმედებიაო. რაღა თქმა უნდა, ამ მოულოდნელმა განაჩენმა ძრიელ დაგვაღონა.

ბესარიონს მეტი საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა ქარხანაში და მოგვიანებულ საღამომდის ვერ იცლიდა. ჩვენ კი—მე და გერონტის—უფრო მეტი თავისუფლება გვქონდა: ხანდახან ორი სამი დღე და მეტიც ზედმიზედ თავისუფალი ვიყავით. ამ ხანებში სწორეთ ეგრეთი თავისუფალი დრო შეგვხვდა და ამიტომ ეგნატეს თვალყურის გდების საქმე ჩვენ ორმა მივიღეთ თავზე. თუ ორივე არა, ერთი-ერთი ჩვენგანი უსათუოთ მასთან ვიყავით მუდამ და მარტო ძვირათ ვსტოვებდით.

რაც ავათმყოფისთვის საჭირო რამე იქნებოდა, ან ორივე, ან ერთი რომელიმე ჩვენგანი, ვზრუნავდით იმაზე. თავიდგანვე საჭირო იყო შესაფერი საჭმელი მოგვენახა ავათმყოფისათვის. იქვე, ჩვენი სასტუმროს ახლოს, იყო პირველხარისხოვანი მეორე სასტუმრო „იმპერიალი“, რომლის პატრონი ეგნატეს ნაამხანაგარი (ოზურგეთის სასწავ.) გამოდგა. იმ სასტუმროში, რასაკვირველია, კაი ხარისხის საჭმელები კეთდებოდა, და იქიდგან დაუწყეთ ზიდვა იმ კერძებს, რომლებსაც ეგნატე მოისურვებდა. მაგრამ მადა დაკარგული ჰქონდა და ძლიერ ცოტას სჭამდა.

დაბინავებიდგან სამი-ოთხი დღის შემდეგ, სასტუმროს პატრონმა გამოგვიცხადა, რომ ავათმყოფი გადაგვეყვანა სხვაგან. გვითხრა, ამნაირი ავათმყოფის გაჩერება არ შემიძლიაო: მუშტარს დამიფრთხობსო. რაღა გაეწყობოდა, ჩვენ იქვე ახლო მყოფ. მეორე ამნაირსავე სასტუმროში გადავიყვანეთ ეგნატე. ამ სასტუმროს პატრონს პირველის პატრონივით პრეტენზია არ გამოუცხადებია და ამიტომ ეგნატე იქ იყო დაბინავებული იმ დღემდის, სანამდის სახლში არ დაბრუნდა.

დაახლოვებით ორი კვირა დარჩა ეგნატე ბათომში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მას ვიყოლებდით სხვადასხვა ლაპარაკით, უფრო კი ის გველაპარაკებოდა თავისი შესახებ, როგორც მის წარსულ ცხოვრებაზე, ისე მის მომავალ სამოქმედო გეგმებზე. ამასთანავე უსაქმოთ არ რჩებოდა. თან ჩამოეტანა ჟურნალი „კვალი“, ის ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო მისი მოთხრობა, „ჩვენი ქვეყნის რაინ[illegible]“ [illegible] თავიდგან იმ მოთხრობის კითხვა გერონტის: კითხვის დროს ალაგ-ალაგ აჩერებდა მას: ზოგს ცალკე სიტყვას და ზოგს ფრაზას ახალ რედაქციას უკეთებდა და ამნაირათ გადაასწორა მან მთელი მოთხრობა. გასწორებულ ტექსტს კი გერონტი სწერდა სტრიქონების შუა. ჩვენ შევეკითხეთ: მოთხრობა დაბეჭდილია და რა მიზნით ასწორებთქო. მან მოგვიგო: ი. გოგებაშვილი დამპირდა დახმარებას ჩემი თხზულებების ახალ გამოცემის საქმეში და იმას უნდა გაუგზავნოო. ახალი გამოცემა მინდა, რომ უფრო შელამაზებული გამოვიდესო. ჩვენ მოგვაგონდა მაშინ ის მისი პუბლიცისტური „სტატია“, რომელშიდაც მან „მეველეს“ და „პლებს“ გარდა გოგებაშვილსაც გადაჰკრა თავისი ირონია. ჩვენ გავეხუმრეთ: შენ რომ იმას მათრახი გადაუჭირე, მას აქეთ კიდევ შემწეობას გპირდება-თქო? მან მოგვიგო: მართლა, კაცო, პატიოსანი კაცი ყოფილა ის, არც მე მეგონა თუ ასე მოიქცეოდა, მაგრამ ჩემი აზრი არ გამართლდაო.

როცა თავისი ავათმყოფობის გაძლიერების ამბავს მოგვიყვა. სხვათა შორის ექიმი ტ. ქიქოძე მადლობით მოიხსენია: აქ წამოსვლაც იმან მირჩია და სხვადასხვა დარიგებაც იმან მომცა, როგორი რეჟიმით მეცხოვრაო. ამითაც არ დაკმაყოფილდა და დღემდის წერილებით დარიგებას მაძლევსო. მერე ამას დაუმატა: წარმოიდგინეთ კაცის გულის ჩარხის ტრიალი. მამა (ესე იგი დეკანოზი სიმონ ქიქოძე, რომელიც ამ ექიმის მამა იყო. და რომელმაც ეგნატე ოზურგეთის სას. სასწავლებლიდგან გამორიცხა) ამ ქვეყნიდგან ჩემს ამოფხვრას ცდილობდა და შვილი კი იმას ცდილობს, რომ საიქიოდგან საქაოს დამაბრუნოსო.

ზოგჯერ ჩვენი ბაასი ეგნატეს თბილისში ყოფნას შეეხებოდა. ის თითქმის არავისი მადლიერი არ იყო, განსაკუთრებით რედაქციების. ერთხელ მან მომმართა კითხვით: „მოსე მწერალი“ უფრო დიდია ფურცლების შემადგენლობით, თუ „ჩვენი ქვეყნის რაინდიო“. მე მოუგე „ჩვენი ქვეყნის რაინდითქო“. მან მიპასუხა: მართალია, მაგრამ არც ასე მაგდენათ. „მოსე მწერალში“ „მოამბემ“ მომცა სამი თუმანი და „ჩვენი ქვეყნის რაინდში“ „კვალმა“ — შვიდი თუმანიო.

გადავალ ახლა იმაზე, თუ თავის მომავალი მუშაობის შესახებ რა გეგმებს აწყობდა ეგნატე. ის ხშირად ლაპარაკობდა ამ საგანზე. როცა წამოვიკეთებ, უსათუოთ საზღვარგარეთ უნდა წავიდე, იქ პლეხანოვს გავიცნობ და მის წრეში ვეცდები მეტი განვითარება მივიღო და დანაკლისი შევივსოო. დავბრუნდები და პუბლიცისტური ხასიათის მწერლობითი მუშაობას შევუდგებიო.

მისი მდგომარეობის გამო ამ გეგმების მოსმენა ჩვენში მისდამი მხოლოდ სიბრალულს იწვევდა და ჩვენ—მეტი ღონე არ იყო—თავდაჭერილათ, ფრთხილი სიტყვებით ვამხნევებდით; ამასთანავე გული გვიღონდებოდა მისი მდგომარეობის შემყურეს.

როგორც ზემოთ მოვიხსენე, ეგნატე დარჩა ბათომში დაახლოვებით ორი კვირა. მერე კი მოისურვა შინ დაბრუნება. ამას არც ჩვენ გაუბდით წინააღმდეგი. რადგანაც ვხედავდით, რომ თუ უარესად არ ხდებოდა, თვითონ გაუმჯობესება მის მდგომარეობას არ ეტყობოდა. ბათომის ჰაერი—მის ჯანმრთელობის გამოკეთებას ვერ შესძლებდა. ის ისეთი დასუსტებული იყო, რომ, თუ მგზავრობაში მშველელი არ ეყოლებოდა, ისე მგზავრობა მას არ შეეძლო: უნდა გავყოლოდათ [illegible] ჩვენგანი. ეს თა[illegible] გავემგზავრეთ სოფლისკენ. ჯუმათის სადგურზე ურემი დაგვხვდა. დავაწვინეთ ავათმყოფი ურემზე და ისე მივიყვანეთ სახლამდე. გზაზე ის შემომჩიოდა, ნეტავი შენ, რომ ფეხით სიარული შეგიძლიაო. სახლში რო მივედით, დაისვენა, დაწყნარდა და ცოტა ხალისიან გუნებაზე დადგა. იმ ღამეს მე იქ დავრჩი, შევყევით ლაპარაკს და შუაღამემდის არ დავწოლილვართ. მეორე დღეს გამომშვიდობების დროს მთხოვა: თუ ძმა ხარ, დათიკო, თუ უარესათ შევიქენი, შემოგითვლი, და ექიმი ამომიყვანეო. მე თხოვნის ასრულებას დავპირდი, გამოვემშვიდობე და დავბრუნდი ბათომში.

გავიდა ამის შემდეგ ორ კვირაზე ცოტა მეტი და ერთ დღეს მისგან მივიღე წერილი: თანდათან უარესათ ვარ და ექიმი მომაშველეთო. ჩვენ, ცოტაოდენი რჩევის შემდეგ, დავადგით იმ აზრს, რომ მივსულიყავით ექიმ გ. ვოლსკისთან და გვეთხოვა მისთვის, გაგვყოლოდა ავათმყოფან. თუმცა ეს ზედმეტი იყო ეგნატეს მდგომარეობისათვის, მაგრამ დაპირების თანახმათ, მის დასამშვიდებლათ, აუსრულეთ ეს თხოვნა.

იმ ღამეს მე და გერონტიმ მოვნახეთ ექ. გ. ვოლსკი, აუხსენით ეგნატეს მდგომარეობა და ვთხოვეთ გაგვყოლოდა სოფელში. ის უყოყმანოთ და უსასყიდლოთ დაგვპირდა თხოვნის ასრულებას. ჩვენ შევეკითხეთ, რომელ საათზე დაგვეხვედრებია ცხენი სადგურზე. ცხენი საპირო არ იქნება, ფეხით წავალ, ორი სამი ვერსი რა უნდა იყოს, ოღონდ გამყოლი კაცი დამხვდეს სადგურზეო. დრო დაგვინიშნა მეორე დღის ნაშუადღევის 4 საათი.

ამნაირად დაიმედებული მისგან, დილის მატარებელს გავყევი, რომ წინდაწინ ავსულიყავი ეგნატესთან, გამეგო ამბავი და, იქიდგან უკან დაბრუნებული, მეოთხე საათზე დავხვედროდი სადგურზე ექიმს. ამ ნახვაზე ეგნატე საშინლათ სწუხდა. მითხრა, სიცხე მაქვს გამუდმებული, ღამე ოფლი მაწუხებს და სულ არა მძინავსო.

მალე გავსწიე სადგურისაკენ, საიდანაც დაპირების თანახმად ექიმთან ერთად დავბრუნდით ეგნატესთან.

მივედით ბინაზე. ექიმმა თავისი მოვალეობა შეასრულა ავათმყოფის შესახებ, მერე გამოიხმო გარეთ ეგნატეს ბიძა, ალექსი, დაუფარავათ გაუტყდა მას, ავათმყოფის მორჩენა შეუძლებელიაო.—გამოემშვიდობა ეგნატეს და ბიძამისს და წამოვიდა სადგურისაკენ. მეც გამოვემშვიდობე მათ და თან გამოვყევი ექიმს.

ბათომში რომ ჩავედი, კალანდაძეებს გავაცანი საქმის მდგომარეობა და ურჩიე, სამივე იმ ცოტა ხანში წავსულიყავით ეგნატეს სანახავად. ასეც გადავსწყვიტეთ, მაგრამ ამის მერე, რამოდენიმე დღის შემდეგ, ბათომში ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა ეგნატეს სიკვდილის შესახებ. მე გულმა აღარ მომითმინა და სინამდვილის გასაგებათ, გავსწიე ეგნატეს სოფლისაკენ. სამწუხაროთ ეგნატე ცოცხალი აღარ დამხვდა.

სამწუხაროთ ჰირდათ მე ველარ დავესწარი გასვენებას, რადგანაც ძრიელ ავათ შევიქენი და ლოგინს ვერ გამოვშორდი.

ყოველი მნახველი, რომელიც გადაავლებდა თვალს ეგნატეს ბიძის ეზო-გარემოს, უსათუოთ გამოიტანდა იმ დასკვნას, რომ აქ ღარიბი კაცი უნდა სცხოვრობდესო. სწორეთ ამნაირივე დასკვნა გამოვიტანე მეც, როდესაც ეგნატეს პირველათ მივჰყევი მის სახლში. პირველ მისვლისთანავე შევეკითხე მას: ეტყობა ღარიბი კაცის შვილი ყოფილხარ და როგორ მოხდა, რომ სასწავლებელში მოხვდი და ცოდნა შეიძინე თქო?

ჩემ შეკითხვაზე საპასუხოთ ის დაახლოებით შემდეგს მომიყვა. ბიძაჩემმა მღვდელ ქუონიასთან მიმაბარა. სწავლის ნაცვლათ მღვდელი საქონელს მამწყემსინებდა, ეს ბიძა ჩემმა არ იცოდა. ერთ დღეს ბიძა ჩემი მოვიდა ჩემ სანახავად და ამბის გასაგებათ, ვსწავლე რამე თუ არა. მისი მოსვლა და მინდვრიდან საქონლით ჩემი დაბრუნება ერთი იყო. ბიძა ჩემს ეს არ ესიამოვნა. გამომკითხა ამბავი სწავლის შესახებ. მან გაიგო ჩემგან, რომ ეს მღვდელი სინდისის გასაწმენდათ კვირაში ერთ საათს მომცემდა ხელში დავითნს—ვითომ წიგნს ვსწავლიო—თორემ დანარჩენ დროს სულ საქონელს მამწყემსიებდა. ბიძა ჩემმა იმ დღესვე სახლში წამიყვანა ამის შემდეგ იმავე ქუონიას მითითებით დამაყენა ფოთში ერთ ვაჭართან წიგნის სასწავლათ. ეს ვაჭარი იყო ამ მღვდლის ნათესავი. ქუონიასი არ იყოს, ის წიგნს კი არ მასწავლიდა, სხვადასხვა საოჯახო საქმეს მაკეთებინებდა. ერთხელ ბიძა ჩემი მოვიდა იქ ჩემ სანახავათ, სწორეთ იმ დროს, როცა ფეხს მიხვევდენ, რომელიც შეშის დაჩრის დროს გავიჭერი. ბიძა ჩემმა რომ გაიგო, საქმე რაში იყო. იმ დღესვე სახლში დამაბრუნა.

ვრჩებოდი ასე უსწავლელი. მე კი სწავლა მინდოდა და ბიძა ჩემიც მოწადინებული იყო, რამე საშუალება გამოძებნა ჩემი სურვილის შესასრულებლათ. ვიღაცეებმა უთხრეს მას, თუ გინდა ბავშვს რამე ასწავლო, რაღა იქით-აქეთ ატარებ, მეზობელ სოფელში რომ სკოლაა, იქ მიაბარე და ისწავლის, თუ ივარგებსო. და ტრიალდა ის და იმდენი ეცადა, რომ შემიყვანა იმ სკოლაში.

იქ შესვლისთანავე, გულმოდგინეთ დავიწყე მეცადინეობა და შეძლებისდაგვარათ კარგათ ვსწავლობდი. მაგრამ მასწავლებელი გამოდგა მეტად ფიცხი. ამასთანავე,—ახლა რომ წარმოვიდგენ,—ვხვდები, რომ ცოდნაზედაც მწყრალათ იყო. იმას არ ჩიოდა, ჩვენ გვესმოდა რამე მისი ნათქვამიდგან, თუ არა: უმეტეს ნაწილათ რუსულათ გვასწავლიდა. მაგალითად, ჩვენ ხშირათ გვესმოდა გაკვეთილზე: „რუსსკაია გრამატიკა უჩიტ პრავილნო ჩიტატ, პისატ ი გოვორიტ“. ჩვენ არ ვიმადლიერებოდით მასწავლებლს. ერთხელ ერთმა მოწაფემ დასწერა დაფაზე მისი შეურაცმყოფელი რაღაცა სიტყვები. ჩვენდა საუბედუროთ მასწავლებელმა მოასწრო ამ სიტყვების წაკითხვა. დამწერის გამოსარკვევათ მან მოახდინა ფიცხელი და სასტიკი გამოძიება. მაგრამ, რადგანაც ვერ გამოარკვია დამნაშავის ვინაობა, მთელ კლასს შავი დღე დააყენა ცემითა და სხვა ფიზიკური დასჯით. მე, რადგანაც კარგათ ვსწავლობდი და ყველაზე პატარაც ვიყავი, იატაკზე დაჩოქებით დამსაჯა. მერე შემიჩნდა, თუ მეტყვი. ვინ დასწერა ის სიტყვები დაფაზე, სასჯელისაგან გაგანთავისუფლებო. ამ დაპირებით იმან ვერ გამომტეხა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მაინც განმათავისუფლა სასჯელისაგან: მგონია, შეეცოდე. ამგვარ გარემოებაში გავატარე იმ სკოლაში ორი წელიწადი.

ამ სკოლაში მიღებული სწავლით არ ვკმაყოფილდებოდი არც მე და არც ბიძა ჩემი, მაგრამ არ ვიცოდით, სად და რომელ სასწავლებელში განმეგრძო სწავლა. ჩვენი ამბავი ბიძა ჩემის ერთმა ნაცნობმა მღვდელმა გაიგო, იმან ურჩია ბიძა ჩემს, რომ შეეყვანე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. ამასთანავე უქო ეს სასწავლებელი ბიძა ჩემს; სწავლა იქ არის, თორემ ეს ჩვენი სკოლები რას ვარგაო. ამ რჩევამ ბიძა ჩემს აღუძრა სურვილი, რომ აღნიშნულ სასწავლებელში შევეყვანე, მაგრამ, რა გზით, ეს ვერ გამოარკვია. აქაც ის მღვდელი შეიქნა ჩვენი სურვილის ამსრულებელი. მისი თაოსნობით და დახმარებით მე ვიქენი მიღებული ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში.

ოზურგეთის სას. სასწავლებლიდგან, როგორც ვიცით ეგნატე გამორიცხეს. მე შევეკითხე ეგნატეს: როგორ მოხდა ეს, რომ „ბუნტში“ შენთან სილიბისტრო ჯიბლაძე, ბესარიონ კალანდაძე და სხვებიც იყვნენ, გამორიცხვით კი მარტო შენ გამოგრიცხეს-თქო. მან მიპასუხა: ეგენი სასულიერო წოდების პირთა შვილები იყვნენ, მე კი გლეხის და ამიტომ მე ადვილათ დამიბრიყვა დეკანოზმაო. მე, ახლა რომ ვიკვირდები ამ სიტყვებს, უფრო ნათლად ვხვდები მათ მნიშვნელობას, ვინემ მაშინ. აშკარაა: ეგნატემ „ბუნტში“ მისი მოთავეობა დამიმალა, თავისი თავმდაბლობის გამო, და მიმითითა მარტო მეორე მიზეზზე. ალბათ, დეკანოზმა სასულიერო პირების შვილებს ვერ გაუბედა გამორიცხვა, რადგანაც ეშინოდა: ისინი (სასულიერო პირები) თავის წინააღმდეგ არ აიმხედრებია,—და მარტო ეგნატეზე ამოიყარა ჯავრი, რადგანაც იცოდა, რომ იმას სამღვდელოების კრებაზე მოსარჩლე არავინ გამოუჩნდებოდა.

ეგნატემ განაგრძო თავისი თავგადასავლის მოთხრობა: სასწავლებლიდგან გამორიცხვის შემდეგ, მეტი გზა არ იყო, კერძოთ დავიწყე მზადება სამასწავლებლოთ და, როცა მოვემზადე,—რადგანაც საშუალება არ მქონდა,—ფეხით გავემგზავრე ქუთაისში სახ. სკ. დირექტორ ტროიცკისთან ეგზამენის დასაჭერათ. ეგზამენი კარგათ დავიჭირე და განწესებული ვიქენი მისგან ერთ-ერთ გურიის სოფლის სკოლაში მასწავლებლათო. ასეთი იყო დაახლოვებით ეგნატეს ავტობიოგრაფია, რომელიც მან მე მიამბო.

ბიოგრაფიის ახლად დამწერ ეგნატეს, ამხ. რ. კალაძეს კარგად აქვს აწერილი ეგნატეს პიროვნების ღირსება-ნაკლულოვანებანი. აქ მე მინდა შევეხო მხოლოთ ორ მხარეს ეგნატეს ხასიათისას და მათ საილიუსტრაციოთ მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითი.

ეგნატეს ბიოგრაფიის ახლად დამწერ ამხ. რ. საქმე მიდგა სასტუმრო „იმპერიალიდან“ გამოტანილი საჭმლის საფასურის გასტუმრებაზე, სასტუმროს პატრონმა უარი განაცხადა ფულის აღებაზე და ამითი უნდოდა გამოეხატა თავისი თანაგრძნობა ეგნატესადმი. ეგნატემ კატეგორიული უარი განაცხადა ამ დახმარებაზე და პირწმინდათ გაუსწორა მას ნახარჯი. არც ჩვენგან მიიღო რაიმე მატერიალური დახმარება. ასე გასინჯეთ,—როდესაც ის მიმყავდა სახლში—მატარებლის ბილეთის ფასიც არ გამასტუმრებია ჩემი ჯიბიდგან.

ამავე ხანებში მოხდა შემდეგი შემთხვევა. იმ სასტუმროში, რომელშიდაც ეგნატე იდგა, ცოტა მდგმურები იყვნენ. ამიტომ ძლიერ სიწყნარე იყო. ეს სიწყნარე არ დარღვეულა ერთხელ მეტათ, მაგრამ ისიც მალე შესწყდა. ერთ საღამოს მე და გერონტი ვიჯექით ეგნატესთან. ვლაპარაკობდით. ჩვენ ლაპარაკში კიბეზე ამოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი და გაჩერდა ერთი ოთახის კარებთან. სასტუმროში ოთახები ორწყებათ იყო გამწკრივებული. კაცი გაჩერდა ჩვენი ოთახის პირდაპირ მდებარე ოთახთან. თურმე იმ ოთახში მას ერთი ახალგაზრდა ქალი ეგულებოდა და იმასთან მოვიდა. დაუკაკუნა კარებს. ქალი შიგნიდან შეეკითხა, ვინ ხარო: ამან თავისი ვინაობა დაუსახელა. ქალმა მკვახეთ უპასუხა, დაიკარგე აქედგანო. მაშინ თავისი არ მოიშალა და კარების გაღებას მოითხოვდა. გაჩაღდა მათ შორის კამათი, რომლის დროს ქალი ამ ყმაწვილს სხვადასხვა არა სასიამოვნო სიტყვებით ამკობდა. კაი ხანს გასტანა მათმა ჩხუბმა. ბოლოს დარწმუნდა ეს ყმაწვილი, რომ კარს არ გაუღებდენ, და მაშინ ქალს დაუძახა: „ნებით არ მიღებ კარს, ძალით გავაღებ და მერე მე ვიციო“. სთქვა ეს თუ არა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეჯახა კარებს და ძალით უნდოდა ჩაემტვრია, მაგრამ ვერას გახდა. ეს ჩვენ ყველაფერი გვესმოდა. როცა თავხედ ყმაწვილმა კარებს ჯაჯგური დაუწყო, ეგნატემ გადაატრიალა თვალები, რომლებშიც სასტიკი რისხვა გამოიხატებოდა. წამოიწია უცებ ლოგინიდგან და წამოიძახა: „მოიცა, შე არამზადა, მე შენ გაყურებინებ სეირსო“. ამ სიტყვებით გაიწია გარეთ იმ კაცის დასატაკებლათ. ჩვენ ვსტაცეთ ეგნატეს ხელი და დიდის ხვეწნით და მოფერებით ძლივს დავაწყნარეთ და დავაწვინეთ ლოგინზე. ამასობაში ის ყმაწვილიც წავიდა ქალის გინებით.

მეორე ასეთივე შემთხვევას მატარებელში ჰქონდა ადგილი, როცა ეგნატე მიმყავდა შინ. ჩვენ ვაგონში მახლობელ მეორე სკამზე ბათომშივე დაჯდა ერთი ევროპიულათ ჩაცმული, მაღალ ცილინდრიანი კაცი. მას თან ახლდა 15-16 წლის ყმაწვილი. ეს კაცი, როგორც შემდეგში გამოირკვა, კბილის ექიმი ყოფილიყო, ტომით ბერძენი. რაღაცა მიზეზით, მას არც თავისთვის და არც ამ ყმაწვილისთვის ბილეთი არ აეღო (მგონია, მარტო ჩაქვამდის აეღო ბილეთები, ქუთაისში კი მიდიოდა). ნატანების სადგურს რომ მიუახლოვდით, კონდუქტორმა მოსთხოვა მას ბილეთები. რადგანაც მას ბილეთი არ აღმოაჩნდა, კონდუქტორმა გაიწვია ის სადგურის უფროსთან წარსადგენათ. ექიმმა იუკადრისა, მაგრამ, რადგანაც მეტი გზა არ იყო, თავის თანამგზავრ ყმაწვილს მისცა ხუთ მანეთიანი და დაავალა ბილეთების აღება. იმან ეს დავალება შეასრულა და უკან მოუტანა გადარჩენილი ხურდა ფული და ბილეთები. მან დაითვალა ხურდა და გაოცდა. თურმე ის ორმაგ ფასს ანგარიშობდა ნატანების სადგურამდის, შემდეგი გზისას კი ერთმაგს. მოლარეს კი, როგორც კანონი მოითხოვდა, სამტრ-დე აეღო ბილ. ორმაგი ფასი. ამიტომ ამ კაცს ხურდა ენაკლულა და ყმაწვილს ჩხუბი დაუწყო. რა არ შესწამა საწყალს, ვინ იცის. ამასთან ხელებს გამგებით ექნევდა იქით-აქეთ და ყმაწვილს ლანძღავდა. ბოლოს ყმაწვილისაკენ საცემრათ მიიწია. ყმაწვილი კი იდგა გაფითრებული. აქ ეგნატემ ველარ მოითმინა, წამოიწია და წამოიძახა: „მე ვაჩვენებ მაგას, ცემა როგორ უნდაო“! მაგრამ ადგომა გაუჭირდა და მე დიდი ხვეწნა და მუდარა დამჭირდა, რომ ის დამემშვიდებია და თავის ალაგას დამეწვინა.

თუმცა ორივე შემთხვევის დროს ეგნატეს საქციელი რამოდენიმეთ აიხსნება ავათმყოფობის მიერ გამოწვეული ნერვიულობით,—მაგრამ თავიდათავი მიზეზი მისი იყო ეგნატეს თვისება, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას უსამართლობის ატანა არ შეეძლო და უსათუოდ რაიმე სახით უნდა შებრძოლებოდა ამ უსამართლობას.

ს. ნიკორწმინდა, ოთხწლედის გამგე **დავით კუბლაშვილი.**

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

18 სექტემბრის დილის სხდომა

მეოთხე სხდომაზე დასრულდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა რკინისგზელთა საქმეზე.

თავმჯდომარის შეკითხვაზე — სცნობენ თუ არა თავს დამნაშავეთ — ბრალდებულმა ევგენია თოფურიამ, ნიკოლოზ ვარდანაშვილმა, ადოლფ დეკაბრილევიჩმა, სერგო დოჭიძემ და ფილარეტ ამაშუკელმა უპასუხეს, რომ ისინი არ სცნობენ თავს დამნაშავეთ წარდგენილ ბრალდებაში.

ბრალდებულმა ალექსანდრე თევზაძემ განაცხადა რომ ის თავს სცნობს დამნაშავეთ არა 1600 მანეთის მითვისებასა და გაფლანგვაში, არამედ 1300 მანეთის მითვისებაში; ყალბი საბუთების შედგენაში ბრალდებული არ სცნობს თავს დამნაშავეთ.

ბრალდებულმა არსენ ქავთარაძემ განაცხადა, რომ თავს სცნობს დამნაშავეთ წარდგენილ ბრალდებაში და დასძინა, რომ მიითვისა არა 7.487 მანეთი, როგორც ეს საბრალმდებლო დასკვნაშია ნათქვამი, არამედ 3.600 მანეთი; ამ თანხიდან მან მიიღო მხოლოდ 1200 მანეთი, დანარჩენი თანხა გაუნაწილა იმ პირებს, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდენ ამ საქმეში.

ბრალდებული მიხეილ გოლოვატი ნაწილობრივ სცნობს თავს დამნაშავეთ. 2.300 მანეთის მითვისებაში ბრალდებული თავს არ სცნობს დამნაშავეთ.

ბრალდებული დავით ჟღენტი ნაწილობრივ სცნობს თავს დამნაშავეთ.

ბრალდებული გიორგი იაკობაშვილი თავს სცნობს დამნაშავეთ.

ბრალდებული გაბრიელ კუპრაძე თავს სცნობს დამნაშავეთ და დასძენს, რომ მოლარეებთან არავითარი წინასწარი მოლაპარაკება და შეთანხმება არა ჰქონია.

პროკურორები: გაბუნია და ლ. ჟღენტი შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე პირველ რიგში ბრალდებულების დაკითხვის შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელნი მოითხოვენ ბრალდებულთა ცალ-ცალკე დაკითხვას.

ქავთარაძის, თოფურიას და თევზაძის დამცველი ლვამიჩავა მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობას პირველ ნაწილში, ის იმავე დროს შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ბრალდებულები არ იქნას დაკითხული ცალ-ცალკე.

ამის შემდეგ სასამართლო შეუდგება ბრალდებულთა დაკითხვას.

ბრალდებულ ქავთარაძის ჩვენება

პირველ რიგში დაკითხულ იქნა ბრალდებული არსენ ქავთარაძე.

ბრალდებული აჩვენებს: ქალაქის სადგურში მუშაობა დავიწყე 1922 წლის 3 მაისს. პირველად ვმუშაობდი რკინიგზის მოძრაობის დარგში. საჭირო იყო მოძრაობის დარგისათვის მტკიცე შტატის შექმნა. მე როგორც პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი, ვცდილობდი მოლარის თანამდებობაზე დამეწყო მუშაობა. ჩემი განცხადება დაკმაყოფილებული იქნა და დავიწყე მუშაობა ქალაქის სადგურში მოლარის თანამდებობაზე. პირველ ხანებში ერთ სალაროში ორი კაცი ვმუშაობდით. მუშაობას კვირა-უქმე დღეებშიაც ვაწარმოებდით. შემდეგ ჩემი ამხანაგი სხვაგან გადაიყვანეს და აგზავნიდენ ისეთ კაცს, რომელსაც მე არ ვიცნობდი. მაშინ, მე ვსთხოვე გამგეს რომ სალარო განეცალკევებია. ეს ასეც მოხდა.

მუშაობის დროს არც ერთი შენიშვნა არ მიმღია.

ვარდგენდი ანგარიშებს და ვაგზავნიდი საშემოსავლო ნაწილში.

1924 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში ბრალდებული გელოვანი შემხვდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე და მითხრა—ერთი მოსაზრება მაქვს და უნდა გაგიზიაროვო. მე მოვუსმინე. გოლოვატმა მირჩია ჩაგვედინა სიყალბე ანგარიშებში ბილეთების ნომერაციის გამოტოვებით და თანაც აღმითქვა, რომ ვერავინ გაიგებდა. მე უარი უთხარი. გავიდა რამოდენიმე ხანი. კვლავ მხვდება გოლოვატი და მომმართავს თხოვნით, რომ მათთან ერთად დავიწყო მუშაობა სამგზავრო ბილეთების გამოშვების საქმეში. გოლოვატმა მიამბო, რომ მას ჯამაგირი არ ყოფნის და ის იძულებულია ყოველივე ჩაიდინოს ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზე. მე მეშინოდა და თანაც სირცხვილად მიმაჩნდა ასეთ საქმეში მონაწილეობის მიღება და განმეორებით უარი უთხარი. მეოთხეჯერ მოდის გოლოვატი და მირჩევს მივიღო ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა და თანაც დასძენს, რომ მათ კომბინაციას ვერავინ ვერ გაიგებს, რადგან მათთან ერთად იქნება სამგზავრო ნაწილის თანამშრომელი ვარდანაშვილი. გადის ხანი. კინო „აპოლო“-დან დაბრუნებისას პლეხანოვის პროსპექტზე, შემხვდა გოლოვატი, რომელმაც გამაცნო ვარდანაშვილი.

სავახშმოდ სასადილო „სიცოცხლეში“ წავედით. იქ გვქონდა სჯა-ბაასი ამ საკითხის შესახებ. ვარდანაშვილმა დამაიმედა და მითხრა: ნუ გეშინიათ, დავიწყოთ შეხმატკბილებულად მუშაობა, მე უფროსი ვარ და თუ მე წინააღმდეგი არ ვიქნები ჩვენ „საქმიანობას“ ვერავინ ვერ გაიგებს.

ამაზე მე დავსთანხმდი და ამის შემდეგ დავიწყეთ ანგარიშებში ბილეთების ნომერაციის გამოტოვება.

ბრალდებული ქავთარაძე იძლევა დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს, თუ რა წესით სწარმოებდა მათ მიერ ანგარიშებში ბილეთების ნომერაციის გამოტოვება და იძლევა სრულ სურათს მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ.

ბრალდებული განაგრძობს: სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის მოლარეებს არ უწევდენ სათანადო ზედამხედველობას რევიზია ყურადღებას აქცევდა ბილეთების ნომერაციას კი არა, არამედ სალაროში მცირედი თანხის დაკლების საქმეს.

ბრალდებულის თქმით, ბილეთებისაგან შემოსულ თანხას გოლოვატი, ვარდანაშვილი და თვითონ ის თანასწორად იყოფდენ. თანხის განაწილება ხდებოდა ვარდანაშვილის ბინაზე, ქუჩებში და სასადილოში.

მე— განაგრძობს ბრალდებული—გავფლანგე არა 7.487 მანეთი, არამედ 3.600 მან.; დანარჩენი თანხის ბილეთები გაფუჭების გამო გადავყარე და ზოგიერთიც კი უკანვე დავუბრუნე რკინისგზას.

სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვაზე იცნობდა, თუ არა ბრალდებული წინეთ გოლოვატს — ბრალდებულმა დადებითად უპასუხა.

შეკითხვაზე მოქმედებდა თუ არა ბრალდებული სარჯველაძესთან ერთად ბრალდებულმა უარყოფითად უპასუხა.

სახელმწიფო ბრალმდებლის ჟღენტის შეკითხვაზე, თუ ვისი რჩევით აწარმოებდა ის ანგარიშებში ბილეთების ნომერაციის გამოტოვებას—ბრალდებულმა უპასუხა, რომ ამას სჩადიოდა ბრალდებულ გოლოვატის ახსნა-განმარტებით და რჩევით.

საღამოს სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული ევგენია თოფურია.

ბრალდებული თოფურიას ჩვენება

სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს აძლევს მთელ რიგ შეკითხვებს, რაზედაც ბრალდებული უარყოფითად უპასუხებს.

ბრალდებული აჩვენებს, რომ შეღავათიან ბილეთების განმეორებით გაყიდვას იგი არ აწარმოებდა. ბრალდება ყალბი საბუთების შედგენის შესახებ—სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმეში დართული ყალბი საბუთები მისი შედგენილი არ არის. ბრალდებული გადაჭრით უარყოფს აგრეთვე ბილეთების თავის სასარგებლოდ გაყიდვას. თავმჯდომარის შეკითხვაზე, რომ მისცეს მის შესახებ საჭირო ახსნა-განმარტებანი—ბრალდებულმა უპასუხა, რომ არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია და ამის გამო არაფერი არ იცის.

ყალბი საბუთები ბრალდებულის თქმით, შედგენილია სადგურის სალაროს თანამშრომლების მიერ, ხოლო მათი ვინაობა არ იცის. ყოველივე ეს განზრახ შეთხზულია მისი მტრების მიერ.

რომ მას ბოროტმოქმედების ჩადენის განზრახვა ჰქონოდა—მიითვისებდა არა 30 ბილეთს, არამედ 1000-მდე—დასძინა ბრალდებულმა.

საქმეში დართული ზოგიერთ საბუთების უსწორობას ბრალდებული ხსნის მუშაობის დატვირთვით. მიმდინარე მუშაობაში მათ ჰქონდათ შეცდომები; იყო შემთხვევა სალაროში ბილეთების დაკლებისა, მაგრამ სალაროს პასუხისმგებელი მომუშავენი დანაკლისს თავიანთი ჯამაგირებიდან ანაზღაურებდენ.

ბრალდებული ხაზს უსვამს იმ პირობებს, რომელშიაც მას მუშაობა უხდებოდა. ამბობს რომ გაცემულ ბილეთების ნომრები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეჰქონდა წიგნებში. ერთად-ერთი მისი დანაშაული მხოლოდ ეს არის. აღნიშნავს აგრეთვე, რომ ბილეთების ნომერაციის შეტანა წიგნებში სავალდებულო არ იყო.

ბრალდებული გადაჭრით უარყოფს შეღავათიან ბილეთის განმეორებით გამოყენებას.

ის გადაჭრით უარყოფს აგრეთვე სახაზინო ქონების მითვისებას და გაფლანგვას.

შემდეგ ბრალდებულს მისცეს მრავალი შეკითხვები.

ბრალდებულის დაკითხვა ორ საათს გრძელდებოდა.

მკვლელობა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ზაალა ხაჩიაშვილს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ხაჩიაშვილს ბრალდებოდა მოქ. გიო ბეგაშვილის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

ცენტროარქივი

— **სამაზრო საარქივო ბიუროში.** საქართველოს ცენტრარქივი, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატსა და ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებით, შეუდგა მაზრებში საარქივო ბიუროების მოწყობას, ბიუროების მოწყობის შემდეგ ცენტრარქივს განზრახული აქვს შეუდგეს მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის ახალ სისტემაზე შედგენას.

— **საარქივო მოღვაწეთა ყრილობა.** მიმდინარე წლის დეკემბრისათვის ცენტრარქივს განზრახული აქვს მოიწვიოს სრულიად საქართველოს საარქივო მოღვაწეთა 1-ლი ყრილობა. ყრილობის მიზანია საარქივო მასალების კონცენტრაციისა და სისტემატიზაციის ერთიანი გეგმის შემუშავება და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხების მოგვარება საარქივო აღმშენებლობის დარგში.

— **„საქართველოს არქივი“.** გამოვიდა და იყიდება ცენტრარქივის პერიოდული ჟურნალი „საქართველოს არქივი“ წიგნი 1-ლი. ჟურნალში მოთავსებულია წერილები არქივთმცოდნეობისა და საარქივო საქმის შესახებ. ახლო მომავალში გამოვა „საქართველოს არქივის მეორე წიგნი.

— **საპერსპექტივო სამუშაო გეგმა.** ცენტრარქივის მიერ მიმდინარე წლის მაისში შედგენილი ექვსი თვის (მაისი-ოქტომბერი) საპერსპექტივო გეგმა უკვე შესრულებულია. ცენტრარქივი ამჟამად იმუშავებს უახლოეს ექვსი თვის (ოქტომბერი—მარტი) სამუშაო საპერსპექტივო გეგმას. გეგმაში შეტანილი იქნება უმთავრეს საარქივო ფონდების საბოლოოდ მოწესრიგება. გეგმაში ნავარაუდევია შეტანილ იქნეს აგრეთვე სამხედრო ფონდის მოწესრიგება და ძველ ქართულ საბუთებისა და ხელთნაწერ წიგნების მეცნიერული აღწერა.

ნაპირების გამაგრება

თბილისის აღმასკომმა დაამთავრა წინასწარი მუშაობა მტკვრის გასწვრივ ახალი სანაპირო კედლის გასაყვანათ.

ეს ახალი სანაპირო ქუჩის გაყვანა დაიწყება ვერის ხიდთან და წავა დასავლეთის მიმართულებით ბორანისაკენ. ამ კედლის გაყვანა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დროთა განმავლობაში მტკვარი რეცხავს და ანგრევს ნაპირს, რაც საფრთხეს უქადის ახლად გაყვანილ გზატკეცილს, რომელიც მიდის ვერის ხიდთან საქართველოს სამხედრო გზამდე.

კედლის გაყვანას შეუდგებიან მიმდინარე თვის რიცხვებიდან.

ფიზკულტურა

გამოცემლობა

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გამოუშვას გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტთან“ ორკვირეულ დამატებათ „ფიზკულტურის მოამბე“. გამომცემლობა გაზეთს თან დაერთვება ერთი ფურცლის სახით.

სპორტის კომისია

საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოჰყო სპორტის კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. ძიგრაშვილი, კიკნაძე, პეტელეცი, ხომასურიძე და სხვ.

დ ო ლ ი

ბაქოს დოღისათვის

ცხენსაშენის სამმართველოს ინიციატივით, ამ დღეებში ბაქოში თბილისიდან გაიგზავნებიან განთქმული მერნები.

ცხენებთან ერთად მიემგზავრება ცხენთა მწვრთნელი კამბეგოვი. გაგზავნილ ცხენებში ურევია ჯიშიანი ინგლისური ცხენები „სარდარ“ და „იაიჯა-ჰიათურელი“. დოღზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე „ეთერი“, „ვაიტლედი“ და ჩოდრიდი „კვარცა“.

ბიბლიოგრაფია

„პირველი წიგნი“, ნაწილი I; ვ. ძიძიგური და აკ. გვახარია; ნაწილი მე-2-რე: ვ. ძიძიგური და ალექსანდრე გვახარია. დასურათებული მხატვრების, ა. ქუთათელაძის და ს. ნადარეიშვილის მიერ, რ. ნიკოლაძე—პოლიევქტოვის რედაქტორობით

თბილისი, 1926 წ. ფასი ორივე ნაწილის 1 მან. 80 კ., 228 გვერდი. „ზაკკნიგა“ და სახელგამის გამოცემა

ნიჭიერ პედაგოგ და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ძველმა „დედა-ენამ“ უკვე დაჰკარგა თავისი პირვანდელი ღირებულება. დღეს, როგორც დიდი, ისე პავში სულ სხვა ჰაერით სუნთქავს და სხვა მისწრაფებებით ცხოვრობს. განვლილ ომის და რევოლუციის ქარტეხილმა ძირ-ბუდიანად შეარყია არა მარტო დიდის, არამედ მოზარდი და ნორჩი თაობის მსოფლმხედველობაც.

იქმნება ახალი საზოგადოება, საფუძველი ეყრება ახალ ყოფა-ცხოვრებას, იცვლება საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებანი და მისწრაფებანი. ყოველივე ეს წარუშლელ დაღს აჩენს ადამიანის გონებაზე, მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ცხადია. ამ გავლენას ვერც სკოლა გაექცევა. სკოლა უნდა გადაიქცეს ამ ახალ ცხოვრების გამამტკიცებელ კერად, აქ უნდა ჩაეყაროს პირველ ყოვლისა საფუძველი საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლ ახალ საზოგადოებას, ჩვენს მომავალ თაობას.

ამიტომ თავის-თავად გასაგებია, რომ დღეს ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ძველი სახელმძღვანელოებით, რაც უნდა ნიჭიერი პედაგოგის ხელით არ იყვეს ისინი შედგენილი. ძველ სკოლას და ძველ სახელმძღვანელოებს თვით დრომ დაუკარგა ფასი.

შეუძლებელია ახლანდელი ნორჩი ან მოზარდი თაობის ბუნების იდილიაზე, ძველ არაკანდაზებზე და მოთხრობებზე აღზრდა. ახალი ცხოვრება უკვე შემოიჭრა სკოლაში და ის პასუხის გაცემას ითხოვს, ამ მხრივ ხსენებული „პირველი წიგნის“ ორივე ნაწილი უთუოდ თანადროულ სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ დაბალი საფეხურის ქართული სკოლებისათვის.

ჩვენ არ ვეხებით ამ წიგნის ღირებულებას პედაგოგიური თვალსაზრისით. ამის შესახებ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი „სამეცნიერო-პედაგოგიურ სექციამ“, რომელმაც წიგნი მოიწონა. ჩვენს მიზანს შეადგენს ვ. ძიძიგურისა, აკ. და ალ. გვახარიების წიგნის საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოკლე შეფასება.

წიგნის პირველ ფურცლებიდან, პირველ ნაწილიდანვე თქვენ იგრძნობთ, რომ ეს სახელმძღვანელო წერა-კითხვის შესასწავლად შედგენილ ყველა დღემდე არსებულ სახელმძღვანელოებს შორის განსაკუთრებით განირჩევა. მას თანამედროობის. ახალი საზოგადოებრივობის დაღი აზის. აი, მაგალითად, წიგნის პირველი ნაწილი, სადაც ლაპარაკია შრომის მნიშვნელობისა და სიყვარულზე:

„ჩვენი შალვა მჭედელია, ჩაქუჩს გრდემლს სცემს: ტუკ, ტუკ, ტუკ—ეს ლურსმნები. ბარი, თოხი და ნამგალი ყველა იმან გამოსჭრა. ვანოს უყვარს მაკრატლით ბუჩქის კრეჭვა, ვაზის გასხვლა.

ნინოს დედამ დაასწავლა ქსოვა, კერვა და კერვა; ჩვენ პატარა მუშები ვართ, გვიყვარს გარეჯა, გვიყვარს შრომა“.

შემდეგ ლაპარაკია ოქტომბრის ზეიმისათვის მზადებაზე: აქვე საუცხოვოთ შეხამებულ ფერადი სურათით ნაჩვენებია ბავშვების მუშაობა, რომელნიც სკოლის დარბაზს საზეიმოდ ამშვენიერებენ.

მოწაფის დღიურში ოქტომბრის ზეიმის ჩატარების შესახებ ვკითხულობთ:

„შოთამ ლექსი სთქვა. ჩვენ ტაში დაუკარით. მერე იმღერეს მოწაფეებმა. კარლომ სიტყვა სთქვა: ლენინი რომ არ ყოფილიყო მუშები ვერ გაიმარჯვებდნო“.

ერთხელვე აღებული ხაზი სისწორით არის დაცული წიგნის მეორე ნაწილშიაც. წერა-კითხვის, სამეურნეო და ელემენტარულ სამეცნიერო ცოდნასთან ერთად, აქ, როგორც პირველ ნაწილში, შეტანილია ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტები: მოწაფეთა საზოგადო კრება, მუშკოოპი, ქოხ-სამკითხველო სოფლად, საზოგადო კრებები, ოქმის შედგენა და სხ.

აი. მაგალითად, პატარა გოგია, რომელიც პირველადაა მოწაფეების კრებაზე:

„გოგის ეგონა, კრებაზე მასწავლებელიც მოვიდოდა. მაგრამ როცა თავმჯდომარე და მდივანი აირჩიეს და ესენი დასხდენ მასწავლებლის ადგილზე, გოგიამაც გაკვირვებით წამოიძახა:

— ჰეიოპაა-ო. ბავშვებს გაეცინათ.

თავმჯდომარემ ზარი დარეკა. გოგიას ესეც ხუმრობა ეგონა და დააპირა რაღაცას წამოძახება, ადგა კიდეც, მაგრამ ვილაცამ ამ დროს ხელი სტაცა, ადგილზე დასვა. გოგიამ დაინახა თინიკო და მიხვდა თავის შეცდომას“.

წიგნში შემდეგ მოყვანილია სანიმუშო ოქმი. ორიოდე სიტყვა „პირველი წიგნის“ გამოცემაზე. ქაღალდი სხვადასხვანაირია, რაც ჰკარგავს ელფერს საუცხოვო ილიუსტრაციას, რომელიც მოცემულია გამოცდილი მხატვრების ხელით. გარდა ამისა ყდაც უთუოდ საუცხოვოა, განსაკუთრებით ბავშვებისათვის მიმზიდველ ფერადებისაა, ოღონდ აღსანიშნავია. რომ ის უბრალო ქაღალდისაა. ამის გამო წიგნი ვერ იჩენს საჭირო გამძლეობას, რაც ასე აუცილებელია დაბალ საფეხურის სკოლის მოწაფისათვის, რომელიც პირველად ეჩვევა სასწავლო ნივთების ხელში აღებას. ეს ნაკლი შემდეგში უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

ხ. მ—ლი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა ბაღის სახლ-კარის გაყიდვის უფლება

კითხვა

მე ავათმყოფობის გამო ექიმების რჩევით და ბავშვების სწავლებისათვის (ჩემი ოჯახი შესდგება რვა სულისაგან და სულ მცირე წლოვანებია) გადავწყვიტე ქ. გორში ცხოვრება. უკვე 1924 წლიდან კიდეც ვცხოვრობ გორში და ამავე დროს ვმსახურობ საავთიაქო საწყობში სანიტარად და ვღებულობ თვიურ ჯამაგირს 21 მან. და 50 კაპ.

სოფელში მაქვს ხეხილის ბაღი, ზედვე ჩემი სადგომი სახლკარის ალაგით ½ დღიისა. მსურს ყველაფერი ამის გაყიდვა და მის მაგივრად ქ. გორში სახლის ყიდვა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, შესაძლებელია თუ არა ბაღ-სახლკარის გაყიდვა. გთხოვთ მომცეთ დარიგება, რომ შეცდომაში არ შევიდე.

ვლ. ბარამაშვილი.

პასუხი

თანახმად ბინის კოდექსის მუხ. 25-ისა, მიწის ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია, რადგანაც მიწა და ტყე ეკუთვნის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, (მიწა-წყალზე კერძო საკუთრებრივი უფლებები გაუქმებულია) და ვინც კი ამ სახელმწიფო ქონებას გაყიდის, დაისჯება სისხლის, სამართლის წესით და მიწის სარგებლობის უფლებასაც ჰკარგავს. (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 2 და 25).

ამას გარდა, სახლკარის და ბაღის გაყიდვაც არ დაიშვება ადგილობრივ სამაზრო სადგილმამულო კოლეგიის ნებადაურთველად, თანახმად მიწათმოქმედების სახკომატის ა.-წ. 2 სექტემბრიდან ცირკულიარი № 10. (გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტში ა.-წ. 5 სექტ. № 205), ასეთი ცირკულიარი გამოქვეყნდა მას შემდეგ, როდესაც ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ზოგიერთი ბოროტი პირები სახლისა და ბაღის სახით ჰყიდიან ფაქტიურად იმ მიწას, სადაც ბაღი და სახლია გაშენებული, რაც, როგორც უკვე ვსთქვით, ყოვლად დაუშვებელია.

ძველ ბინადრობაზე თქვენ უნდა მოახდინოთ ქონების ლიკვიდაცია, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 170-ისა, მხოლოდ ყოველგვარი გაუგებრობისა და შეცდომების ასაცილებლად. ამის შესახებ უნდა აცნობოთ გორის მაზრის სადგილ-მამულო კოლეგიას.

მომეცემა თუ არა სრული პენსია

კითხვა

მე ვმუშაობ ფარმაცევტად 29 წლის განმავლობაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვმსახურობდი ქუთაისის საბჭოთა აფთიაქში თანამშრომლად. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული. მქონდა ჯამაგირი მე-8 თანრიგით 44 მან. 33 კაპ.

სამსახურის ასრულების დროს აფთიაქში უეცრად წავიქეცი და უგრძნობლად წამიყვანეს სახლში. ამის შემდეგ ვარ შრომის ინვალიდი, შრომის უნარ მოკლებული სავსებით. პენსიის სახით ვღებულობ აქამდე 25 მან. არსებობის სხვა წყარო აღარ გამაჩნია. მყავს სარჩენი 5 სული, მათგან სამი მოწაფე.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორც სამსახურის დროს დაინვალიდებულს, შრომის უნარს სავსებით მოკლებულს მეკუთვნის თუ არა პენსია ჩემი ფაქტიური ხელფასის ოდენობით.

დავით ძიგრაშვილი.

პასუხი

თანახმად საკავშირო საბჭოთა რესპ. ცაკის სახკომსაბჭოს მიერ 1925 წ. 28 აგვისტოს დამტკიცებულ დებულების მუხ. 8-ის, (გამოქვეყნებულია ა.-კ. შრომის სახკომატის „შრომის კანონმდებლობათა მოამბე“ № 18-ში 1925 წ.) და ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1924 წ. 5 აპრილის დადგენილება № 91-ს მუხ. 2 და 3-ისა და იმავე სახკომატის 1924 წ. 5 ივლისის დადგენილება № 110-ის აბზაცი—„ა“, „ბ“ „გ“-ის და მუხლი მესამის შენიშვნისა, თქვენ, როგორც შრომის სრულ ინვალიდს ე ი. შრომის უნარს სავსებით მოკლებულს უნდა მოგეცეთ პენსია თქვენი ფაქტიური ხელფასის რაოდენობით, თუ კი შრომის ინვალიდობა არ არის განზრახ გამოწვეული თვით თქვენ მიერ. (იხ. ა.-კ შრ. სახკომატის დადგენილება № 110 მუხ. 2 1924 წ. 5 ივლისიდან).

თქვენ გაქვთ უფლება ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1926 წ. 7 ივნისის ცირკულიარი № 23-ის წესით (გამოქვეყნებ. გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში 1926 წ. 11 ივნისიდან № 1198-ში). აღძრათ საკითხი დამზღვევ ორგანოთა წინაშე სრული პენსიის დანიშვნის შესახებ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5 4.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

„იმ სახელმწიფო საწარმოთათვის შეღავათების მიცემის შესახებ, რომელნიც იწყებენ მუშათა სახლების შენებას“.

თანახმად სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ც. ა. კ-ტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლ. ოქტომბრის 16-ს გამოცემული დადგენილებისა „იმ სახელმწიფო საწარმოთათვის შეღავათის მიცემის შესახებ, რომელნიც იწყებენ მუშათა სახლების შენებას“, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახ. კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ყველა მაზრის (ქალაქის) აღმასრულებელ კომიტეტს დაუთმოს მიწა მიწის კოდექსის 96 მუხლით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში ყველა იმ სახელმწიფო საწარმოს, რომელნიც შეუდგება მუშებისათვის სახლების შენებას.

2. მუშების სახლისათვის დათმობილი მიწის ნაჭერი უნდა შეძლებისამებრ ახლო მდებარეობდეს იმ საწარმოსთან, სადაც აღნიშნული მუშები მუშაობენ.

3. იმ სახელმწიფო საწარმოზე, რომელიც იწყებს მუშებისათვის სახლის შენებას, გავრცელებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს 1926 წ. იანვრის 11-ის დადგენილება „საბინაო კოოპერაციებისათვის შეღავათიან პირობებში ხე-ტყის დათმობის შესახებ“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **სილ. თოდრია.**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5 9.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიების შუა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს დადგენილებანი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე—1924 წ. მარტის 10-ს თარიღითა და 77 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

1) 1926 წ. იანვრის 25-ის თარიღისა და მე-3 №-რისა—210 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 3);

2) 1926 წ. თებერვლის 10-ის თარიღისა და მე-9 №-რისა—291 მუხლის „ა“ პუნქტისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 9);

3) 1926 წ. მარტის 10-ის თარიღისა და მე-16 №-რისა—187¹-მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 16) და

4) 1926 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 22 №-რისა—210 და 212 მუხლების შევსების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 22)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **სილ. თოდრია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს.ა.ლ.კ.კ. ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყ. წინადადებას აძლევს პოლიტსკოლების ხელმძღვანელებად გამოყოფილ ამხანაგებს, რათა 22, 23 სექტემბერს დილის 9—2 საათამდე გამოცხადდენ რაიკომში.

ორშაბათს, 20 სექტემბერს გაიმართება საღამოები, მიძღვნილი 26 დახვრეტილ ბაქოელ კომუნარების ხსოვნისადმი,—შემდეგ ადგილებში:

1) განათლების მუშაკთა სახლში—კალოუბნის ქ. № 3,—მომხს. ამხ. ვირაპი—საღ. 7ს.

2) ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში—ვერის დაღმართი,—მომხს. ამხ. მალშრამანი,—საღ. 8 საათზე.

3) მუშათა ახალი კლუბი—სასახლის ქუჩა—მომხსენებელი ამხ. ლიხოვსკი,—საღ. 8 ნახ. საათ.

4) მედსანშრომის კლუბი—მომხს. ამხ. პოსეცკი, 8 საათზე.

5) „26-ის სახელობის ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი—შიო ჩიტაძის ქ. № 6,—მომხს. ამხ. ლიხოვსკი,—საღ. 7 საათ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის უჯრედების ბიუროების გადარჩევა მოხდება:

1) 19 სექტემბერს—სამხედრო წისქვილი,—დილის 10 საათზე;

2) 19 სექტემბერს—ქალაქის აბანოები—დილის 10 საათზე;

3) 20 სექტემბერს—სატრიკოტაჟო ფაბრიკა—დილის 10 საათზე;

4) 21 სექტემბერს—როზა ლუქსემბურგის სახელობის ფაბრიკა—დღის 2 საათზე;

5) 21 სექტემბერს—სპეცდანიშნულების იზოლიატორი—საღ. 6 საათზე.

საქ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მეცადინეობა ორშაბათს, 20 სექტემბერს არ შესდგება.

ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, [illegible] თბილისის აღმასკომის შენობაში შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

რაიკომის პლენუმებისა, პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაკების (კომუნისტების) თანდასწრებით.

დღის წესრიგშია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შოშინაძის მოხსენება „სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს მოქმედების“ შესახებ.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა და ზემოხსენებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

სამშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების წევრთა თანდასწრებით. დღის წესრიგი: მოხსენება უჯრედების ბიუროს გადარჩევის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. იოსებ კოგანოვსკის, რომ იგი 21 სექტემბერს გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თვითგანათლების ბიუროს მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 22 სექტემბერს 8 საათზე, აგიტპროპმუშაკის კაბინეტში.

---

26 კომუნარის სახელობის ქარხნის კომიტეტი აუწყებს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, რომ ორშაბათს, 20 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება საღამო 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად.

ღრმად დამწუხრებული მამა ალექსანდრე გიორგის-ძე არდიშვილი შვილებით და შვილიშვილებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ მათი ძვირფასს

ეკ. კონსტანტინე (კოწია) ალექსანდრეს-ძის

არდიშვილის

სულის მოსახსენებლათ კვირას, 19 ამა სექტემბერს, ს. კლდეეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. ნ. 1792

ღრმად შეწუხებულნი: ცოლი მარიამ სოფრომის ასული, შვილები: გიორგი, ანნა, ელენე, ევგენია, თამარა, რძალი თამარა, სიძეებით დათიკო, მიშა და შურა აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 16 სექტემბერს მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ქმარი, მამა და სიმამრი

ნიკოლოზ ვახტანგის-ძე კიკნაძე

გასვენება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, კვირას 19 სექტემბერს. დილის 11 საათზე ბინიდან არხიპოვის ჩიხი № 5. 3731

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია მინადორა, ბაბუა ეფრემი, დეიდა მარგარიტა, ბიძანები: ვალიკო, ვლადიმერი და ილია აუწყებენ ნაცნობნათესავთ პატარა

ვახტანგის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავების დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 21 სექტემბერი. გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე ბათომის ქ. № 4. 3743

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დედა მარო ეფრემის ასული, მამა დომენტი დიმიტრის-ძე, ბაბუა დიმიტრი, ბებია მაშიკო, მამიდა ლიზა, ძმები: შოთა და ვლადიმერი აუწყებენ კეთილ-ნათესავებთ პატარა

ვახტანგის

გარდაცვალებას. რომლის დასაფლავების დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 21 სექტემბერი, გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე ბათომის ქ. № 4. 3743

კინო-თეატრი

სოლეი

საზაფხულო

აპოლო

(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო

ეთერ

(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დღეს, გაიხსნება სეზონი

(შეკეთების შემდეგ)

ეკრანზე საუკეთესო სურათი

„აზრეკ ზაური“

კინო-მოთხრობა 10 ნაწილად (კავკასიის ახლო წარსულიდან)

უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი, ნ. სანევი, ნ. განტარინისა, ნ. ავამეგოვისა.

სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.

პირველ სურათათ ამერიკ. საუკეთ. ნაწარმოები

დაგრკოლებათა წინააღმდეგ

უმთავრეს როლებში მილტ. სილსი, და კატ. მაკდონალდი

საუკეთესო ფრანგული კინო-რომანი

„მანდრენ“ 3 და 4 სერია ერთად

უამინდობის გამო, სეანსი გადატანილი იქნება „არფასტოში“

ნ. 1745 0—16

სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 18 სექტემბერს კვირას 19 სექტემბერს

გაიმართება

ორი საღამო

მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრის სამუსიკო სტუდიის მსახიობთა.

ვოკალური კვარტეტი შემდეგი შემადგენლობით: ნ. ვ. ზვიაგინცევი, ს. დ. ფედოროვი, მ. მ. პოპოვი, პ. გ. იგნატიევი.

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება. ნ. 1784 3—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ.

მთავარი კანტორა

შემთხვევით იყიდება

ისტორიული წიგნები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე საქართველოს და კავკასიის შესახებ: საქართველოს ისტორია მ. ბროსსე ფრანგულ ენაზე, ვახტანგ მე 6 კანონების კრებული, საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, ქართულ - რუსულ - ფრანგული ლექსიკონი ჩუბინაშვილისა, კალმახობა, ვისრამიანი და მრავალი სხვა. მატინოვის ქ. № 12, ბინა მირიანაშვილისა, ნაშუადღევის 4—6, კვირა უქმე დღეებში 8—10 დილით. 3739

საქართ. სახელმწიფო კინო-მრეწველობის

უახლოესი გამოშვება

კინო თეატრებში: აპოლო, სოლეი და არფასტო

ხანუმა

(ქეთო და კოტე)

რეჟ. ა. რ. წუწუნავა

ოპერატორი ს. ზ. ზაბოზლაევი

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს. 1794

სახელმ. სახალ. მუსიკ. სასწავლებლები

როიალის, სკრიპკის, ვიოლონჩელის, სიმღერის, მუსიკის თეორიის, გარმონიის, სოლფეჯიოს და აღმოსავ. ინსტრუმენტის კლასით

განცხადებების მიღება 1 სექტემბრიდან. შესავალი გამოცდები 10 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

მისამართები

1-ლი სასწავლ.—კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 6.

2-რე სასწავ.—კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 45.

3-მე სასწავ.—კალინინის (ყ. ნიკოლოზის, მილიუტინის კუთხე) № 83.

4-ხე სასწავ.—კურსანტების (ყოფ. კადეტის) № 6.

5-თე სასწავ.—მოსკოვის ქ. № 16, კურსკის ქ. კუთხე. 3714

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

სათვალეების მორგება

უ ფ ა ს ო დ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1

მსურს ავიყვანო

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 135, მოცემული გორის მაზრიდან სოფელ ატენის მილ. უფროსისაგან და პროფ-კავშირის წიგნაკი სათენიკა კასპარის ასული ბედიგოვის სახელზე, ჩ. გ. 3736

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული ა-კ. ტრანსპორ. მომხმარებელ საზოგადოებიდან და ცნობა ა-კ. საგანგებო კომისიის 37-ე განყ. ბათომის სანაპირო რაზმიდან № 718 მიხეილ ივანესძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ.

ვერის სახელმ. მუსიკ. ტეხნიკუმი

(კონსერვატორიის დარბაზი)

მისაღები განცხადებები 15 სექტემბრიდან,

გამოცდები—25 სექტემბრიდან

სწავლის დასაწყისი 1-ლი ოქტომბერს. 3738

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 24 სექტემბერს 1926 წ. შუადღის ორ საათზე სომხის ბაზარში № 62 თბილისის ვეჭრობის საწყობში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

არტაშეს კალატოზოვის კუთვნილი 6 ცალი საბედ მანქანებზე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის ბანკის სესხის განყოფილებაში. ნ. 1793

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

საფეიქრო, საპნის და ზეთის სახდელი

ტრესტი

აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე ტრესტის ეზოში შესდგება

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი საგნები:

1. ეტლი ცხენებითა და მისი მოკაზმულობით.
2. შარაბანი.
3. ლინეიკა რეზინის სალტეებზე.
4. ლინეიკა რკინის სალტეებზე.
5. ერთი ტაჭკა.
6. დროგები კოფოთი (ლიმონათისთვის).
7. დროგის წყვილი დრიკა (რესორი).
8. ღერძები.
9. ძველი ბორბლები.
10. ორი კვიცი.
11. 150 ფ. მავთული და სხვადასხვაგვარი კასრები.

ოთახი № 119 ტრესტის ეზოში.

1796 გამგეობა.

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში აზერბეიჯანის ქუჩაზე სახლ № 31 დანიშნულია 28 სექტემბერს 1926 წ., დილით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** შაფათა ჩიკვაშვილის ქონების—ოჯახის მოწყობილობის: ბუფეტის შკაფის, სტანისამოსე შკაფის, სარკის, დივნის, კრესლოების, მაგიდების და სხვების გასაყიდათ, შეფასებულის სულ 225 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1791

პირველ სახელმწიფო საბუღალტრო კურსებზე

გრძელდება ჩაწერა მეორე ჯგუფში.

სწავლა იწყება—პირველ ჯგუფში 21 სექტემბერს, მეორე ჯგუფში—28 სექტემბერს საღამოს 5 საათზე.

კეცხოველის (ყოფ. ლორის მელიქოვის) ქ. № 12.

2—1 3729 კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 10, ნახშირის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო დოგბაშიანის მოძრავ ქონებას: კვასის კასრებს, ცარიელ ბორჯომის ბოთლებს, ყუთებს და სხვა მოწყობილობას შეფასებულს 155 მანეთად; საბჭ. მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 3588 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3732

კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 12. 3740 13—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე, ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 348² 25—1

ექიმი ბ-ტ ი. მირიანაშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.

მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.

ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნე-საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ღ.

დ ა ბ რ უ ნ დ ა

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპირორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორგანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.

3574 ტელეფ. № 4—82.

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ზღვის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

ჭურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ა. ს. ფუს-ირტელი

ხიჟილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

ვარდა საქეიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ს უ რ ა მ ი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

იღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.

ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აჯარაკი მეიერისა.

პროფ. გ. მ. მუხაძე

ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი ლუხან ოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77

დაიკარგა მეტრიკა ბავშვისა, მზაჩიდან მიღებული № 223 ელენე სიმონოვის სახელზე და პირადობის მოწმობა ანნა სიმონოვას სახელზე № 1502 ჩ. გ. 3735

დაიკარგა ს. ხიდისთავის მთლიანი შიდწლედის დამთავრების მოწმობა № 374 ელენა ლომიძის სახელზე, ჩ. გ. 3727

დაიკარგა ხელოვნების კავშირის წიგნაკი № 97032 ბაბე ლომიძის სახელზე, ჩ. გ. 3728

დაიკარგა პარტიული მოწმობა № 3525, მოცემული მეორე რაიკომის მიერ ვარლამ პატარაიას სახელზე, ჩ. გ. 3734

დაიკარგა სამხ. აღრიცხვის ნუსხა და წით. არმიიდან მოც. უვადო შვებულების მოწმობა შალვა კუცინძის სახელზე, ჩ. გ. 1791

დაიკარგა ხარტ-ბილეთი № 496062 და რკ. გზ. ერთდროული ბილეთი № 00211186. ნიკოლოზ აქობარდიას სახელზე, ჩ. გ. 3733

დაიკარგა კავშირის მანდატი № 16242 და სამხედრო პირადობის წიგნაკი № 3849226 გაცემული აკაკი სიკოსძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ. 3741

დაიკარგა ქუთ. პროფ-ბიუროს წევრობის მანდატი; კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 393 იაკობ თედორესძე აბობაძეს სახელზე, ჩ. გ. 1792

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი და პირადობის მოწმობა ვიქტორ სტეფანესძე ბერუჩაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1791

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 5, მოცემული ნოქალაქევის სამხედრო მაგიდის მიერ მიხეილ პავლესძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 3742

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 4 მოცემული ძველი სენაკის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ მელიტონ გუნიას სახელზე, ჩ. გ. 3742

დაიკარგა 1. განკავშირის № 16502, 2. საღნაოს მონადირეთა კავშ. № 55 მოწმობა, 3. მანდატი გაზ. „მუში“-ს კანტორიდან, 4. მანდატი გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორიდან, 5. „ზარია ვასტოკა“-დან, 6, „რაბოჩაია პრავდა“-დან, 7. რემედასის, 8. ავიაქიმის, 9. მოწმობა აღმასკომიდან, რომ მე ვარ კინო-სექციის გამგე სიღნაღის მაზრაში, 10. სამხედრო აღრიცხვის, სიღნ. სამხედრო კომიდან მიღებული, 11. პირადობის მოწმობა—სიღ. სამაზრო მილიციიდან მიღებული არტემ ალექსანდრესძე მდივანოვის სახელზე, ჩ. გ. 179